# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 13 აპრილი 2001 №66 (1339) | ფასი 50 თეთრი

7

## ფეხბურთი ტრაგიკული თამაშია



იოჰანესბურგში სტადიონზე 50 ადამიანი დაიღუპა

8

## 31:0 მსოფლიოს რეკორდი მომგებისთვისაც შარია და წამგებისთვისაც



უვიდუკო ნაკრებში ტომპსონს გააქვს



გუშინ ეროვნულზე: „დინამო“ — „კოლხეთი“ 2:1. დინამოელ გაგი მიქუჩაძეს და ნიკა თუთარაშვილს (№9) სტუმართა მეკარე ზურაბ ქვაჩახიამ დაასწრო

# მასპინძლების დიდი ხუთშაბათი

მესამე ტური მასპინძლებისა იყო. მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასგან“ ნაწნევი 0:3 ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ“ გუშინ შინ „მერანთან 3:0-ად აქცია. ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯია“ ვაკეში „ლოკომოტივმა“ დააჩოქა. გივი ნოდიას გუნდმა მეორე ეტაპზე პირველად გაიმარჯვა. ზედიზედ ორი მატჩის მომგები ფოთის „კოლხეთის“ შემჩერებელი „დინამო“ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდა.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

## საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

## 3 ტური

### I-VI ადგილები

12 აპრილი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| დინამო | 2 |
| კოლხეთი | 1 |
| ტორპედო | 3 |
| მერანი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 32 |
| დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 29 |
| ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 28 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 22 |
| მერანი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | 18 |

# რუსთაველებმა ბათუმელები თბილისში გაალღვიძეს

საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატი

საქართველოს საკლათბურთო ჩემპიონატი ინტრიგით განახლდა: მეორე ეტაპის მეორე წრის გამოტოვებულ მატჩში ბათუმის „ბასკომ“ საშინაო სარბიელზე ათთვიანი დაუმარცხებელი სვლა შეწყვიტა. მისი გამამწარებელი ამჯერადაც ის იყო, ვინც შარშანდელ ივნისში — მაშინ რუსთავის „აზოტმა“ ქვეყნის ჩემპიონატის ფინალის პირველი მატჩი მოუგო ბათუმელებს. იქიდან მოყოლებული „ბასკო“ საქართველოში ვერავის დაემარცხებინა, ხოლო „აზოტმა“ ზედიზედ ექვსი შეხვედრა დაუთმო.

გუშინ კი რუსთაველებმა 87:78 მოუგეს საქართველოს ჩემპიონს, მეტიც, ერთხანს 21 ქულითაც იყვნენ წინ. ამით „აზოტმა“ მტკიცედ განაცხადა, რომ საჩემპიონო რბოლიდან მისი ჩამოწერა ნაადრევია და ტიტულისთვის ბრძოლაში „ბასკოს“ მთავარი კონკურენტი სწორედ იგი იქნება.

იხილეთ მეათე გვერდი



გუშინ: აზოტელმა კახა შენგელიამ (№10) ვლადიმერ ბეჟანიშვილს დაუფარა

საქართველოს უმაღლესი ლიგა მეორე ჩემპიონატი ეტაპი 12

# 3 ტური

## I–VI ადგილები

# ნორჩი დინამო დაღლილიც ძალაა

თბილისი
12 აპრილი
16 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 70 900)

**დინამო 2:1 კოლხეთი**

1:0 ზირაქიშვილი (30), 2:0 თუთარაშვილი (56), 2:1 წივწივაძე (80)
ზირაქიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (62)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, სვანაძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, მაზიაშვილი, გაბიდაური, ბურდული, მიკუჩაძე (ადეიშვილი 65), თუთარაშვილი (ქარდავა 68, ჩივაძე 85), ზირაქიშვილი, მანწკავა
სათადარიგონი: ხაჩირიშვილი; ი. შენგელია, მუშკუდიანი, თ. მაისურაძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, შალამბერიძე, ქობულაძე (ვართაგავა 85), კვირკველია, ხუჭუა, ლალანიძე, წივწივაძე, ფანჩულიძე, ე. გვასალია, მუმლაძე (შავგულიძე 60)
სათადარიგონი: ჩემია; ქანტურიძე, ტორჩინავა, ქუნთელია
**გაფრთხილება:** ფანჩულიძე (16), წივწივაძე (31), მანწკავა (36)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**დავით თავართქილაძე**

**ახალგაზრდული** შეუპოვრობა და დალვინებული, ჩვენს ჩემპიონატში ნაწრთობი ფოთელები, ნერვიული თამაში, ბოლო წუთებზე ლამის გულწასული და გამოფიტული ფეხბურთელები, გაცუდებული თერთმეტმეტრიანი, აღგზნებული მწვრთნელი და უხვი საგოლე მომენტი — ყველაფერი ეს დაიტია „დინამო“ — „კოლხეთის“ გუშინდელმა შეხვედრამ.

ვერ ვიხილეთ მწვრთნელთა რაღაც განსაკუთრებული ჭიდილი. თითქოს ტაქტიკა-სტრატეგია უკანა პლანზე მოექცა. ვერც დრამა გამოდგა ეს შეხვედრა, რადგან ბევრი გამოუყენებელი შანსი ხაზვივით შერჩათ დინამოელებს. „კოლხეთმა“ კი ვიტელებისა და რკინიგზელების ძლევის შემდეგ გუშინ ნაღდად ვერ ივარგა. „დინამომ“ პირველად გაიმარჯვა პლეი ოფში, კოლხებმა პირველად წააგეს.

დასაწყისში სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ, ორთაბრძოლებში მძლავრობდნენ და მოედნის შუაგულსაც დაეუფლნენ. დინამოელთაგან ლადო ბურდული თუ ყოჩაღობდა მარჯვენა ფლანგზე — ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა გელა ფანჩულიძეს. „კოლხეთი“ კი ცდილობდა, მთელი ფრონტით შეეტია. თავდამსხმელებად სოსო ფილიამ ჰამლეტ წივწივაძე და შალვა მუმლაძე გაამწესა, მათ უკან ელდარ გვასალია და ზაველ ლალანიძე. თუმც „დინამოს“ სამკაციანი დაცვა მყარად იდგა, განსაკუთრებით გიორგი შაშიაშვილს გამოვარჩევთ, რომელიც რამაზ სვანაძეს და ილია კანდელაკს დროულად აზღვევდა და თავადაც კარგად ირჯებოდა ბურთის ართმევაში. „კოლხეთი“ მცირე უპირატესობას ფლობდა, დიდად ვერ ამწვავებდა თამაშს და საუკეთესო შანსი გრიშიკაშვილის კარიდან ოციოდ მეტრში დანიშნული საჯარიმოთი შეექმნა — ჯონი შალამბერიძის ერთობ ძლიერად დარტყმულმა ბურთმა ხარიხას სანტიმეტრებში ჩაუზუზუნა.



კახაბერ გოროზიამ (№2) და ზურაბ ქვაჩახიამ ნიკა თუთარაშვილს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალეს

„დინამომ“ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ დაალაგა თამაში. რამდენიმე ეპიზოდში ჩინებულად გაისარჯა კოკა მიკუჩაძე. ამ ჭაბუკი გამთამაშებლის რბილი მანერა და სწრაფი აზროვნება უდავოდ აღნიშვნის ღირსია. სწორედ მის თავისებურ ტრიუკს მოჰყვა გოლი — მიკუჩაძემ მოედნის ცენტრში ორი კოლხი სწრაფად და მოხდენილად ჩამოიცილა, ბრწყინვალედ გაუჭრა პასი სიჩქარეაკრეფილ ზირაქიშვილს და ზურაბ ქვაჩახიასთან პირისპირ დარჩენილმა მეგოლემაც თავისი მონაგარი მეთორმეტე ეროვნულში ჩვიდმეტამდე გაზარდა.

გოლის გატანა და მატჩის მსვლელობის შეცვლა ერთი გამოდგა. სისწრაფეს უმატეს მასპინძლებმა, უფრო მხნედ ათამაშდნენ, რამაც „კოლხეთის“ სისუსტეები ხელისუგულივით წარმოაჩინა, მაგრამ შესვენებამდე დარჩენილ თხუთმეტ წუთში დინამოელებმა ამით ვერ იხეირეს. არადა, გიორგი გაბიდაურს შეეძლო ულამაზესი გოლი გაეტანა — ოცდაათიოდე მეტრიდან ცაციათი მოულოდნელად გაისროლა, მაგრამ მხოლოდ ხარიხა შეაზანზარა.

მეორე ორმოცდახუთი წუთი გაცილებით საინტერესო გამოდგა. ჯერ მასპინძლებმა გაილაღეს. დინამოელები მეტოქეზე აგრესიულად მოქმედებდნენ. მათი თავდადებული ბრძოლა ერთობ თრგუნავდა გამოცდილ კოლხებს.

კვლავ მიკუჩაძემ გაიბრწყინა, საჯარიმოში შეჭრილმა იოლად აუარა გვერდი მეტოქე მცველს და მახვილი კუთხიდან ქვაჩახიას კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, მაგრამ ფორვარდებმა დასწრებაზე ვერ იყოჩაღეს. თუმც მალე პირიქით მოხდა. ბურდულმა მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და ნიკა თუთარაშვილმა დასწრებაზე ვარდნაში ბურთი აუღებლად დაურტყა ქვაჩახიას.

აი, ამან კი გამოაფხიზლა სოსო ფილიას ბიჭები. ჯერ წივწივაძეს შეეძლო თავურით ეხეირა, მერე ფანჩულიძემ გააცუდა შანსი. „დინამომ“ კი სწრაფ კონტრშეტევებს მიმართა. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში გაბიდაური გაიჭრა მარცხენა ფლანგზე, მერე ზირაქიშვილს გადასცა ბურთი, რომელიც კვირკველიამ საკუთარ საჯარიმოში მოცელა და დავით სანაიამაც პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. ზირაქიშვილმა ლონივრად დაჰკრა, მაგრამ არაზუსტად, ბურთი ზემოდან გადასცდა მიზანს.

შეუტიეს ზღვისპირელებმა, „დინამოს“ კი დაღლა დაეტყო, ველარ იბრძოდნენ მუყაითად გოჩა ტყებუჩავას შეგირდები, გამძლეობამ უკვე მერამდენედ დაალალატა ისინი, თუმც ამჯერად შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება.

ხელმეორედ გააცუდა თავური წივწივაძემ, მერე შალამბერიძის ჯარიმა გაჭირვებით მოიგერია გრიშიკაშვილმა. გოლი მწიფდებოდა, „დინამოსაც“ შეეძლო, მესამე გაეტანა, მაგრამ ზირაქიშვილმა ქვაჩახიას დუელი ვერ მოუგო. სტუმრებმა მაინც მიაღწიეს თავისას — საჯარიმოში შეჭრილმა წივწივაძემ ბურთი შორეულ კუთხეში შეაგდო.

ძალიან დაიძაბა შეხვედრა. თუმც ჯანცგაწყვეტილ დინამოელებს ნერვებმა და იღბალმა არ უმტყუნეს. კოლხთა ხსნა ლევან შავგულიძეს შეეძლო, მაგრამ მიზანი ვერ გაასწორა. ენდშპილი კი მაინც „დინამოსი“ იყო — მანწკავას რეიდის შემდეგ კოჭის ტრავმის გამო კოჭლობით მორბენალი ზირაქიშვილი კვლავ ქვაჩახიას შეეყარა, გასცდა მას, მაგრამ ზედ კარის ხაზიდან ბურთი ერთ-ერთმა მცველმა გამოიტანა.

***სოსო ფილია, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი:***

— მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა. „დინამომ“ უბურთოდ მოძრაობაში, სისწრაფეში და დასწრებაზე თამაშში გვაჯობა. „კოლხეთმა“ ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა.

— მეტად გადატვირთული და დამღლელი კალენდარია. ფეხბურთელთა აღმდგენ საშუალებად მხოლოდ საუნა და კვება გვაქვს. არ გაგვაჩნია ფარმაკოლოგია, სატრენაჟორო დარბაზი. ფოთში ბოლო ორი დღეა, გადაუღებლად წვიმს და გუნდი ჯერ მალთაყვის ტყე-პარკში ვავარჯიშე, მერე ფეხბურთელებს დარბაზში გავაცალე სიქა...

***გოჩა ტყებუჩავა, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:***

— ძალიან განერვიულებული ვარ. პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი კვლავ პრობლემა შეგვექმნა — არ შეგვიძლია მთელ 90 წუთს გავუძლოთ, მერამდენე მატჩია, ასე გვემართება. დიდი შანსი იყო, წაგვეგო.

— ფეხბურთელებისგან მაქსიმუმს ვითხოვ. „დინამოში“ ახლა ძალიან კარგი პირობებია შექმნილი და მოთამაშეებიც სათანადოდ უნდა ირჯებოდნენ. აღშფოთებული ვარ იმით, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ოცი წუთიც კი ვერ იბრძვის მინდორზე.

— ზირაქიშვილი ტრავმირებულია, მაგრამ იძულებული ვიყავით, მაინც გამოგვეყვანა სათამაშოდ. მეორე ფორვარდს, გიორგი მიქაძეს კი ოცდათვრამეტი ჰქონდა სიცხე და ამ მატჩში ამიტომ მოვისაკლისეთ.

ქუთაისი
12 აპრილი
16 საათი
ტორპედო
2 500 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 3:0 მერანი**

1:0 გუჩუა (54), 2:0 გვირჯიშვილი (67), 3:0 იონანიძე (90)
**ტორპედო:** ზოიძე (ტოგონიძე 72), ქემოკლიძე, აბრამიძე, სილაგაძე, თოდუა, დიდავა, გუჩუა, იონანიძე, ჯანაშია, იმედაძე (გვირჯიშვილი 66), ბობოხიძე (კ. კვეტენაძე 62)
სათადარიგონი: თავბერიძე, ვაშაკიძე, მახვილაძე, ჩხეტიანი
**მერანი:** ნაჭყებია (კოროშინაძე 76), გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, კოშკაძე, დევიძე, ბოლქვაძე, ზ. კვეკვესკირი (ქადაგიძე 75), მინაშვილი (კრავეიშვილი 62), ქინქარაული
სათადარიგონი: ხუციშვილი, ხუჯაძე, თოლორდავა, ბაჟელიძე
**გაფრთხილება:** გოგიტაძე (40), გოგიტაძე (47)
**გაძევება:** გოგიტაძე (47)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში



„შტუტგარტი“ — „კოტბუსი“. შტუტგარტელი ტიმო ვენცელი (მარჯვნივ) და კოტბუსელი სებასტიან ჰელბიგი

# ცოტა ქულა ბევრი საფიქრალია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ბოლო სხდომა ორი მწვრთნელისთვის სავალალოდ დასრულდა. 18 და 16-წლამდელთა ნაკრებების თავკაცები — შოთა ჭეიშვილი და თენგიზ სულაქველიძე უსაქმოდ დარჩნენ — აღმასკომმა მათი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

მოკლედ, ორი წავიდა და ორიც რიგშია. აღმასკომის წევრები დღესაც შეიკრიბებიან სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში და უფრო „მაღალ მატერიებზე“ ისაუბრებენ. დღის წესრიგის უპირველესი საკითხი ეროვნული ნაკრების საგაზაფხულო მონაგარის შეფასებაა. საკითხავიც ის რჩება, როგორ შეაფასებენ ყიფიან-ძოძუაშვილის მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ქომაგმა განაჩენი უკვე გამოიტანა, სწორედ აღმასკომის წევრები განსაზღვრავენ, დარჩება თუ არა მწვრთნელთა დუეტი ეროვნული ნაკრების სათავეში.

დღევანდელ სხდომაზე საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა დახმარების შესახებაც იმსჯელებენ.

**ბაატა ძვანტალიანი**

**ჩეხეთი**
თასის 1/4 ფინალი
სპარტა 3:1 ბანიკი

**გერმანია**
XXIX ტური
შტუტგარტი 1:0 კოტბუსი
1:0 ბალაკოვი (72 გ.)

II ბუნდესლიგა
XXIX ტური
არმინია 1:1 დუისბურგი
ქემნიცი 0:0 ვალდჰოფი

**ინგლისი**
II დივიზიონი
გადადებული მატჩები
როვერსი 1:2 პიტერბრო
მილუოლი 1:0 პორტ ვეილი

**შვეიცარია**
თასის 1/4 ფინალი
თუნი 1:1 (პენ. 3:5) ივერდონი

**დანია**
ორჰუსი 0:0 აკადემისკი
ჰერფიოლგე 1:1 ვიბორგი
მიდტიულანდი 0:0 სილკებორგი
ლიუნგბიუ 1:1 ჰადერსლევი
ოლბორგი 1:1 კოპენჰაგენი
ოდენსე 1:2 ბრიონდბიუ

**ჰოლანდია**
თასის 1/2 ფინალი
ვიტესე 0:0 (3:4 პენ.) ტვენტე

# როგორც მაშინ, ისე გუშინ

თბილისი
12 აპრილი
16 საათი
26 მაისი
2000 (ტევადობა 35 000)

**ლოკომოტივი 2:0 ვიტ ჯორჯია**

1:0 გოგიჩაიშვილი (34), 2:0 ანჩაბაძე (85)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე (ზ. ლაცაბიძე 56), შელია, სალუქვაძე, გილაური, ქიქველიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე (ონიანი 64), გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (კაიდარაშვილი 46)
სათადარიგონი: ჭალაბაძე, ბაქრაძე, გოგნაძე, პარამონოვი
ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, ჭანკოტაძე, ინწკირველი (ვ. გოჩაშვილი 10), დილმელაშვილი, ჯ. მუჯირი, გოგობერიშვილი, დ. დოლიძე (გოცირიძე 23), ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე (წუწუნავა 74), ლ. მელქაძე
სათადარიგონი: ქურაძე, ი. ხაჭაპურიძე, სულთანიშვილი, ადამია
გაფრთხილება: ბალაშვილი (47)
მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

**მამუკა კვანტალიანი**

**ერთ თვეზე** ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც „ლოკომოტივმა“ ახალ სტადიონზე, ვაკეში „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლა და 2:0 მოუგო. ამ ხნის მანძილზე თითქმის არაფერი შეცვლილა. გუშინაც იგივე თამაში, ისევ ვაკეში და ამჯერადაც 2:0 მოიგეს რკინიგზელებმა.

მაშინდელსა და გუშინდელს შორის სხვაობა ის იყო, რომ ვეტერინარებს სხვა მწვრთნელი, იტალიელი ჯანი კარნევალი უდგას სათავეში და გუშინ ვიტელებმა პირველივე ტაიმში გაუშვეს გოლი.

ასე გამოდის, ამ ერთ თვეში არაფერი შეცვლილა როგორც რკინიგზელთა, ასევე ვიტელთა თამაშში. როგორც მაშინ, გუშინაც სჯობდა „ლოკომოტივი“ „ვიტ ჯორჯიას“.

ვეტერინართა წარუმატებლობა მთლიანად გუნდის ყოფილ მწვრთნელს, თემურ მახარაძეს ბრალდება, სწორედ მახარაძემ დაუშვა შეცდომა გუნდის მომზადებაშიო. ასე ფიქრობენ კლუბის ხელმძღვანელები — ჩვენ კი ვიტელთა პრობლემები უფრო სიღრმისეული გვგონია, თორემ მახარაძემ შეცდომები რომ დაუშვა „გორდასთან“, პირველივე მატჩშიც გამოჩნდა.

როგორც მაშინ, „ვიტ ჯორჯია“ გუშინაც გიორგი ყიფიანისა და ელიკ საჯაიას გარეშე თამაშობდა. დაცვა შეცდომებს უშვებდა, ხოლო ნახევარდაცვა უმოქმედო გახლდათ. ყიფიანი და საჯაია... თითო ერთი გოლი მაინც ღირებულა.

დანაკლისი „ლოკომოტივსაც“ ჰქონდა. გივი ნოდიამ ისევ ვერ ათამაშა ტრავმირებული მამუკა რუსია, რომელიც 5 მარტის დაპირისპირებისას რკინიგზელთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახლდათ.

თავად მატჩზე რა შეიძლება ითქვას, ბევრიც არაფერი, მკვდარი თამაში იყო. არადა, „26 მაისის“ მოხასხასე გაზონი საიქიოსკენ ფეხწადგმულსაც აათამაშებდა.

მერე კიდევ იტყვიან, საქართველოს ჩემპიონატში დონემ აიწიაო. ტყუილია, არ დაიჯეროთ, ამაღლდა კი არა, აქამდე არნახულად დაეცა.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. მართალია, ფეხბურთელები მოედანზე დაბაჯბაჯებდნენ, მაგრამ „ლოკომოტივი“ უფრო იწევდა მეტოქის კარისკენ. მეთორმეტე წუთზე გოგიჩაიშვილის ჩაწოდების შემდეგ შენგელიამ გააცუდა ხელსაყრელი მომენტი. მისი თავური არაზუსტი გამოდგა.

ორ წუთში ისევ შენგელიას შეეძლო მერლანთან პირისპირ დარჩენა, თუმცა ბრძოლაში კობიაშვილს დაეჩაგვრინა და ჭვინტით დარტყმული ბურთი მეკარის საკბილო შეიქნა.

სტუმრებმა 28-ე წუთზე შექმნეს ტაიმის ერთადერთი, თუმცა საგოლე მომენტი. ჯაბა მუჯირის ოცდახუთიოდე მეტრიდან დარტყმულმა ბურთმა ხარიხა შეაზანზარა და მოედანი დატოვა.

ხუთ წუთში კი ანგარიში გაიხსნა. „ვიტ ჯორჯიას“ უკანა ხაზის მორიგი პოზიციური შეცდომა კარგად წაიკითხა დათვაძემ. გამოზომილი პასით გოგიჩაიშვილი გაიყვანა მერლანთან პირისპირ. კახა მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში და გოლიც შორეულ კუთხეში გაიტანა.

მეორე ტაიმი უკვე სტუმართა უპირატესობით დაიწყო. გატანის კარგი შანსი მიეცა გიორგი ქორიძეს, მაგრამ ბურთი ხარიხას მოარტყა. გადმოვარდნილს რკინიგზელმა მცველებმა პირველებმა მიუსწრეს და სახიფათო მომენტიც განიმუხტა.

მანამდე ნოდიას დაუშავდა ცხადაძე, კახამ ფეხი იტკინა. მწვრთნელმა საქმეში ზაზა ლაცაბიძე ჩართო. მალე დათვაძეც გამოცვალა და რკინიგზელებს კიდევ ერთი უკანა ხაზის მოთამაშე, როინ ონიანი შეეშველათ.

მასპინძლებმა კონტრშეტევები ირჩიეს და თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მეორედ გაიხარეს. გოგიჩაიშვილი ფლანგზე მცველს გაუსწორდა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ანჩაბაძეს დაუგორა ბურთი. გიორგის პირველ დარტყმულს მერლანი გადაეღობა, თუმცა მცველები ვერაფრით დაეხმარნენ თავიანთ მეკარეს და ანჩაბაძემ განმეორებითი დარტყმით გაიტანა.

შედეგად „ლოკომოტივი“ ისევ პირველია, „ვიტ ჯორჯია“ კი მეხუთე.



[illegible] ფოტო

ლოკომოტიველი კახა გოგიჩაიშვილის შეჩერებას ვიტელი თენგიზ კობიაშვილი ამაოდ ეცადა

---

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა — მეორე ეტაპი
12
2 ტური

## I–VI ადგილები

წყალტუბო
11 აპრილი
16 საათი
26 მაისი
800 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 2:0 ცხინვალი**

1:0, 2:0 კვერნაძე (2, 78)
81-ე წუთზე ბოჭორაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (ძელი)
სამგურალი: ვარდანიძე, ჭელიძე, ბერაძე, ფრანგიშვილი, ბანძელაძე (კოპალიანი 55), თურმანიძე, მ. ჯინჭარაძე, კიკვიძე (ზვ. ცხაკაძე 80), დარსაძე, ზვ. ქუთათელაძე (ჯიქია 87), კვერნაძე
სათადარიგონი: ბოდოკია, ცუცქირიძე, ტეხოვი
ცხინვალი: ქესანაშვილი, ხოხობაშვილი, ელისაშვილი, ტყემალაძე, ვაჩლავაშვილი, მოსიაშვილი, ციცქიშვილი, მარგიევი (არუთინიანი 58), გლუნჩაძე (ბოჭორაძე 40), მარლიშვილი, ნასუაშვილი (თალაკვაძე 58)
სათადარიგონი: დ. მაისურაძე, ზ. მაისურაძე, ჩაჩიბაია, წიქარიძე
გაფრთხილება: მოსიაშვილი (33), ჯინჭარაძე (76)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

**უმაღლეს** ლიგაში გადასასვლელად მებრძოლთა ექვსეულში ახლა ისეთი სიმჭიდროვეა, კაცი ვერ იწინასწარმეტყველებს, ვის გაუღიმებს ბედი, როგორ დასრულდება საოცრად გამძაფრებული დავა. სამაგიეროდ, ახლაც დღესავით ნათელია, ამა თუ იმ გუნდისთვის ყოველი წაფორხილება, შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს.

წინა ტურში „სამგურალმა“ ქობულეთიდან ქულა წამოიღო, „ცხინვალი“ კი ხელცარიელი გამოისტუმრეს წნორიდან. „26 მაისზე“ სათამაშოდ გასულებს ერთმანეთისთვის დასათმობი არაფერი ჰქონდათ, მეტოქეებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. სულ ერთი კვირაა, რაც „ცხინვალი“ მწვრთნელობაში ნაცადმა სოსო ვაშაკიძემ ჩაიბარა. სტუმართა ახალ თავკაცს, ალბათ, იმის იმედი ჰქონდა, რომ შეგირდები დებიუტს არ ჩაუმწარებდნენ, მაგრამ...

# კვერნაძემ ვაშაკიძეს დებიუტი ჩაუმწარა

წყალტუბოელებმა უკვე მე-2 წუთზე მოახერხეს წინ გასვლა, მათი პირველივე შეტევა გოლით დაგვირგვინდა. „სამგურალის“ კაპიტანმა ბერაძემ ზუსტად გაუჭრა საჯარიმოში ქუთათელაძეს, ამანაც ახლოდან უმალ კარისკენ დაარტყა, ქესანაშვილმა მოიგერია, ოღონდ მცველებმა უმტყუნეს, ამათ კვერნაძემ დაასწრო გადმოვარდნილზე და ზუსტად დაამატა.

დებიუტშივე გაშვებულმა სტუმრები ერთხანს დააბნია. თამაში მასპინძელთა უპირატესობით გაგრძელდა, მაგრამ ტაიმის შუაში „ცხინვალმა“ შეძლო ძალების მობილიზება და აქედან მოყოლებული უკვე თავადაც ავიწროებდა მეტოქეს. 22-ე წუთზე „სამგურალი“ მეკარემ იხსნა. ვარდანიძემ უაღრესად სახიფათო ფლანგური გადაცემა ჩაჭრა. ამას წყალტუბოელთა სწრაფი საპასუხო შეტევები მოჰყვა და ჯერ კვერნაძემ, მერე კი ქუთათელაძემ ვერ გამოიყენეს ანგარიშის გაზრდის ხელსაყრელი შანსი. 32-ე წუთზე სტუმრები ლამის მთელი გუნდით გადავიდნენ იერიშზე და კინაღამ გაათანაბრეს. მასპინძლები ისევ მეკარემ გადაარჩინა. ციცქიშვილის მიერ დაბალ კუთხეში უძლიერესად დარტყმული ვარდანიძემ თავგანწირულ ნახტომში მოიგერია. მერე ისევ კვერნაძეს მიეცა გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ქესანაშვილს ვერ აჯობა, თანაც ელისაშვილი გაისარჯა კარგად, მეკარის მოგერიებული დროულად განარიდა საჯარიმოს.

შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე თამაში დროებით შეწყდა, არასასიამოვნო ფაქტს ჰქონდა ადგილი. ჭელიძესთან ბურთისთვის ბრძოლისას სტუმართა ცენტრფორვარდი გლუნჩაძე უხერხულად დაეცა და, როგორც აღმოჩნდა, სერიოზულად დაშავდა — მას ბარძაყის მყესი გაუწყდა. პირველადი დახმარებისათვის საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა ყოფილი სამგურალელი.

მეორე ტაიმში „ცხინვალს“ თამაშის გადასარჩენად ცდა არ დაუკლია. სტუმრები აქტიურობდნენ, ბევრს უტევდნენ, ოღონდ „სამგურალის“ დაცვა მარჯვობდა. წყალტუბოელები, ფაქტობრივად, კონტრიერიშებით კმაყოფილდებოდნენ და ერთ-ერთის შემდეგ მეორედ დალაშქრეს სტუმართა კარი. კვერნაძემ შეირგო ქუთათელაძის პასი: რევაზმა ჯერ მცველი მოატყუა, მერე წინ გამოსული ქესანაშვილიც „დააწვინა“ და საკმაოდ მახვილი კუთხიდან ამ მატჩში დუბლი გაახერხა.

„ცხინვალს“ ერთის გაქვითვის რეალური შანსი ჰქონდა. ფრანგიშვილმა საკუთარ საჯარიმოში თალაკვაძეს დაქაჩა მაისურაში და ფანიაშვილმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, მაგრამ ბოჭორაძემ ძელს გაარტყა.

„სამგურალს“ ამ გამარჯვებით მართლაც კარგი პერსპექტივა გაუჩნდა. წყალტუბოელებს მომდევნო თამაში ლანჩხუთში უწევთ და თუ ექვსეულში დაწინაურებულ „გურიასთან“ იყოჩაღეს, ჩათვალეთ, სანუკვარ მიზანს ვეღარავინ და აღარაფერი დააშორებს.

ქობულეთი
11 აპრილი
16 საათი
ცენტრალური

**შუქურა 0:0 გურია**

ზესტაფონი
11 აპრილი
16 საათი
მეტალურგი

**მეტალურგი 1:0 მილანი**

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 გურია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 25 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 2 მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 24 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 3 სამგურალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 24 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 მეტალურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 24 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 5 შუქურა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 22 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 ცხინვალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 20 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |

## VII–XII ადგილები

ბორჯომი
12 აპრილი
16 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი

**თორი 1:1 ოკეანე**

ხობი
12 აპრილი
16 საათი
კოლხეთი

**ხობი 1:0 თბილისი**

**იბერია — ზუგდიდი**

მატჩი არ ჩატარდა — ზუგდიდი თამაშზე დაგვიანებით გამოცხადდა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 თორი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 19 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ხობი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 16 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 3 ოკეანე | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 12 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 4 თბილისი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 5 ზუგდიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 12 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 იბერია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა ♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

*ჟურნალისტი ხალხს არ უნდა ამოეფაროს, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი სათქმელი თავად უნდა თქვას და ყოველ სიტყვაზე, ტკბილზეც და მკვახეზეც, თავად უნდა აგოს პასუხი. ვფიქრობთ, ასე აჯობებს ხალხისთვისვე, ჩვენს შემთხვევაში, ქართული სპორტის ქომაგებისთვისვე. სხვანაირად ანუ ეგრეთ წოდებული მკითხველთა წერილების ბეჭდვა-ფრიალით იგივე მკითხველი გაზეთის ნაცვლად მიიღებს ყოველდღიური, ქუჩის საუბრების კრებულს, რომელიც ძალიან მალე მობეზრდება. აი, ამიტომ ვერიდებით ამგვარ წერილთა დასტამბვას, თუმცა დღეს, გამონაკლისის სახით, ორს გაგაცნობთ. გამონაკლისობის მიზეზს წაკითხვისთანავე მიხვდებით — ტკივილიც დიდია და სიხარულიც.*



# როდემდე?!

**ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔ** 29 მარტს სარბიელში გამოქვეყნებული წერილი „ქართული ჯინი კოკა-კოლას ბოთლებშია“, რომლის ავტორიცაა ილია ბაბუნაშვილი. მთლიანად ვეთანხმები მის აზრს იმის თაობაზე, რომ მართლაც ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რათა ყველა პირობა შექმნოდა საქართველოს ნაკრებს რუმინელებთან სათამაშოდ და კიდევ ერთხელ გვენახა ასე მოწყურებული ქართული ფეხბურთი, მისი ტემპერამენტი, ტექნიკა, სიმკვირცხლე, ფიზიკური მომზადება, რაც ყველაზე მთავარია — პატრიოტიზმი, თავდადება, სამშობლოსა და ერის სიყვარული, ასე რომ აკლდათ ჩვენს ფეხბურთელებს. მათ იმის მინიმუმიც კი ვერ შეძლეს ეჩვენებინათ, რასაც თავიანთ უცხოურ კლუბებში უჩვენებენ.

მე ფეხბურთის დიდი თაყვანიმცემელი ვარ, ვუყურებ ყველა საკლუბო გუნდის მატჩებს, რომლებშიც ქართველები თამაშობენ საზღვარგარეთ. მინახავს, რა გულთბილად ხვდებიან და გულშემატკივრობენ შოთა არველაძეს, იაშვილს, ჯამარაულს, ყაველაშვილს, კობიაშვილს, ქინქლაძეს და სხვებს, როცა ისინი სტადიონზე გამოჩნდებიან ხოლმე. ჩვენ კი რა, კი შეხვდა მაყურებელი ოვაციებით მათ გამოჩენას სტადიონზე, მაგრამ გულმკვდარმა, ცრემლიანმა, უიმედომ დატოვა სტადიონი, პროტესტის ნიშნად ისროდნენ კოკა-კოლას ბოთლებს, იყო ჯერ არ გაგონილი შეძახილები.

მე კი, ერთ-ერთ რიგით მაყურებელს, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა: ყველა ფეხბურთელი, უკლებლივ ყველა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თემურ ქეცბაიას, თამაშობდა იმიტომ, რომ უნდა ეთამაშა ვალის მოხდის მიზნით, შეიძლება ვცდები, მაგრამ მთელი 90 წუთის განმავლობაში ვერ დავინახე ერთიანი, შეკრული გუნდი, აფეთქების ნაპერწკალი, სათამაშო ტექნიკის თუნდაც მინიმუმი, მონდომება, თავდადება, ქართული ფეხბურთისა და მაყურებლის სიყვარული და პატივისცემა.

წავიკითხე მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბატონ რევაზ ძოძუაშვილის გამოთქმული მოსაზრებანი. იგი აღნიშნავს, რომ დავით ყიფიანთან ერთად თანაბრად ინაწილებს პასუხისმგებლობას და სწორი დასკვნების გაკეთებას აპირებენ. საინტერესოა, როდემდე უნდა აკეთონ ეს დასკვნები, როდემდე უნდა იყოს იმედგაცრუებული, თვალცრემლიანი ქართველი გულშემატკივარი?! ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში იყო მაყურებელი. შეუძლებელია აღწერო ის, რაც სტადიონზე ხდებოდა.

პრესკონფერენციაზე რევაზ ძოძუაშვილმა ისიც თქვა, რომ ნაკრებს აქვს ერთი პრობლემა, რომელიც დღემდე ვერ მოაგვარეს — მეკარე გვარამაძემ ვერ შეძლო მათი გადარჩენა. მე კი ვიტყოდი, რომ მეკარეს კი არ უნდა გადაერჩინა ჩვენი ფეხბურთელები, არამედ მათ, ყველას ერთად უნდა გადაერჩინათ თამაში ერთიანი, შეხმატკბილებული მოქმედებით, კოლექტიურობით, ქართული სისხლით, ჯიგრით და გულით.

ვფიქრობ, ბატონ რევაზს სამომავლოდ მარტო მეკარის კი არა, მთლიანად გუნდის პრობლემები აქვს გადასაწყვეტი, საფუძვლიანად უნდა გაარკვიოს და გააანალიზოს ნაკრების წევრთა ურთიერთდამოკიდებულება, ფსიქოლოგია, განწყობა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ არავის სურდა თანაგუნდელის თამაშით წარმოჩენა, ყველა თავისთვის თამაშობდა. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ შეცვლაზე შესულ ჯანაშიასკენ არავის გაუხედავს და ბურთიც კი არ მიუწვდიათ მისთვის.

ან კიდევ დავით ყიფიანის განცხადება პრესკონფერენციაზე: ქინქლაძის მაგივრად ჯამარაულს რომ ეთამაშა, მაშინ იტყოდით, რატომ ქინქლაძემ არ ითამაშაო. ეს უპასუხისმგებლო განცხადებაა. აქ ის კი არაა მთავარი, ვინ რას იტყვის, მთავარი, უმთავრესიც კი, გახლავთ ის, როგორ აფასებენ მწვრთნელები მოთამაშეთა საერთო მომზადებას და საბრძოლო მზადყოფნას და როგორ შემადგენლობას გამოიყვანენ სათამაშოდ. და კიდევ ერთი: დავით ყიფიანი დარწმუნებულია, რომ გუნდს წლეულს გადამწყვეტი თამაში კიდევ ექნება. რუმინეთთან თამაში, რა, ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო და გადამწყვეტი არ იყო ჩვენთვის?! მთავარი გადამწყვეტი მატჩების არსებობა-არარსებობა კი არა, მოთამაშეთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური მომზადება და მებრძოლი გუნდის გაყვანაა მოედანზე.

მეპატიოს და, მე ასე ვიტყოდი: საქართველოს დღევანდელი ნაკრებით და ამ შემართებით, ეჭვი მეპარება, რაიმე სასურველ შედეგს მიაღწიონ გუნდის თავკაცებმა.

**ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲣᲠᲘ**
**რუსთავი**

# ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, ᲑᲘᲭᲔᲑᲝ!

## ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲒᲐᲒᲐᲮᲐᲠᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲗ!

**ᲛᲝᲒᲔᲑᲐ** ვის არ უხარია, მაგრამ მოგებაზე მეტად გაგვახარა იმან, რომ თქვენ მოგება გინდოდათ, მოგებისთვის იბრძოდით, მოგებისთვის თამაშობდით.

ასეთი ბრძოლისა და თამაშის შემდეგ (ღმერთმა სულ გამარჯვების გზებით გატაროთ!) კიდეც რომ წაგეგოთ, ჩვენ ამას გაგიგებდით და არავითარ გულისწყვეტას არ გაგრძნობინებდით, პირიქით, მაინც მადლობელნი დავრჩებოდით, ახლა კი მრავალგზის მადლობელნი ვართ.

ჩვენთვის, ქართველი გულშემატკივრებისთვის გამარჯვება სასურველია, მაგრამ უმთავრესია ის, რაც თქვენ გააკეთეთ: გამარჯვების სურვილი და ჟინი დაგვანახეთ!

ნეტა ასეთი ჟინი და სურვილი ჩვენი ფეხბურთელებისგანაც დაგვენახა. ფეხბურთელთა დამარცხებამ კი დაგვამწუხრა, მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა ქართველი გულშემატკივარი და ზოგადად ქართველი ხალხი შეურაცხჰყვეს: მოგების იოტისოდენა სურვილი ვერ დაგვანახეს, „უჯიგროდ“, წასაგებად ითამაშეს.

თქვენს გამარჯვებაზე ბევრმა გულშემატკივარმა სიამაყის ცრემლი დააფრქვია!

თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო!

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის გულშემატკივართა სახელით ექიმები:* ***როსტომ ცხვედიანი, ლევან გოფოძე, შოთა ხეცურიანი, მალხაზ შანიძე, ლევან თოხაძე, პაპუნა თოლორაია, მანანა ქავზინაძე, ნიკა ლექვთაძე, მალხაზ გოგუა***


# ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ ᲛᲖᲘᲐᲜᲘ ᲦᲐᲛᲔ






ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲗ

ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲦᲐᲛᲘᲡ 2 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.

* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

ᲙᲣᲢᲣᲖᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ №3

(ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲪᲘᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ)

ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ, ᲒᲕᲔᲜᲓᲔᲗ: ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲗ

# დარჩა ბიჭი მშიერი

## ინგლისი

**მანჩესტერ სიტი 0:4 არსენალი**

0:1 ლიუნგბერგი (8), 0:2 ვილტორდი (9), 0:3 ლიუნგბერგი (16), 0:4 კანუ (36)

მანჩესტერ სიტი: ნეში, დანი, გრენვილი, ჰაალანდი, ჰაუი, ვიკენსი, ტიატო, კენედი, ჯეფ უიტლი (შარვე 74), ვანჩოპე (მაკერბი 73), გოტერი

მწვრთნელი: ჯო როილი

არსენალი: სიმენი, ეშლი კოული, ლუზნი, სტეპანოვსი, კიოუნი, ლორენი, ლიუნგბერგი, პარლოუ (ვიეასი 78), კანუ, ვილტორდი (ანრი 74), ედუ (ვიეირა 69)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: კენედი, გრენვილი

34 444 მაყურებელი

**იანვარში** „სტოკპორტიდან" 100 ათას გირვანქად ნაყიდ კარლო ნეშს უბრალოდ არ გაუმართლა: 27 წლის მეკარის დებიუტი პრემიერლიგაში ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის „არსენალის" წინააღმდეგ შედგა. შედეგად, 36-ე წუთზე „მანჩესტერ სიტი" 0:4-ს აგებდა...

ბურთთან პირველივე შეხება ნეშისთვის სავალალოდ დასრულდა — შვედი ფრედრიკ ლიუნდბერგის დარტყმული ბურთი მან თავის კარში მოიგერია. პირველს არც მეორე სჯობდა: 40 წამში (!) მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეული სილვენ ვილტორდის დარტყმულსაც ზუსტად იგივე ბედი სწია.

სტუმრებმა საჩუქარი შეირგეს და ტაიმის ბოლომდეც ასე მძლავრად გააგრძელეს. მესამე გოლისას კანუმ იყოჩაღა, მისი პასის შემდეგ კი ლიუნდბერგმა დებიუტანტ გოლკიპერს ბურთი თავზე გადაუგდო. აქ „მეინ როუდზე" შეკრებილ ფანობას მოთმინების ფიალა აევსო, ერთმა მათგანმა კი ემოციებს ვერ გაუძლო, მოედანზე გადაეშვა და მხოლოდ „სიტის" ნორვეგიელი კაპიტნის ალფი ჰაალანდის თხოვნით დაუბრუნდა ადგილს.

ერჩივნა, მთლად შინ წასულიყო, ვინაიდან მოედანზე სიტუაცია არც ამის მერე შეცვლილა. ლონდონელებმა მეოთხედაც გაიხარეს, როცა ნიგერიელმა კანუმ ნეშსაც აჯობა და მეკარის დასახმარებლად კარის ხაზზე მდგარ სტივ ჰაუისაც. საწყალი კარლოს და მთლიანად „სიტის" საბედნიეროდ, „არსენალი" არ აღმოჩნდა ავსტრალიის ნაკრები და მეორე ტაიმში ვენგერის გუნდმა დიდი ბრძოლების წინ დასვენება არჩია.

ბოლო ნახევარი საათი „სიტის" ფანობა მღეროდა. ცოტა თავისუფლად, ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ, დაახლოებით „ჩვენ ვზივართ ნავში და მივდივართ ტრ...ში" გამოვა. მართლაც მიდიან, ოღონდ პირველ დივიზიონში.

ორი ამბავიც ბოლოსთვის: ძირითადი მეკარე ნიკი ვივერი მანჩესტერელთა მწვრთნელმა ჯო როილმა წინა მატჩში დაშვებული შეცდომის გამო დასვა სათადარიგოთა სკამზე. და მერე — „სტოკპორტში" ჩატარებული თითო „მშრალი" მატჩისთვის კარლო ნეშს ერთი ადგილობრივი საზკვების ობიექტი უფასო სადილით უმასპინძლდებოდა.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 32 | 22 | 7 | 3 | 70:22 | 73 |
| არსენალი | 32 | 17 | 9 | 6 | 53:29 | 60 |
| იფსვიჩი | 32 | 16 | 5 | 11 | 48:37 | 53 |
| ლიდსი | 32 | 15 | 8 | 9 | 48:38 | 53 |
| ლივერპული | 30 | 14 | 8 | 8 | 51:32 | 50 |
| სანდერლენდი | 32 | 13 | 10 | 9 | 37:32 | 49 |
| ჩელსი | 31 | 13 | 9 | 9 | 58:38 | 48 |
| ასტონ ვილა | 32 | 11 | 12 | 9 | 38:34 | 45 |
| ჩარლტონი | 32 | 12 | 9 | 11 | 42:44 | 45 |
| ლესტერი | 32 | 13 | 6 | 13 | 33:38 | 45 |
| საუთჰემპტონი | 31 | 12 | 8 | 11 | 34:39 | 44 |
| ტოტენჰემი | 32 | 11 | 9 | 12 | 38:41 | 42 |
| ნიუკასლი | 30 | 11 | 6 | 13 | 36:43 | 39 |
| ევერტონი | 32 | 10 | 8 | 14 | 36:45 | 38 |
| ვესტ ჰემი | 32 | 8 | 12 | 12 | 37:42 | 36 |
| დერბი ქაუნთი | 32 | 8 | 11 | 13 | 31:51 | 35 |
| მიდლსბრო | 32 | 6 | 14 | 12 | 34:38 | 32 |
| ქოვენთრი | 32 | 7 | 9 | 16 | 31:52 | 30 |
| სიტი | 33 | 6 | 9 | 18 | 35:59 | 27 |
| ბრედფორდი | 31 | 3 | 9 | 19 | 23:59 | 18 |

### პირველი დივიზიონი

**გადადებული მატჩები**

**კრიუ 2:2 ქუინზ პარკი**

0:1 კრუში (15), 0:2 ტომსონი (34), 1:2 ეშტონი (86), 2:2 შ. სმიტი (90)

**პრესტონი 0:0 ჰადერსფილდი**

**შეფილდ იუნაიტედი 1:1 ნორვიჩი**

1:0 რობერტსი (31ს.კ.), 1:1 კენტონი (86)

**ტრანმერი 1:0 ბირმინგემი**

1:0 ნდიაე (70)

**უიმბლდონი 0:2 ბარნლი**

0:1 ტეილორი (1), 0:2 მური (45)

**ბლექბერნი 1:2 ფულემი**

1:0 იენსენი (6), 1:1 საჰა (45), 1:2 დევისი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 40 | 28 | 8 | 4 | 83:27 | 92 |
| ბლექბერნი | 39 | 22 | 10 | 7 | 65:36 | 76 |
| ბოლტონი | 39 | 20 | 13 | 6 | 66:40 | 73 |
| ვესტ ბრომვიჩი | 41 | 20 | 9 | 12 | 55:46 | 69 |
| ბირმინგემი | 41 | 21 | 6 | 14 | 54:45 | 69 |
| პრესტონი | 40 | 19 | 8 | 13 | 51:46 | 65 |
| ნოტინგემი | 40 | 19 | 6 | 15 | 50:46 | 63 |
| უოტფორდი | 40 | 18 | 8 | 14 | 66:57 | 62 |
| შეფილდ იუნ. | 41 | 17 | 10 | 14 | 47:43 | 61 |
| ბარნლი | 40 | 18 | 7 | 15 | 42:48 | 61 |
| უიმბლდონი | 39 | 15 | 13 | 11 | 62:43 | 58 |
| ბარნსლი | 41 | 15 | 8 | 18 | 47:51 | 53 |
| ვულვზი | 39 | 13 | 10 | 16 | 40:40 | 49 |
| ჯილინგემი | 40 | 11 | 15 | 14 | 53:57 | 48 |
| ნორვიჩი | 41 | 12 | 11 | 18 | 42:54 | 47 |
| ქრიუ | 39 | 13 | 7 | 19 | 39:51 | 46 |
| სტოკპორტი | 41 | 9 | 17 | 15 | 52:63 | 44 |
| ჰადერსფილდი | 40 | 10 | 13 | 17 | 42:48 | 43 |
| პორტსმუთი | 40 | 9 | 16 | 15 | 39:50 | 43 |
| გრიმსბი | 40 | 11 | 10 | 19 | 38:55 | 43 |
| კრისტალ პალასი | 40 | 10 | 12 | 18 | 50:59 | 42 |
| უენსდი | 40 | 12 | 6 | 22 | 44:67 | 42 |
| ტრანმერი | 40 | 9 | 8 | 23 | 41:68 | 35 |
| ქუინზ პარკი | 41 | 6 | 17 | 18 | 40:68 | 35 |



მანჩესტერელთა მეკარე კარლო ნეშს ვერც სტივ ჰაუიმ უშველა

SUN



# ტორე მარ, ანდრე, თანაც ფლო!

## შოტლანდია

**გადადებული მატჩი**

**კილმარნოკი 1:2 რეინჯერსი**

0:1, 0:2 ფლო (1, 44), 1:2 მეი (74)

**მესამე** წრის ბოლო, გამოტოვებულ შეხვედრას ზედა ექვსეულში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენა არ შეეძლო, თუმცა „რეინჯერსი" მაინც მეტად სერიოზულად მიუდგა კილმარნოკში სტუმრობას. ეს განსაკუთრებით ძირითადში დაბრუნებულ ტორე ანდრე ფლოზე ითქმის — 12 მილიონად ნაყიდ ნორვეგიელს ბოლო ხანს პრესაში და „აიბროქსის" ტრიბუნებზე კბილი გაჰკრეს, საუკეთესო წლები უკან დარჩენიაო.

40 წამი დასჭირდა ფლოს მასპინძელთა კარში პირველი გოლის გასატანად, როცა ბარი ფერგიუსონის გამჭრიახი პასი გამოიყენა და ხუთკვირიანი უგოლო „დიეტა" დაასრულა. ტაიმის ბოლო წუთზე ისევ ფერგიუსონის დახმარებით ორი წლის წინ საქართველოს ნაკრების [illegible] რეც შეაგდო და კრი[illegible] პარაკო გამოულია.

ნორვეგიელის ზუსტ დარტყმებს შორის „კილმარნოკს" ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ რაც არ ერგებოდა, არც შეერგო: მე-13 წუთზე მსაჯმა სტუმართა კარში პენალტი გამოიგონა, თუმცა ჩვენს მიერ წინა ტურში „დანდის" მშველელად გამოცხადებულმა 38 წლის ალი მაკკოისტმა ისტორიული შანსი ხელიდან გაუშვა — ბურთი შტეფან კლოსმა მოიგერია. არადა, ეს ალბათ ვეტერანის ბოლო შანსი იყო, თავისი ყოფილი გუნდი გაემწარებინა: „რეინჯერსის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს „რეინჯერსის" კარში არასდროს გაუტანია.

მასპინძლებმა ერთი გოლი მატჩის მიწურულს გაქვითეს, თუმცა ეს იყო და ეს.

მომავალ კვირას სქოთთა პრემიერლიგაში ფინალური ეტაპი დაიწყება.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 33 | 28 | 4 | 1 | 81:24 | 88 |
| რეინჯერსი | 33 | 22 | 4 | 7 | 60:31 | 70 |
| ჰიბერნიანი | 33 | 17 | 10 | 6 | 52:25 | 61 |
| კილმარნოკი | 33 | 14 | 7 | 12 | 39:44 | 49 |
| ჰართსი | 33 | 13 | 8 | 12 | 52:44 | 47 |
| დანდი | 33 | 11 | 8 | 14 | 47:41 | 41 |
| დანფერმლაინი | 33 | 11 | 8 | 14 | 32:48 | 41 |
| მოზერუელი | 33 | 11 | 6 | 16 | 37:48 | 39 |
| აბერდინი | 33 | 8 | 12 | 13 | 37:48 | 36 |
| სენტ ჯონსტონი | 33 | 8 | 11 | 14 | 35:48 | 35 |
| დანდი იუნ. | 33 | 5 | 8 | 20 | 30:58 | 23 |
| სენტ მირენი | 33 | 5 | 4 | 24 | 21:64 | 19 |

## საფრანგეთი

**გადადებული მატჩი**

**სტრასბური 0:1 მეცი**

0:1 გაილო (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 30 | 17 | 5 | 8 | 51:35 | 56 |
| ლილი | 30 | 15 | 9 | 6 | 37:21 | 54 |
| ლიონი | 30 | 13 | 13 | 4 | 44:26 | 52 |
| ბორდო | 30 | 13 | 11 | 6 | 42:27 | 50 |
| სედანი | 30 | 13 | 9 | 8 | 41:33 | 48 |
| რენი | 30 | 13 | 6 | 11 | 41:31 | 45 |
| ტრუა | 30 | 11 | 10 | 9 | 42:43 | 43 |
| გენგამი | 30 | 11 | 9 | 10 | 36:40 | 42 |
| ოსერი | 30 | 11 | 7 | 12 | 30:37 | 40 |
| პსჟ | 30 | 11 | 6 | 13 | 39:39 | 39 |
| ბასტია | 30 | 11 | 6 | 13 | 37:37 | 39 |
| მონაკო | 30 | 11 | 5 | 14 | 46:45 | 38 |
| ლანსი | 30 | 9 | 10 | 11 | 34:33 | 37 |
| მეცი | 30 | 8 | 10 | 12 | 30:41 | 34 |
| მარსელი | 30 | 9 | 6 | 15 | 26:36 | 33 |
| სენტ ეტიენი | 30 | 9 | 8 | 13 | 37:47 | 28 |
| სტრასბური | 30 | 6 | 8 | 16 | 25:52 | 26 |
| ტულუზი | 30 | 5 | 10 | 15 | 26:42 | 25 |

*„სენტ ეტიენს" დაკლებული აქვს 7 ქულა*

### ლიგის თასის 1/2 ფინალი

**მონაკო 2:0 ნიორი (II)**

1:0 სიმონე (25), 2:0 გალიარდო (63)

**ლიონი 3:2 ნანტი**

0:1 ზიანი (4), 1:1 ლეგლი (5), 1:2 ვაირუა (10), 2:2 ანდერსონი (52), 3:2 ლეგლი (63)

## ბულგარეთი

**თასის 1/2 ფინალის წილისყრა**

ლოვეჩი — ლევსკი (სოფია); ლოკომოტივი (სოფია) — ველბაჟდი (კისტენდილი)

I მატჩები — 18 აპრილს, საპასუხოები — 2 მაისს. ფინალი — 24 მაისს

## ისრაელი

**თასის 1/2 ფინალის წილისყრა**

ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (თელ ავივი); მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (ფეთახ თიკვა)

მატჩები გაიმართება 8 მაისს

## თურქეთი

**თასის ფინალი**

**ფენერბაჩე 2:2 (პ.ნ. 1:4) გენჩლერბირლიგი**

1:0 ჯონსონი (6), 1:1 ბაიო (14), 1:2 უმით კარანი (54), 2:2 კ. ანდერსონი (67)

## რუმინეთი

**თასის 1/2 ფინალი**

**II მატჩები**

დინამო (ბუქარესტი) — სპორტული (სტუდენტეჩი) (II) 3:1 (2:2); პეტროლული (პლოეშტი) — როკარი (ბუქარესტი) 1:1 (0:3)

ფინალში 13 ივნისს ბუქარესტული კლუბები — „დინამო" და „როკარი" შეხვდებიან

## ამხანაგური მატჩი

**მექსიკა 1:0 ჩილე**

1:0 ოსორნო (84)


Coca-Cola

FIFA WORLD RANKING


| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ბრაზილია | 807 |
| 2 | (2) | საფრანგეთი | 792 |
| 3 | (3) | არგენტინა | 770 |
| 4 | (5) | იტალია | 750 |
| 5 | (4) | პორტუგალია | 735 |
| 6 | (6) | ჩეხეთი | 732 |
| 7 | (7) | ესპანეთი | 725 |
| 8 | (11) | გერმანია | 714 |
| 9 | (8) | პარაგვაი | 713 |
| 10 | (9) | ჰოლანდია | 709 |
| 11 | (10) | იუგოსლავია | 697 |
| 12 | (13) | რუმინეთი | 688 |
| 13 | (12) | მექსიკა | 681 |
| 14 | (16) | ინგლისი | 677 |
| 15 | (15) | კოლუმბია | 667 |
| 16 | (14) | ნორვეგია | 666 |
| 17 | (17) | ხორვატია | 665 |
| 18 | (18) | აშშ | 659 |
| 19 | (21) | შვედეთი | 645 |
| 20 | (19) | რუსეთი | 642 |
| 35 | (38) | უკრაინა | 588 |
| 48 | (47) | უნგრეთი | 559 |
| 64 | (69) | ესტონეთი | 511 |
| 68 | (66) | საქართველო | 499 |
| 74 | (72) | უზბეკეთი | 485 |
| 87 | (89) | ლიტვა | 462 |
| 88 | (99) | ბელარუსი | 454 |
| 93 | (93) | სომხეთი | 447 |
| 94 | (91) | ლატვია | 445 |
| 99 | (97) | მოლდოვა | 424 |
| 114 | (117) | აზერბაიჯანი | 369 |
| 124 | (122) | ყაზახეთი | 318 |
| 131 | (129) | თურქმენეთი | 300 |
| 140 | (138) | ტაჯიკეთი | 277 |
| 162 | (161) | ყირგიზეთი | 188 |

*შენიშვნა: I გრაფაში — ადგილი, II — ადგილი წინა თვეში; III — ქვეყანა, IV — ქულა*

Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

**II ჯგუფი. V ტური**

**პალმეირასი (ბრაზილია) 3:0 სპორტ ბოიზი (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო | 5 | 4 | 1 | 0 | 15:1 | 13 |
| პალმეირასი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| სპორტ ბოიზი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | 0 |

**III ჯგუფი. IV ტური**

**ნასიონალი (ურუგვაი) 2:0 დეპორტეს კონსეპსიონი (ჩილე)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:0 | 10 |
| სან ლორენსო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ხორხე უილსტერმენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| დეპორტეს კონსეპსიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |

# პეპ, მოდი ჩვენთან!

**ასეთები** ცოტანი არიან. მით უმეტეს დღეს, როცა ფეხბურთელები ლამის წელიწადში ორჯერ იცვლიან კლუბებს.

იყო ვარსკვლავიც და მშობლიური კლუბის ერთგულიც? განა რამდენს ჩა მოვთვლით ასეთს? მილანელი მალდინი, მადრიდელი რაული, ლივერპულელი ფაულერი და, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე.

ხოსეპ გვარდიოლა სწორედ ასეთია. ნაღდი კატალონიელი უკვე 17 წელიწადია „ბარსელონაში" თამაშობს. მას საქართველოშიც კარგად იცნობენ, მაგრამ ერთია ტელევიზორში ნანახი და მეორე სტადიონზე განცდილი. ვისაც გვარდიოლა მინდორზე უნახავს, დაგვეთანხმება, ის მეტად ფართო გაქანების მოთამაშეა. ერთნაირი წარმატებით შეუძლია ორ ურთულეს პოზიციაზე — გამთამაშებლად და საყრდენ ნახევარმცველად თამაში. არც ბრძოლისუნარიანობა და ბიჭობა დაეწუნება, რაც გუნდის ყოჩისთვის აუცილებელი თვისებებია.

უკვე ათი წელიწადია კატალონიელი ქომაგების კერპია და ასეთი სიყვარული ალალიც არის მასზე. მართლაც კარგი ფეხბურთელია.

„ბარსასთან" ერთად გვარდიოლას ექვსჯერ მოუგია ესპანეთის ჩემპიონობა, ერთხელ ევროპის ჩემპიონთა, ერთხელაც თასთა თასი და ვინ იცის, კიდევ რამდენი წვრილმანი ტიტული. კაცი, რომელიც კრუიფის „დიდ ბარსაშიც" გამორჩეული იყო, ნამდვილად პატივისცემის ღირსია.

წლეულს კი რა, „ბარსელონა" ქვეყნის ჩემპიონი ვერ გახდება, თუმცა, ეგებ, უეფას თასს გამოჰკრას ხელი და თავისი კოლექცია კიდევ უფრო გაამდიდროს, მაგრამ საამისოდ მომავალ კვირაში „ენფილდზე" „ლივერპულს" უნდა აჯობოს, რაც ერთობ რთული ამოცანაა. მერე კი...

„30 ივნისს „ბარსელონას" დავტოვებ და კარიერას საზღვარგარეთ გავაგრძელებ — ამბობს 30 წლის გვარდიოლა, რომელიც კატალონიურ გიგანტში 13 წლისა მეზობელი „ხიმნასტიკ მანრესადან" მოხვდა — ძალიან ძნელი გადასაწყვეტი იყო, მაგრამ ყველაფერი ავწონ-დავწონე და ვფიქრობ, ასე უკეთესი იქნება. გუშინ საღამოს კლუბის პრეზიდენტ ხუან გასპარს შევხვდი და გულისნადები ვუთხარი.

ჯერ არ ვიცი, სად ვითამაშებ, წინადადება უამრავი მაქვს და დავფიქრდები. მინდა ისევ სუპერკლუბში გადავიდე და რაიმე ტურნირები კიდევ მოვიგო".

ამის თქმა იყო და, ბობოლები თუ საშუალოები აწრიალდნენ. ერთი პირველთაგანი „ნიუკასლის" მწვრთნელი ბობი რობსონი გახლდათ, რომელსაც თავის დროზე გვარდიოლასთან ერთად თასების თასი მოუგია: „თუ ზაფხულში მართლაც აპირებს „ბარსას" დატოვებას, ვეცდები ჩემი უფროსები დავარწმუნო პეპს ღირსეული წინადადება შესთავაზონ, მერე კი თავად გვარდიოლას დაველაპარაკები. ვფიქრობ, საქმეს გავჩარხავთ და ჩვენი გულშემატკივარიც ფრიად გაიხარებს. მართალია ფული ბევრი არ გვაქვს, მაგრამ პირადი ნაცნობობა, შესაძლოა, აქ მთავარი გამოდგეს" — განაცხადა თემურ ქეცბაიას ყოფილმა დამრიგებელმა.

გუშინვე გვარდიოლას გადაბირების სურვილი „ლაციომ" და „პარმამ" გამოთქვეს. „პარმა" ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძვის და შემადგენლობის მნიშვნელოვნად გაძლიერებას აპირებს. „ლაციოდან" კი, როგორც ამბობენ, ხუან სებასტიან ვერონი წავა და გვარდიოლაც მისი ურიგო შემცვლელი არ უნდა იყოს.

ვნახოთ...

**სოლომონ გულისაშვილი**

### ხოსეპ გვარდიოლა სალა

**1971:** 18 იანვარს დაიბადა სანტპედორში (კატალონია)

**1984:** „ხიმნასტიკ მანრესადან" გადადის „ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში

**1989:** დებიუტი „ბარსელონა B"-ში

**1990:** 16 დეკემბერს იოჰან კრუიფის ხელმძღვანელობით „ბარსას" ძირითადში აღნიშნავს დებიუტს. იმ მატჩში „ბარსელონა" „კადისს" 2:0 ამარცხებს. „ბარსას" მაისურით იგებს პირველ ტიტულს — ესპანეთის თასს.

**1991:** პირველად ხდება ესპანეთის ჩემპიონი და იგებს ქვეყნის სუპერთასს. სულ „ბარსელონასთან" ერთად გვარდიოლამ 6-ჯერ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონობა, აქედან 4-ჯერ ზედიზედ.

**1992:** მეორედ ხდება ქვეყნის ჩემპიონი. რონალდ კუმანთან ერთად დიდი წვლილი შეაქვს კლუბის ისტორიაში პირველი ჩემპიონთა თასის მოპოვებაში. ფინალში „უემბლიზე" „ბარსა" „სამპდორიას" დამატებით დროში 1:0 ამარცხებს.

ხდება ოლიმპიური ჩემპიონი და ევროპის სუპერთასის მფლობელი. ნიგერიის წინააღმდეგ პირველად თამაშობს ესპანეთის ეროვნულ გუნდში (0:0)

**1993:** მესამედ იგებს ესპანეთის ჩემპიონობას.

**1994:** ზედიზედ მეოთხედ ხდება ქვეყნის ჩემპიონი, იგებს ესპანეთის სუპერთასს, მონაწილეობს აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე და გოლი გააქვს ბოლივიის კარში. ესპანეთი ტურნირს მეოთხედფინალში, იტალიასთან დამარცხების შემდეგ გამოეთიშა.

**1996:** იგებს ესპანეთის სუპერთასს, თუმცა ხავიერ კლემენტეს ევრო 96-ზე არ მიჰყავს.

**1997:** ხდება თასების თასის მფლობელი. იგებს ქვეყნის თასს და ევროპის სუპერთასს, რის შემდეგაც



მძიმე ტრავმა მის კარიერას სათუოს ხდის.

**1998:** „ბარსელონა" ახალი მწვრთნელის, ლუის ვან გაალის ხელმძღვანელობით ხდება ესპანეთის ჩემპიონი და ქვეყნის თასის მფლობელი. ტრავმის გამო ვერ მონაწილეობს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატში, სადაც ესპანელები ჯგუფიდან ვერ გადიან. ნაკრებს შემოდგომაზე უბრუნდება.

**1999:** „ბარსა" ესპანეთის ჩემპიონი ხდება და ჩინებულად თამაშობს ჩემპიონთა ლიგის საშემოდგომო ეტაპზე. ნაკრები კი ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე გადის.

**2000:** 1995 წლის შემდეგ პირველად რჩება უტიტულოდ. ესპანეთის ჩემპიონატს „დეპორტივო" იგებს, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბარსა" „ვალენსიასთან" მარცხდება.

მონაწილეობს ევრო 2000-ის ყველა მატჩში, სადაც ესპანელები მეოთხედფინალამდე მივიდნენ და იქ მომავალ ჩემპიონ ფრანგებთან წააგეს.

**2001:** აცხადებს „ბარსელონას" დატოვების და რომელიმე უცხოურ კლუბში კარიერის გაგრძელების შესახებ.



# რაულის სადილი შესაძლო დესერტით

**გუშინდელ** „სარბიელში" ვწერდით, რომ რაული მილანში ჩავიდა და „ადიდასის" რეკლამაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოც გაახლეთ, სადაც მადრიდელი ვარსკვლავი, ალესანდრო დელ პიერო, ზინედინ ზიდანი და პატრიკ კლუივერტი ბურთებს კოცნიან. ცხადია, ბურთები „ადიდასის" ნაწარმია.

თუმცა რაულის ხსენება აქ სულ სხვა რამისთვის დაგვჭირდა. საქმე ისაა, რომ მილანში ყოფნისას რაული ადრიანო გალიანისთან ერთად ნახეს რესტორანში.

ცხადია, რაულს, როგორც ნორმალურ ადამიანს, კვება სჭირდება და მისი რესტორანში შესვლა უცნაური სულაც არაა. თავისთავად არც იმაშია რამე გასაკვირი, რომ რაულმა სხვასთან ერთად ისადილა, მაგრამ რაკი ეს სხვა ანუ ადრიანო გალიანი „მილანის" ვიცე-პრეზიდენტია, შესაძლოა, სადილს საინტერესო გაგრძელება მოჰყვეს. აბა, ვინ დადგება გარანტად, რომ გალიანიმ რაულს „მილანში" გადასვლაზე არ გადაუკრა სიტყვა? რაულის საბაზრო ღირებულება დაახლოებით ორმოცდაათ მილიონ დოლარს შეადგენს, ამაზე მეტი რამდენიმე ფეხბურთელში უკვე გადახდილია და რაულში რატომ ვერ გადაიხდიან? მით უმეტეს „მილანი".

რაც ვთქვით (სადილის ფაქტის გარდა), მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ უცებ გაიხსენეს, რომ ფეხბურთელმა ამ სადილამდე ორი დღით ადრე, ჯერ კიდევ მილანში ჩასვლამდე, ჟურნალისტებს უთხრა, „რეალიდან" წასვლას თუ გადავწყვეტ, ესპანეთში არ გავჩერდები, ინგლისში ან იტალიაში გადავბარგდებიო.

23 წლის ფორვარდის ეს თითქოს სხვათა შორის ნათქვამი აიტაცეს და ისიც აღნიშნეს, რაულმა „რეალთან" ერთად ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, წლეულს ესპანეთის ჩემპიონიც გახდება, რითაც მადრიდულ კლუბში თამაშის მოტივაცია აღარ ექნებაო.

ჯერჯერობით აი, სულ ესაა. „რეალის" ქომაგებმა გამოთქმული ვარაუდი არ ირწმუნონ, „მილანის" ფანებმა კი პირიქით — ჩვენ ხომ მხოლოდ სადილის ამბავი გითხარით.

**გიორგი დარჯანია**



ხოსეპ გვარდიოლა (№4) „ბარსელონაში" ბოლო სეზონს ატარებს

## არგენტინა

### კლაუსურა

მე-11 ტური: ინდეპენდიენტე — ლოს ანდესი 4:0; კოლონი — ჩაკარიტა ხუნიორსი 0:1; ესტუდიანტესი — ტალერესი 1:0; რასინგი — ბელგრანო 1:0; ველეს სარსფილდი — ბოკა ხუნიორსი 5:2; რივერ პლეიტი — არგენტინოს ხუნიორსი 3:2; როსარიო სენტრალი — სან ლორენსო 0:3; ლანუსი — უნიონი 3:1; ალმაგრო — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:0; ურაკანი — ხიმნასია (ლა პლატა) 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 11 | 8 | 1 | 2 | 25:13 | 25 |
| სან ლორენსო | 11 | 7 | 2 | 2 | 22:14 | 23 |
| ტალერესი | 11 | 6 | 1 | 4 | 16:11 | 19 |
| რასინგი | 11 | 5 | 4 | 2 | 12:8 | 19 |
| ურაკანი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:16 | 17 |
| ჩაკარიტა | 11 | 5 | 2 | 2 | 10:12 | 17 |
| არგ. ხუნიორსი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:16 | 15 |
| ბოკა ხუნიორსი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:17 | 15 |
| ესტუდიანტესი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:15 | 15 |
| კოლონი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:14 | 15 |
| უნიონი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:17. | 14 |
| ალმაგრო | 11 | 3 | 5 | 3 | 12:11 | 14 |
| ოლდ ბოიზი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:16 | 14 |
| ინდეპენდიენტე | 11 | 4 | 2 | 5 | 12:10 | 14 |
| როსარიო | 11 | 3 | 4 | 4 | 14:17 | 13 |
| ველესი | 11 | 3 | 2 | 5 | 13:16 | 12 |
| ლანუსი | 11 | 3 | 2 | 6 | 18:18 | 11 |
| ხიმნასია | 11 | 2 | 4 | 5 | 11:14 | 10 |
| ბელგრანო | 11 | 2 | 4 | 5 | 6:13 | 10 |
| ლოს ანდესი | 11 | 2 | 4 | 5 | 12:21 | 10 |

## ბელგია

### თასის 1/2 ფინალი

II მატჩები

**ვესტერლო 2:1 ბეერსხოტი (2:1)**

0:1 დაგანო (47), 1:1 ზელენკა (62), 2:1 დელენი (85)

**გენკი 1:1 ლოკერენი (II) (1:2)**

0:1 ტანკარი (63), 1:1 ჩეტილი (82)

## ჰოლანდია

### თასის 1/2 ფინალი

**ჰერენვენი 1:3 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ვან ნისტელროი (43), 0:2 რამზი (54), 1:2 ლურლინგი (82), 1:3 ვან ნისტელროი (83)

## მაკედონია

### თასის 1/2 ფინალის წილისყრა

სკენდია (ტეტოვო) — სლოგა იუგომაგნატი (სკოპიე); პელისტერი (ბიტოლა) — კარაორმანი (სტრუგა) (!!)

I მატჩები — 18 აპრილს, საპასუხოები — 3 მაისს

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# როცა თამაში საინტერესოა

## იოჰანესბურგში სტადიონზე 50 ადამიანი დაიღუპა

**სამხრეთ აფრიკაში,** იოჰანესბურგში, „ელის პარკზე“ „კაიზერ ჩიფზისა“ და „ორლანდო პაირატსის“ შეხვედრის დროს, ჭყლეტაში ორმოცდაათამდე ადამიანი დაიღუპა. ადვილი სათქმელია ორმოცდაათამდე ადამიანი. ეს ხომ სხვის სიცოცხლეს ეხება. ეს ეხება ვიღაცას, რომელიც ან მკვდარია ან ცოცხალი, ან აქეთაა მისათვლელი ან კიდევ იქით. თანაც, ადვილია იმიტომ, რომ იოჰანესბურგი შორსაა ყველა იმ ქვეყნიდან, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი ცნობა მივიდა — დაიღუპა ორმოცდაათამდე ადამიანი.

თუმცა, რაღა შორს. თვით სამხრეთ აფრიკის სპორტის მინისტრს, ნგკონდე ბალფურს უთქვამს პლუს-მინუს ორმოცდაათი დაიღუპაო. იოჰანესბურგის პოლიციის შეფს კრის უილკენს შუაღამის მონაცემებზე დაყრდნობით 43 დაღუპული გამოუცხადებია, ხოლო იმავ პოლიციის პრეს-ატაშე ქალბატონს 33 გვამი კიბეებზე დაუთვლია, ხოლო 14 სტადიონის შემოგარენში. ამბობენ, ორი ბავშვი იყოო.

დიახ, იოჰანესბურგი მართლაც შორს არის, მაგრამ 70 ათასიან სტადიონზე მოხვედრა 120 ათას ადამიანს ყველა ქვეყანაში სურს, სადაც ფეხბურთს საინტერესოდ თამაშობენ. ქვეყნებს შორის განსხვავება კი ამის მერე იწყება. ბევრგან ასეა: ბილეთებს შესაბამისი სამსახურები წინასწარ ყიდიან, ხოლო მათი მფლობელები მატჩის დღეს მშვიდად მიდიან სტადიონზე და ტრიბუნაზე თავიანთ ადგილს იკავებენ, ხოლო თუ ამ სარბიელზე პირველად არიან (ვთქვათ, სტუმარ გუნდს ჩაყვნენ ან რაიმე ამგვარი), მათ სკაუტები გულმოდგინედ უხსნიან, სად არის ესა და ეს სექტორი და რიგი ან სულაც სკამამდე აცილებენ.

მაგრამ ზოგან ისეა, როგორც სამხრეთ აფრიკაში: ბილეთს წინასწარ, ფაქტობრივად, არ ყიდიან და ყველა, ვისაც ფეხბურთის ნახვა მოუნდება, უშუალოდ თამაშის წინ მიდის სტადიონზე. იქ ცალკე ბილეთები იყიდება, ცალკე კონტროლიორი იქრთამება და ტრიბუნები ივსება. დარჩენილებს ეუბნებიან, რომ შიგნით ადგილი აღარ არის და წესით ისინი სახლში უნდა წავიდნენ.

11 აპრილს კი დიდი აჟიოტაჟი იყო და გარეთ დარჩენილებსაც ტრიბუნაზე შესვლა მოუნდათ. ეს, ერთი მხრივ სისულელეა, მაგრამ მეორე მხრივ სრულიად გასაგებია, რადგან ისინი ხედავდნენ, რომ მატჩის სანახავად უკვე გაცილებით მეტი ადამიანი გახლდათ შესული, ვიდრე კანონით უნდა ყოფილიყო. ამბობენ, ზემოხსენებული 120 ათასი ის რიცხვია, რომელიც ფეხბურთს ტრიბუნიდან უყურებდაო. ესე იგი გარეთ დარჩენილებმა ნახეს, რომ 50 ათასმა შეძრომა მოახერხა და გაუჩნდათ ბუნებრივი კითხვა, სადაც ამდენი, იქაც მე რატომ არა?

და ატყდა ჭყლეტა. საინტერესო ამბავს ყვება ერთი თვითმხილველი, 27 წლის ვინმე ერნესტ სიბანე: „ბილეთი წინასწარ მქონდა ნაყიდი, მაგრამ სტადიონზე მისული აღარ შემიშვეს, სავსეაო. ამ დროს უკნიდან მომაწვნენ და წავიქეცი. ვიღაც ხელზე დამეცა. მერე გავიგე, რომ მომკვდარა“.

საოცარი კი ის გახლავთ, რომ დაახლოებით ასეთივე რამ მოხდა 1991 წლის იანვარში, პროვინციულ ქალაქ ორკნიში, სადაც იგივე გუნდები სეზონის წინა ამხანაგურ შეხვედრას მართავდნენ. მაშინ 42 ადამიანი დაიღუპა.

„კაიზერ ჩიფზისა“ და „ორლანდო პაირატსის“ დაპირისპირების 30 წლიან ისტორიაში იყო ცალკეული მკვლელობებიც.

ახლა, ორიოდ სიტყვით ამ გუნდებზე: „ორლანდო პაირატსი“ 1937 წელს არის დაფუძნებული. იგი იოჰანესბურგის ზანგური უბნის, სოუეტოს ახალგაზრდობამ დააარსა და სახელად „პაირატსი“ იმიტომ დაარქვა, რომ მაშინ ძალზედ პოპულარული გახლდათ ფილმი მეკობრეებზე, ცნობილი ვარსკვლავის, ეროლ ფლინის მონაწილეობით.

„კაიზერ ჩიფზი“ 1970 წლიდან არსებობს. იმხანად „პაირატსის“ ყოფილი ვარსკვლავი, კაიზერ მოტაუნგი ამერიკულ კლუბში, „ატლანტა ჩიფზში“ თამაშის შემდეგ სამშობლოში ახალდაბრუნებული იყო და თავისი გუნდის შექმნა სურდა. ძველი ძმაკაცები „პაირატსიდან“ გამოეხმაურნენ, მისი სახელით რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრაშიც მიიღეს მონაწილეობა და დაარსდა კიდეც „კაიზერ ჩიფზი“.

თუმცა, რაც არ უნდა დაარსებულიყო, ვფიქრობთ, ფეხბურთი ბურთაობის ჩარჩოებს არ უნდა სცილდებოდეს. მაგრამ სცილდება და პერიოდულად ისეთ ტრაგედიებში გადაიზრდება ხოლმე, 11 აპრილს „ელის პარკზე“ რომ დატრიალდა.

ამასთან დაკავშირებით გონებაში უნებურად მოდის მაგალითები, რომელთა შორის პირველი, ალბათ, „ეიზელია“. ბრიუსელში 1985 წლის 29 მაისს დატრიალებული საშინელება იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა, რომ საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ ქალაქის მუნიციპალიტეტმა სტადიონს სახელიც კი გადაარქვა — „მეფე ბოდუინი“ უწოდა. მაშინ, ჩემპიონთა თასის ფინალში „ლივერპულისა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრის წინ ინგლისელი ფანები იტალიელთათვის გამოყოფილ სექტორში შეცვივდნენ, რის შედეგადაც ჯებირი ჩაინგრა და 39 ადამიანი იმსხვერპლა.

ეს ტრაგედია, მართალია, ყველაზე სისხლიანი არ ყოფილა, მაგრამ მიზეზთა გამო, უპირველეს ყოვლისა კი იმიტომ, რომ შუა ევროპაში და დიდი საერთაშორისო ფინალის დროს მოხდა, ყველაზე გახმაურებული გამოდგა. მას მოჰყვა ინგლისურ კლუბთა დისკვალიფიკაცია ევროპულ სარბიელთაგან და სტადიონების, თუმცა რაღა სტადიონების, ფეხბურთის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა. მას მერე ფიფა და უეფა ყოველმხრივ ცდილობს სპორტის ამ სახეობის თეატრალიზებას და სტადიონთა თანამედროვე არქიტექტურა თუ ალჭურვაც აქედან მოდის. მოდერნ-სტადიონის კარგი მაგალითია „ამსტერდამ არენა“, სადაც თავად ტრიბუნებიც ამფითეატრის შთაბეჭდილებს ტოვებს, ხოლო საფეხბურთო მინდორი, არც მეტი არც ნაკლები, ოთხი მხრიდან სცენასავითაა ამაღლებული. იმავე მიზანს ემსახურება ინდივიდუალურ სკამთა მოთხოვნა.

საბჭოთაკავშირგამოვლილი გულშემატკივრისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ 1982 წელს მოსკოვში, „ლუჟნიკებზე“ დატრიალებული ტრაგედიაც, რომელსაც კომუნისტური პრესატელევიზია წლობით მალავდა და ამიტომაც მიიღო საგანგებო ელფერი.

საბოლოოდ კი, იმედი ვიქონიოთ, რომ იოჰანესბურგის ტრაგედია ბოლოა, მაგრამ ამ იმედისთვის ბევრი წესის გათვალისწინება და ქცევის შეცვლაა საჭირო, მით უფრო განვითარებად ქვეყნებში.

**ბაჩუნა ძიდია**




იოჰანესბურგის „ელის პარკი“ ძმათა სასაფლაოს დაემსგავსა

### საფეხბურთო ტრაგედიები

**2000 წლის ივლისი, ზიმბაბვე**

13 ადამიანი იმსხვერპლა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდის დაპირისპირებისას მომხდარმა არეულობამ. ტრიბუნებზე წესრიგს პოლიცია იცავდა. მათ ცრემლსადენი გაზიც გამოიყენეს. მოგვიანებით სამართალდამცავებმა აღიარეს საკუთარი დანაშაული და ტრაგედიაში პოლიციელთა ქმედების როლიც დაადასტურეს.

**11 იანვარი, 1999წ, ალექსანდრია**

ჭყლეტაში დაიღუპა 11 ადამიანი „კორმასა“ და „ალ ითთიჰადის“ მატჩის შემდეგ.

**ნოემბერი, 1998წ. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კინშასა**

კინშასური „ვიტა კლუბისა“ და „მოტემა პემბეს“ დერბისას სპეცდანიშნულების რაზმმა ცეცხლი გაუხსნა მაყურებელს. დაიღუპა 4 ადამიანი.

**16 ოქტომბერი, 1996წ. გვატემალა**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის, გვატემალა — კოსტა-რიკას მსვლელობისას ჩამოქცეულმა სტადიონის ტრიბუნამ 82 გულშემატკივარი იმსხვერპლა. 147 კაცმა მიიღო სხეულის სხვადასხვაგვარი დაზიანება.

**8 დეკემბერი, 1996წ. ლიბერია**

ლიბერიაში 8 კაცი დაიღუპა და 39 დაიჭრა სროლის შედეგად. სპეცრაზმელებმა ცეცხლი გულშემატკივრებს გაუხსნეს, რომლებიც ლიბიის დიქტატორ მუამარ კადაფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

**16 ივნისი, ზამბია, ლუკასი**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის, ზამბია — სუდანის მსვლელობისას ჭყლეტაში დაიღუპა 7 კაცი.

**8 აპრილი, 1995წ. სიერა ლეონე**

40 კაცამდე დაშავდა, როდესაც სტადიონის შესასვლელი კარები ჩამოვარდა. გულშემატკივრები სტადიონზე შეჭრას ცდილობდნენ.

**19 ივლისი, 1992წ. რიო დე ჟანეირო**

„მარაკანას“ ტრიბუნის ჩამოქცევის შედეგად 50 ადამიანი დაშავდა.

**5 მაისი, 1992წ. საფრანგეთი**

15 ადამიანი იმსხვერპლა დროებით გამართული ტრიბუნის ჩამოქცევამ „ფურიანის“ სტადიონზე. ეს საფრანგეთის თასის ნახევარფინალური თამაშის „ბასტია“ — „ოლიმპიკის“ დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოხდა.

**15 ივლისი, 1991წ. კენია, ნაირობი**

ერთი გულშემატკივარი დაიღუპა და 24 დაშავდა აფრიკის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს.

**14 ივლისი, 1991წ. სამხ. აფრიკა, იოჰანესბურგი**

„ორლანდო პაირატსისა“ და „კაიზერ ჩიფსის“ დაპირისპირების დროს მომხდარმა ჩხუბმა 42 გულშემატკივრის სიცოცხლე შეიწირა.

**15 აპრილი, 1989წ. ინგლისი, შეფილდი**

მასობრივ ჭყლეტაში „ჰილსბროს“ სტადიონზე, სადაც ქვეყნის თასის ნახევარფინალურ მატჩში „ლივერპული“ „ნოტინგემ ფორესტს“ ეთამაშებოდა, 95 კაცი დაიღუპა და 200 დაშავდა.

**12 მარტი, 1988წ. ნეპალი, კატმანდუ**

70 კაცის სიცოცხლე შეიწირა საფეხბურთო მატჩის დროს ატეხილმა ჭექა-ქუხილმა.

**მარტი, 1988წ. ლიბია, ტრიპოლი**

ორი ადამიანი იმსხვერპლა ჩამოქცეულმა ტრიბუნამ.

**29 მაისი, 1985წ. ბელგია, ბრიუსელი**

„ეიზელის“ სტადიონზე გამართულ ჩემპიონთა თასის ფინალური შეხვედრის, „ლივერპული“ — „იუვენტუსის“ მსვლელობისას მომხდარმა არეულობამ 39 გულშემატკივარი იმსხვერპლა.

**26 მაისი, 1985წ. მექსიკა, მეხიკო**

სტადიონზე უბილეთო მაყურებელთა სტადიონზე შეჭრის მცდელობისას დაიღუპა 10 და დაშავდა 29 კაცი.

**11 მაისი, 1982წ. ინგლისი, ბრედფორდი**

სტადიონზე გაჩენილმა ხანძარმა 56 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაშავდა 200-ზე მეტი გულშემატკივარი.

**ნოემბერი, 1982წ. კოლუმბია**

მთვრალი გულშემატკივრების მიერ მოწყობილი ჭყლეტის დროს დაიღუპა 24 და დაშავდა 250 კაცი.

**ნოემბერი, 1982წ. ალჟირი**

სტადიონის ბეტონის სახურავმა 10 კაცი დაიტანა

**ივლისი, 1982წ. სსრკ, მოსკოვი**

სხვადასხვა მონაცემებით, 66-დან 340 კაცამდე დაიღუპა „ლუჟნიკებზე“ მომხდარი ჭყლეტის შემდეგ. გულშემატკივრები ცდილობდნენ, „სპარტაკი“ — „ჰაარლემის“ მატჩის ბოლო წუთზე გატანილი გოლის შემდეგ სტადიონზე დაბრუნებულიყვნენ.

**თებერვალი, 1981წ. საბერძნეთი, პირეოსი**

სტადიონის შესასვლელში მომხდარმა ჭყლეტამ 24 კაცის სიცოცხლე შეიწირა.

**აგვისტო, 1979წ. ნიგერია**

სტადიონის განათების სისტემის გამორთვამ 24 კაცი იმსხვერპლა. დაშავდა 27 ადამიანი.

**მაისი, 1978წ. განა**

15 კაცი დაიღუპა და 35 დაშავდა სტადიონის კედლის ჩამონგრევის შედეგად.

**იანვარი, 1971წ. გლაზგო**

„აიბროქსზე“ 66 კაცი ჭყლეტაში დაიღუპა.

**1968წ. არგენტინა**

მთვრალი გულშემატკივრების მიზეზით, რომლებიც ტრიბუნებზე ალმოდებულ ქაღალდებს ისროდნენ, გამომწვეულმა ჭყლეტამ 70 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა.

**მაისი, 1964წ. პერუ, ლიმა**

მასობრივ ჩხუბს, რომელიც ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩის, არგენტინა — პერუს დროს მოხდა, 300-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

# მოვიგეთ, ფარინა! გაგიჭირდებოდათ

## უვიდუკო ნაკრებში ტომპსონს გააქვს



იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**

**ოკეანეთი**

**I ჯგუფი. III ტური**

**ავსტრალია 31:0 ამერიკის სამოა**

1:0 კონ ბუციანისი (10)
2:0 არჩი ტომპსონი (12)
3:0 დევიდ ზდრილიჩი (13)
4:0 აურელიო ვიდმარი (14)
5:0 ტონი პოპვიჩი (17)
6:0 ტონი პოპვიჩი (19)
7:0 დევიდ ზდრილიჩი (21)
8:0 არჩი ტომპსონი (23)
9:0 დევიდ ზდრილიჩი (25)
10:0 არჩი ტომპსონი (27)
11:0 არჩი ტომპსონი (29)
12:0 არჩი ტომპსონი (32)
13:0 დევიდ ზდრილიჩი (33)
14:0 არჩი ტომპსონი (37)
15:0 არჩი ტომპსონი (42)
16:0 არჩი ტომპსონი (45)
17:0 კონ ბუციანისი (50)
18:0 საიმონ კოლოსიმო (51)
19:0 ფაუსტო დე ამიკისი (55)
20:0 არჩი ტომპსონი (56)
21:0 დევიდ ზდრილიჩი (58)
22:0 არჩი ტომპსონი (60)
23:0 არჩი ტომპსონი (65)
24:0 დევიდ ზდრილიჩი (66)
25:0 დევიდ ზდრილიჩი (78)
26:0 აურელიო ვიდმარი (80)
27:0 საიმონ კოლოსიმო (81)
28:0 კონ ბუციანისი (84)
29:0 არჩი ტომპსონი (85)
30:0 არჩი ტომპსონი (88)
31:0 დევიდ ზდრილიჩი (89)

**მსოფლიოს ჩემპიონატის** შესარჩევ მატჩში ავსტრალიის ნაკრებმა ამერიკის სამოას 31:0 მოუგო და შედეგიანობის ახალი რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი, იმავე ავსტრალიელთა მიერ დამყარებული (ტონგასთან 22:0), ხანმოკლე გამოდგა, მხოლოდ ორ დღეს გაძლო. ეს უკვე გვეწერა. გვეწერა ისიც, რომ მატჩის შემდეგ დიდი კამათი იყო ზუსტი ანგარიშის თაობაზე.

აი, რა მოხდა. ავსტრალიელებმა 28-ე გოლი 84-ე წუთზე გაიტანეს. რამდენიმე წამში მსაჯმა არჩი ტომპსონს ერთი გოლი არ ჩაუთვალა და კიდევ რამდენიმე წამში ავსტრალიელებმა კვლავ შეაგდეს. საბრალო ტაბლოს მომსახურეს, ამდენი სამუშაოთი თავგზააბნეულს, გოლის არჩათვლა გამოეპარა და 28-ის მერე 30 აციმციმა.

შეცდომა მხოლოდ მატჩის დასრულების შემდეგ აღმოაჩინეს. ვიღაცამ თქვა, ასე და ასე იყოო, მაგრამ დამტკიცება ხომ უნდოდა. დელეგატი ერთი კაცის ნათქვამს აბა, როგორ ირწმუნებდა. ჰოდა, დაიწყო ტვინის ჭყლეტა — რომელი გოლი რომლის მერე გავიდა და ასე შემდეგ. ბოლოს და ბოლოს 31-ზე შეთანხმდნენ, მით უმეტეს, რომ ავსტრალიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმაც თქვა, ოქმში 31:0 ჩავწეროთო.

თითქმის ყველაფერი გაირკვა, მაგრამ ფიფა შედეგის დამტკიცებას არ ჩქარობს, 32-ე გოლის ამბავი კარგად უნდა გამოიკვლიოთო.

ფიფა სიზუსტეს იცავს, თორემ აბა, რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ერთი გოლი იქეთ იქნება თუ აქეთ, ოცდაათს რომ გადასცდება, სულერთია.

მეგოლეებს ახლა სხვა კუთხით შევხედოთ. 31 გოლი შვიდმა ავსტრალიელმა გაინაწილა. ამათგან ერთი, ორი და სამი გოლის გამტანების ცალკე აღნიშვნა უხერხულიცაა, აი, დევიდ ზდრილიჩის უიღბლობა კი კაცს გულს აუჩუყებს — ფეხბურთელმა ერთ თამაშში რვა გოლი გაიტანა და გმირი ვერ გახდა.

არჩი ტომპსონს კი იღბალი აშკარად სწყალობს. ჰარი კიუელს და მარკ ვიდუკას რომ ეთამაშათ, გოლს ვინ ჩივის, ტომპსონისთვის შემადგენლობაში ადგილი არც მოიძებნებოდა.

თამაშის მერე ავსტრალიელთა მწვრთნელი ფრენკ ფარინა ცოფებს ყრიდა. არა, არაფერი გვეშლება, მართლა ასე იყო. ფარინას რისხვა იმას გამოუწვევია, რომ ტონგასა და სამოასთან სათამაშოდ ვიდუკა და კიუელი არ ჩადიან. ამის გამო მას გუნდის წესიერად მომზადების საშუალება არა აქვს და საშუალო დონის გუნდებსაც ველარ უმკლავდება.

მაგრამ ლიდსელებიც როგორ გავამტყუნოთ — კლუბს ინგლისში და ჩემპიონთა ლიგაში გადამწყვეტი მატჩები ელის და ისინი სამოასთან სათამაშოდ მოცლნენ? ამიტომაც ფარინა მოითხოვს — აღარ გვინდა ასეთ უსუსურ გუნდებთან თამაში. ისეთი მეტოქეები მომიძებნეთ, რომლებთან შესახვედრადაც უძლიერეს შემადგენლობას შევკრებ და გუნდს გამოცდილებას შევძენო. ისე, რა ქნას ამ კაცმა, ორ თამაშში მის ნაკრებს 53 გოლი გააქვს, მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდება და ჯოხი მწვრთნელზე უნდა გადატყდეს.

ფარინას ამ სიტყვებმა ფიფა აღაშფოთა. ფიფას აღმასკომში ოკეანეთის წარმომადგენელმა ავსტრალიელთა მწვრთნელს თითი დაუქნია, ეგეთ ლაპარაკს შეეშვი, სამოა და ტონგა რაგინდ სუსტები იყვნენ, ფეხბურთის თამაშის უფლება აქვთო.

სულ ავსტრალიაზე რომ ვლაპარაკობთ, ამერიკის სამოაც ვახსენოთ. ბოლოს და ბოლოს ამ გუნდის უსუსურობა რომ არა, ავსტრალია რეკორდს ვერ დაამყარებდა.

ამერიკის სამოას ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის თადარიგი ექვსი თვით ადრე დაიკავა და ნაკრების მზადებას შეუდგა. იქაურები აბა, რომელ ევროპულ კლუბში გინახავთ, რომ სანაკრებოდ დრო ვერ გამოეძებნათ. ტურნირის დაწყების წინ კი ყოვლად სულელური რამ შეემთხვათ. ფიფამ აღმოაჩინა, რომ ნაკრების თვრამეტ წევრს მშობლიური პასპორტები არ ჰქონია. რა ექნათ? დარბოდნენ ფედერაციის წარმომადგენლები სამოურ სკოლებში და სკოლის მერხიდან არჩევდნენ ბავშვებს.

ახალი გუნდის მოსამზადებლად ორი კვირა გვქონდაო, თავი იმართლა ავსტრალიასთან ფიასკოს შემდეგ მავანმა სამოელმა ჩინოსანმა.

თავს უფლებას მივცემთ და ჩინოსანის სიტყვებს ვერ დავიჯერებთ. ორკვირიანი მზადება თეორიული გაკვეთილების გარდა ვარჯიშსაც ნიშნავს, ვარჯიშს კი სპორტული ფორმა სჭირდება. საინტერესოა, რითი ვარჯიშობდნენ ყმაწვილი სამოელები, თუ ბუცები კოფს ჰარბურში ჩასვლის შემდეგ, ფიჯელებთან პირველი მატჩის წინა დღეს იყიდეს? მგზავრობის ამბავიც ვთქვათ. სამშობლოდან სიდნეიმდე ჩაღწევას ცხრასაათიანი ფრენა დასჭირდა, იქიდან კოფს ჰარბურამდე კიდევ რვა საათი ავტობუსით. ჰოდა, რა უნდა მოსთხოვო?

რომ ვთქვით, სამოამ ბავშვები ათამაშა, განვმარტოთ. ნაკრების ერთი წევრი 30 წლისაა, ორი ფეხბურთელი თხუთმეტის, დანარჩენები კი 18-19 წლისანი.

წესით, თავმოყვარე გუნდი ამერიკის სამოელთა განადგურებით, რომელიც, სხვათა შორის, ფიფას რეიტინგში ბოლო, 203-ე ადგილზეა, არ უნდა ამაყობდეს.

**გიორგი დარჯანია**

**სამოა ჩ6 ფიჯი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 2 | 2 | 0 | 0 | 53:0 | 6 |
| ფიჯი | 2 | 2 | 0 | 0 | 19:1 | 6 |
| სამოა | 3 | 1 | 0 | 2 | 9:7 | 3 |
| ტონგა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:22 | 3 |
| ამერიკის სამოა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:52 | 0 |





არჩი ტომპსონმა ამერიკის სამოელები ცამეტჯერ დააწიოკა

## ფეხბურთის რუკასთან



**დანიელმა** მცველმა თომას ჰელვეგმა ახალი სეზონიდან შესაძლოა „ინტერს" მიაშუროს. „უდინეზეს" ყოფილმა და „მილანის" ამჟამინდელმა მოთამაშემ განაცხადა: „შესაძლო ტრანსფერზე ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ, თავად მე სავსებით რეალურად მიმაჩნია, რომ ახალი სეზონიდან „ინტერის" მაისურა მოვირგო". ასევე გავრცელდა ცნობა, რომ დანიელს „პარმა" ყიდულობდა, თუმცა ეს მან თავად უარყო: „პარმადან" არავინ შემხმიანებია, აგენტმა კი ისიც მითხრა, რომ ჩემით ერთ-ერთი ესპანური კლუბია დაინტერესებული. მე უფრო მგონია, რომ სეზონის ბოლოს მეორე მილანურ გუნდში გადავალ".

**ინგლისური „ევერტონის" თავდამსხმელი ფრენსის ჯეფერსი დარჩენილ სეზონში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი საოპერაციო შეიქნა. „ჯეფერსის არყოფნა ძალიან სამწუხაროა — განაცხადა ლივერპულელთა თავკაცმა უოლტერ სმიტმა — წინა უქმეებზე გამონაკლისი შემთხვევა იყო, როცა გუნდში ერთდროულად სამივე ფორვარდს შეეძლო თამაში. ახლა კი ერთ-ერთი ისევ დაიმტვრა". აღსანიშნავია, რომ 20 წლის ჯეფერსს, რომელიც „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრის დროს დაშავდა, პრემიერლიგის რამდენიმე ძლიერი კლუბი ეპატიჟება.**

**ჰოლანდიური** „უტრეხტის" ნახევარმცველი პატრიკ ცვაანცვიკი არჩევანის წინაშე დგას. წამყვანი ევროპული კლუბებიდან, რომლებიც მის ხელში ჩაგდებას ცდილობენ, ყველაზე მეტად „ლივერპული", მიუნხენის „ბაიერნი", „ლიდს იუნაიტედი" და „არსენალი" აქტიურობენ. ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა: „უტრეხტის" ბოლო რამდენიმე მატჩს პრემიერლიგური კლუბის წარმომადგენლობა დაესწრო, მოსალოდნელია, რომ პატრიკმა სეზონის ბოლოს ჰოლანდია დატოვოს. თუმცა დაზუსტებით არ გადაწყვეტილა, რომ იგი მაინცდამაინც ინგლისში გადავა, რადგან რეალური შეთავაზება გერმანიიდან და ესპანეთიდანაც მივიღეთ."

**ირანის ნაკრების თავდამსხმელმა მეჰდი მაჰდავიკიამ „ჰამბურგთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა. 23 წლის ფეხბურთელს „დეპორტივომ" და „პარი სენ ჟერმენმაც" მიაქცია ყურადღება, მაგრამ აზიელმა მომავალი სამი წლით გერმანიაში დარჩენა არჩია. მაჰდავიკია „ჰამბურგში" მეორე სეზონს ატარებს, ბუნდესლიგელებმა იგი ირანის წამყვან კლუბ თეირანის „ფირუზიდან" 3 მილიონ დოლარად შეიძინეს. ესპანეთის ჩემპიონი ყაბულს იყო, თავდამსხმელის სანაცვლოდ 5 მილიონ დოლარზე მეტი გაეღო.**

**ინგლისური** „ნიუკასლ იუნაიტედი" ესპანური „ვილიარეალის" თავდამსხმელ ვიქტორ ფერნანდესს აკვირდება და წარმომადგენლებიც გაგზავნა პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „ვილიარეალსა" და „ბარსელონას" შორის. ინგლისელებმა ესპანელებს შეუთვალეს, ვიქტორი 5 მილიონ გირვანქად მოგვყიდეთო.

**ხორვატი თავდამსხმელი მილან რაპაიჩი ახალი სეზონიდან შესაძლოა კვლავ იტალიაში დაბრუნდეს და კარიერა „ფიორენტინაში" გააგრძელოს. შეგახსენებთ, რომ 27 წლის ფეხბურთელმა ამ სეზონის დაწყებამდე „პერუჯა" დატოვა და „ფენერბაჰჩეში" ჩაირიცხა, მას შემდეგ, რაც იტალიურ კლუბში სამი სეზონი გაატარა. თურქეთში გადასვლის შემდეგ კი იგი მალევე დაშავდა და წლეულს ვერაფრით გამოიჩინა თავი. იტალიური სააგენტოების ცნობით, რაპაიჩს სტამბოლის დატოვება სურს და მალე, ალბათ, ფლორენციაში აღმოჩნდება.**

**პორტუგალიელი** ნახევარმცველის სერჟიუ კონსეისაუს შეძენით ტურინის „იუვენტუსია" დაინტერესებული. „პარმასა" და ტურინულ კლუბს შორის მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ კონსეისაუ რომის „ლაციოდან" გასულ ზაფხულს გაუშვეს, თან თანხაც დაამატეს. თავად პორტუგალიელის აგენტი ახლა ირწმუნება, რომ მისი „იუვენტუსში" გადასვლა სავსებით რეალურია.

**გერმანული „ფრაიბურგის" ტუნისელმა ნახევარმცველმა ზუბეირ ბაიამ კარიერა, შესაძლოა, ფრანგულ „სოშოში" გააგრძელოს. ტუნისელს ბუნდესლიგურ კლუბთან ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უსრულდება და გუნდს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. მას რამდენიმე ესპანური და ინგლისური კლუბიც იწვევს. ბაია „ფრაიბურგის" მეორე ფეხბურთელია, რომელიც სეზონის ბოლოს კლუბის დატოვებას აპირებს, რადგან თავდამსხმელმა მარკო ვაისჰაუპტმა როსტოკის „ჰანზასთან" კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი.**

**ინგლისელი** ნახევარმცველი ნიკი ბარმბი „ლივერპულს" ტრავმის გამო რამდენიმე კვირით გამოაკლდება. ასოციაციის თასზე „უიკომბთან" ნახევარფინალურ შეხვედრაში მან კოჭი იტკინა. „ექიმები ამბობენ, რომ ბარმბი სამი კვირით ვერ ითამაშებს. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ვადა კიდევ უფრო არ გახანგრძლივდება" — განაცხადა „ლივერპულის" მწვრთნელმა ჟერარ ულიემ. ბუნებრივია, ბარმბი უეფას თასის ნახევარფინალში „ბარსელონას" ვერ დაუპირისპირდება.

**გერმანიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ტომას დოლმა, რომელიც ახლა „ჰამბურგში" თამაშობს, ტრავმა მიიღო და გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა. დოლი ახლა 35 წლისაა და შიშობენ, რომ მას შესაძლოა კარიერის დასრულებაც მოუხდეს, რადგან ოპერაცია სჭირდება. შეგახსენებთ, რომ გერმანელი ადრე „ლაციოს" ღირსებას იცავდა, ბუნდესნაკრებში კი 47 შეხვედრა ჩაატარა. დოლმა ადრე განაცხადა, კარიერის დასრულების შემდეგ „ჰამბურგში" ვიმუშავებო. მას შესაძლოა მოზარდთა გუნდი ჩააბარონ.**

**საფრანგეთის** ჩემპიონ „მონაკოს" მექსიკელი მცველი რაფაელ მარკესი შესაძლოა მადრიდის „რეალში" გადავიდეს. „სამეფო კლუბი" თანახმაა, იგი 13 მილიონ გირვანქად იყიდოს. „ჩემთვის „რეალში" თამაში საოცნებოა. აგენტი მარწმუნებს, რომ ტრანსფერი რეალურია" — განაცხადა მარკესმა. აღსანიშნავია, რომ იგი „ბარსელონამაც" მიიპატიჟა, თუმცა „მონაკო" და კატალონიური კლუბი ვერ შეთანხმდნენ.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)




დედამიწის უმაღლესი მწვერვალის რაიონის პიკები

# ცოცხითა და წერაყინით დედამიწის სახურავზე

**ჰიმალაის** მწვერვალებზე მთამსვლელური სეზონი დაიწყო. მთელი მსოფლიოს ალპინისტები მიაწყდნენ იქაურ ცათამბჯენებს. ერთნი უვალი გზებით აპირებენ ლაშქრობას, მეორენი გატკეპნილი ბილიკებით; მესამეთა მთავარი მიზანი სხვადასხვა სახის მეცნიერული გამოკვლევებია, მეოთხეთა ამოცანა კი ფოტო-კინოგადაღებები...

დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ფერდობებს ჩრდილოეთიდან შესდგომია ერთი, ჩვენს ცნობიერებაში ცოტა არ იყოს უცნაური ექსპედიციაც, რომელსაც ეკოლოგიური ეწოდება. მის შემადგენლობაში სხვებთან ერთად არიან თბილისელი მთამსვლელი გია თორთლაძე და ექსპედიციის ექიმი ზურაბ ასტახიშვილიც.

— ამ ექსპედიციას ორი მიზანი აქვს. ერთი, უმთავრესი, ითვალისწინებს სხვა ექსპედიციების ნარჩენებისგან მწვერვალის ფერდობების გასუფთავებას, მეორე — მწვერვალის დალაშქვრას. ექსპედიციაში, რომელსაც ხელმძღვანელობს იაპონელი კენ ნოგუჩი, არის 2 მისი თანამემამულე, ამდენივე კორეელი და ქართველი, აგრეთვე 30 შერპი. ამათგან მე, ერთი კორეელი და ორი-სამი შერპი ევერესტზე ასვლას ვეცდებით, დანარჩენები კი მწვერვალის ფერდობებიდან სხვა ექსპიდიციების მიერ დატოვებულ ნაგავს ჩამოიტანენ, — გვითხრა ნეპალში გამგზავრებამდე გია თორთლაძემ.

შარშან გია თორთლაძე სამ იაპონელთან და 23 შერპთან ერთად მონაწილეობდა ანალოგიურ ექსპედიციაში.

მაშინ ის და კიდევ ერთი შერპი, როგორც თორთლაძემ გვითხრა, საშინელი უამინდობის გამო იძულებული გახდა 8 700 მეტრის სიმაღლიდან პირი ებრუნებინა. იმ დღეებში „დედამიწის სახურავს" თავს ისეთი ქარაშოტი დაუტეხია, რომ სხვა ექსპედიციების სამი მთამსვლელი დაღუპულა.

ისინი არც პირველნი იყვნენ და არც უკანასკნელნი, რომლებიც ევერესტს სამუდამოდ შეეყინნენ. მათგან პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა შვიდი შერპი, რომლებიც 1922 წელს ჩრდილოეთიდან ასვლის ცდისას დაიღუპნენ. მას მერე ევერესტზე და საერთოდ ჰიმალაის მთებში დაღუპულთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. მათმა რაოდენობამ 2001, წლის იანვრისთვის 604 მიაღწია. მიუხედავად ამისა, ჰიმალაის ცათამბჯენზე ამსვლელთა რაოდენობა მატულობს და მატულობს.

მატულობს ნეპალის შემოსავალიც, რაც ძირითადად სწორედ მთამსვლელობასა და სამთო ტურიზმზეა დაფუძნებული. ამბობენ, რომ აზიის ეს პატარა, ჩამორჩენილი სამეფო „მწვერთალთა გაყიდვით" დაწინაურებას ცდილობსო.

„გასაყიდი" მწვერვალები კი ნეპალს თავზესაყრელად აქვს. აქ 7000 მეტრს მიახლოებული და უფრო მაღალი 280-მდე მარადთოვლიანი მწვერვალია, რომელთა „ყიდვასა" და დალაშვქვრასაც მთამსვლელები ესწრაფვიან, მაგრამ ყველა მათგანი როდი „იყიდება". ნეპალის ხელისუფლება ასვლის უფლებას მხოლოდ ნახევარზე თუ იძლევა. სამთო ტურიზმის მოყვარულთათვის ღიაა კიდევ 18 მარშრუტი. მართალია, ის მარშრუტები ჰიმალაურ მასშტაბებთან შედარებით დაბალ მთებში გადის, მაგრამ შემოსავალს მაინც გვარიანად იძლევა.

მაინც, რას აძლევს ეს ყინულოვანი მწვერვალები ნეპალს? ამ კითხვით დავინტერესდით, როცა 1982 წლის გაზაფხულზე გოლიათ მთებში ჩაკარგულ ამ პატარა ქვეყანას ვესტუმრეთ და დედამიწის უმაღლესი მწვერვალის საბაზო ბანაკამდე ლაშქრობა მოვაწყვეთ. მაშინ ნეპალის ტურიზმის სამინისტრომ, რომელიც მთებში ლაშქრობისა და მწვერვალებზე ასვლების უფლებას იძლევა, გვაცნობა, რომ ჩვენი მთების "ექსპლოატაციის" შედეგად 1977 წელს უცხოური ვალუტით 2,2 მილიონი დოლარი მივიღეთო, 1980 წელს კი ხაზინა უკვე 52 მილიონი დოლარით შეუვსიათ.

სამწუხაროდ, არ ვიცით ნეპალის დღევანდელი ამგვარი შემოსავლის რაოდენობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ, 1982 წლის გაზაფხულზე დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე სამად-სამი ექსპედიცია მოეწყო და ეს იმ დროის სარეკორდო მაჩვენებელი იყო სეზონზე, ახლა კი საგაზაფხულო ასვლებისას იქ 20-25 ექსპედიცია იყრის თავს, ნათელი გახდება, თუ რაოდენი მოგება მოაქვს ევერესტს ამ სამეფოსთვის. ანგარიში რომ გაგიიოლდეთ, იმასაც გაცნობებთ, რომ ევერესტის რაიონში ექსპედიციის მოსაწყობად 50 ათასი დოლარიდან 250 ათას დოლარამდე უნდა გადაიხადოთ. ფასი დამოკიდებულია ექსპედიციის წევრთა რაოდენობაზე და საჭურველის მოცულობაზეც. ამას მიათვალეთ ექსპედიციათა ანალოგიური ზრდა დანარჩენ რვაათასიანებზე, შვიდიათასაიანებზე, ზოგჯერ ექვსიათასიანებზე და ტურისტულ ბილიკებზე.




ევერესტის ფერდობებზე 8 100 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ბოლო საიერიშო IV ბანაკში დატოვებული ეს ცარიელი ჟანგბადის ბალონები სხვათა ჩამოსატანი გამხდარა

მთამსვლელთა და ტურისტთა შემოსევა ნეპალში და მის მთებში დაიწყო 1949 წელს, როცა ამ ქვეყნის ჭიშკარი უცხოელთათვის გაიხსნა. მანამდე ვინც უნებართვოდ შეაღწევდა ნეპალში, სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. როცა ამ ქვეყნის საზღვარი უცხოელთათვის გაიხსნა, ნეპალში მთელი ძალით ამოქმედდა ტურიზმის ინდუსტრია. განსაკუთრებით პოპულარულია 16-დღიანი ტურისტული ლაშქრობები ევერესტის რაიონში, სადაც მის გვერდით აღმართულა კიდევ ერთი რვაათასიანი, ოთხთავა ლჰოცე და არანაკლებ სახელგანთქმული, ლამის რვაათასიანი ნუფცე. მათ მისადგომებამდე შეგხვდებათ ჰიმალაური მასშტაბებით ტანმორჩილი, მაგრამ ულამაზესი მწვერვალები, მათ შორის ამა დაბლამი, ზღაპრულ ბუნებაში ჩაფლული, 4 000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სოფელი ტიანგბოჩე...

ამიტომაცაა, რომ ვისაც მუხლში ძალა ერჩის, ყველა იქით მიიწევს, უფრო ძლიერები და ფულიანები კი ევერესტისკენ ილტვიან, მაგრამ ტურისტთა და მთამსვლელთა შემოსევას ნეპალის მთებისთვის ზიანიც მოაქვს, განსაკუთრებით ევერესტის რაიონისთვის, რომელიც დელის გაზეთ „ნეშნლ ჰერალდის" თქმით, „გაუვალ ეკოლოგიურ ჯურღმულად" ქცეულა. წინათ თუ ცარიელი კონსერვის ქილებით, სიგარეტის კოლოფებით, ცელოფნის პარკებითა და სხვა მისთანებით განსაკუთრებით ნაგვიანდებოდა კჰუმბუს მყინვარზე მდებარე საბაზო ბანაკის მიდამოები, რომლებიც საერთო იყო ევერესტზე, ლჰოცეს ოთხივე თავზე და ნუფცეს მასივზე მოიერიშე მთამსვლელებისთვის და მათთან „სტუმრად" ასული ტურისტებისთვის, ახლა თავად ამ მწვერვალთა ზედა ფერდობებიც დანაგვიანებულა. დანაგვიანებულა არა მხოლოდ იმავე ნარჩენებით, არამედ იქ დატოვებული უამრავი ცარიელი ჟანგბადის ბალონით, კარვის ნაფლეთებითაც, ყინულის თუ კლდის პალოებითაც... თუ გავითვალისწინებთ, რომ ლამის 8 000 მეტრ სიმაღლემდე ევერესტზე მოლაშქრეებსაც და ლჰოცეზე კლასიკური მარშრუტებით მოიერიშეებსაც ერთი საერთო გზა უდევთ, ნათელი გახდება დანაგვიანების მასშტაბები.

ამის წინააღმდეგ საბრძოლველად ექსპედიციებს ასვლის დაწყებამდე ახდევინებენ ზედმეტ თანხას, რაც ლაშქრობის დასასრულს უბრუნდებათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავიანთ ნარჩენებს უკან ჩამოიტანენ. მაგრამ თავისი ნაგავი არავის ან თითქმის არავის ჩამოაქვს, რადგან, ჩვეულებრივ, ექსპედიციის დასასრულს ყველანი ილაჯგაწყვეტილნი არიან და ბარგს კი არა, უმეტესობა საკუთარ ფეხებს გაჭირვებით მოათრევს, მით უმეტეს თუ ისინი აბობოქრებული სტიქიისგან თავდაღწევას ცდილობენ. ასე რომ, „ზედმეტი" თანხა ნეპალის ხაზინას რჩება, უფრო სწორედ, იმ სახსრებით მწვერვალთა მწმენდავი ეკოლოგიური ექსპედიციები ფინანსდება.

ახლანდელი ასეთი ექსპედიცია ევერესტის ჩრდილო ფერდობების დასუფთავებას ისახავს მიზნად. გაისად სამხრეთის ჯერი დადგება და ასე მონაცვლეობით გაგრძელდება.

და მაინც, ჰიმალაის მწვერვალები დღესაც ინარჩუნებენ პირველქმნილ სიწმინდესა და ზღაპრულ სილამაზეს.

იქ მწვერვალები ისევ ისეთები არიან, როგორებიც საუკუნეების წინათ იყვნენ. ამ სამეფოში თითქოს შუასაუკუნეებში დროც გაჩერებულა და დღემდე ერთ ადგილზე გაყინულა. ეს ქვეყანა ერთ-ერთი ჩამორჩენილი და უწიგნურია, მაგრამ ნეპალელებს ჰყოფნით ჭკუა, რომ სახელმწიფო ხაზინის შესავსებად გამოიყენონ თავიანთი მთებიც.

სხვათა შორის, იქ ასულ თუ ჩასულ უცხოელებს ყაჩაღები ჩვენსავით არ აწიოკებენ...

**ავთანდილ ბურასუმჟილი**



სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა (მარჯვნივ) ქართველ კადეტთა მწვრთნელს მერაბ ცირიკიძეს მადლობის სიგელი გადასცა

# რატომ უხდიან მადლობას უფროსები უმცროსებს?

# ისინი კარგი ბიჭები არიან

სლოვაკეთში გამართულ ევროპის კადეტ კალათბურთელთა ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ქართველმა თექვსმეტწლამდელებმა, მოგეხსენებათ, პირველობა არავის დაუთმეს და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებაც მოიპოვეს. ჩვენებურები სამშობლოში გუშინწინ დაბრუნდნენ, გუშინ კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში პრესა-ტელევიზიის წარმომადგენლები საგანგებო პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს. იქვე ბრძანდებოდნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამმართველოს უფროსი დავით ჭელიძეც.

თავდაპირველად სიტყვა კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმა ითხოვა, კადეტთა ნაკრებსა და მთელ საკალათბურთო სამყაროს წარმატება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ყოველივე მომდევნო გამარჯვებების საწინდარი იქნება. დადიანმა ყველას შეახსენა, რომ საქართველო დიდი საკალათბურთო ტრადიციების ქვეყანაა და აღნიშნა, რომ სპორტის ამ სახეობას ჩვენში კარგი მომავალი აქვს. ვიცე-პრეზიდენტმა შემდეგ ეროვნულ ნაკრებზე გაამახვილა ყურადღება და ხაზგასმით თქვა, ყველაფერზე მნიშვნელოვანი მაინც ქვეყნის პირველი გუნდის წარმატებააო." 2 ივნისს ეროვნული ნაკრები ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ჩაებმება, ყველას ძალიან ვთხოვ, ნაკრებს გვერდში დაუდგეს" — ამ ფრაზით დაასრულა თავისი გამოსვლა დუდუ დადიანმა და სიტყვა დავით ჭელიძეს გადაულოცა, რომელმაც კადეტთა ნაკრების დაფინანსება ითავა და სლოვაკურ ტურნირამდე გუნდს დნეპროპეტროვსკში ხუთდღიანი შეკრებაც მოუწყო.

ჭელიძემაც, ცხადია, მილოცვით დაიწყო, რის შემდეგაც აღნიშნა, რომ თბილისის მერია მომავალშიც ყველანაირად გვერდში ამოუდგება კადეტთა ნაკრებს და შესაძლებლობის ფარგლებში გუნდს ყოველთვის დახმარების ხელს გაუწვდის.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა, თექვსმეტწლამდელები გმირებად შერაცხა. რომ არა ბიჭების თავდადება და მებრძოლი სულისკვეთება ჩვენი მდგომარეობის ქვეყანა ასეთ შედეგს ვერ მიაღწევდაო, ბრძანა ქართული სპორტის შეფმა და კმაყოფილების ნიშნად გუნდის მთავარ მწვრთნელ მერაბ ცირიკიძეს სპორტის დეპარტამენტისგან მადლობის სიგელი გადასცა. კარგი იქნებოდა, სხვანაირადაც წაგვეხალისებინეთ, მაგრამ ჩვენს ძალებს აღემატებაო — გულის ტკივილით დააყოლა მეძმარიაშვილმა.

ამის შემდეგ **მერაბ ცირიკიძის** ჯერიც დადგა:

— თავდაპირველად ყველას მადლობა მინდა გადავუხადო, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ წარმატებაში. მიმაჩნია, რომ დნეპროპეტროვსკში შეკრება რომ არ გაგვევლო, სლოვაკეთში თამაშსაც ვერ მოვიგებდით. უკრაინაში ნაყოფიერად მოვემზადეთ, ვარჯიშის გარდა ოთხი საკონტროლო მატჩიც გავმართეთ, რაც მთლიანობაში სათამაშო პრაქტიკის მხრივ ძალიან წაადგა გუნდს.

— პირადად მე არ ვფიქრობ, რომ ჩემმა გუნდმა რაიმე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია. რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ ფინალურ ეტაპზე ვითამაშებთ, თუმც არც ის დაივიწყოთ, რომ იგივე მოახერხეს კადეტთა წინა ორმა თაობამაც. ასე რომ, მოსალოცი ის უფროა, ამ თაობამ რომ არ წააგო, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

— ძალიან კმაყოფილი ვარ იმ კლუბთა მწვრთნელებისა, სადაც თამაშობენ კალათბურთელები. ბიჭები ინდივიდუალურად კარგად იყვნენ მომზადებულნი. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ზურაბ სამხარაძესაც, გუნდის ძირითადი ბირთვი ხომ სწორედ მისი გაზრდილია.

— ეს გამარჯვება უდიდესი ძალისხმევის ფასად დაგვიჯდა, მოთამაშეებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს, იყო მომენტი 18 ქულასაც ვაგებდით, მაგრამ დიდი მონდომებისა და ბუნებრივი ნიჭიერების წყალობით ის მატჩიც სასურველი შედეგით დავასრულეთ. ერთ-ერთ შეხვედრაში კი სულაც ბოლო წამზე გამოვტაცეთ მეტოქეს გამარჯვება ხელიდან, რაც ასევე კალათბურთელთა თავგანწირულობაზე მიგვანიშნებს — მადლობა ბიჭებს.

— სლოვაკეთში გამარჯვება, იმედი მაქვს, მომდევნო ბატალიებისთვისაც შეაგულიანებს გუნდს. ფინალურ ეტაპზე ერთიმეორეზე ძლიერი მეტოქეები გვეყოლება, ასე რომ, მუშაობაც ერთიორად მეტი გვმართებს. კარგი იქნება, თუ გამოინახება სახსრები და ფინალურ ტურნირზე გამგზავრებამდე სულ ცოტა ერთ სრულფასოვან შეკრებას გავივლით.

პრესკონფერენციას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ტოვარაძეც** ესწრებოდა. მოგვიანებით აზრის გამოთქმა მასაც სთხოვეს:

„კადეტთა წინა თაობამ ეროვნულ გუნდს კარგი შევსება მისცა. იმ გუნდში წინა ხაზის მოთამაშეები გამოირჩეოდნენ, აქ კი უკანა ხაზის კალათბურთელები არიან მეტად იმედისმომცემნი, რაც ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ რგოლში დიდ პრობლემებს ვაწყდებით. ამ ბიჭებს, ცხადია, ჯერაც ბევრი აქვთ სამუშაო, რათა ეროვნული ნაკრების კარი შეაღონ. იმედი მაქვს, კალათბურთელები შრომას არ დაიზარებენ" — მოკლედ და კონკრეტულად თქვა ტომარაძემ სათქმელი.

ამის მერე კვლავაც მერაბ ცირიკიძეს მოუხდა პასუხის გაცემა კითხვაზე, ჩვენი რომელიმე მოთამაშით უცხოელი სკაუტები ხომ არ დაინტერესებულანო: „ჩუმად თუ დაელაპარაკნენ რომელიმე კალათბურთელს, არ ვიცი, ისე კი ორი მათგანით ნამდვილად დაინტერესდნენ. მათ ვინაობას ჯერჯერობით ვერ გაგიმხელთ, იმას კი გეტყვით, რომ მსურველები სლოვაკეთის უმაღლესი ლიგის კლუბები არიან — იყო ცირიკიძის პასუხი.

ამ საკითხს **დუდუ დადიანიც** გამოეხმაურა:

„უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, რომ საქართველოში გაზრდილი კალათბურთელებით უცხოელებს მოუთბიათ ხელი, ისე რომ, ქართულ კალათბურთსაც და თავად მოთამაშის გამზრდელსაც არანაირი სარგებელი არ უნახავს. სტეფანიას საფასურად, რომელიც ამჟამად ნბა-ში თამაშობს, ერთი ბურთიც კი არ აქვს ჩვენს ქვეყანას მიღებული. ყოველივეს წერტილი უნდა დაესვას, სულ მალე ფედერაციაში შეიქმნება საგანგებო კომიტეტი, რომელიც სატრანსფერო საქმეებს გააკონტროლებს და დაარეგულირებს. ყოველივე უახლოეს მომავალში მოხდება".

სულ ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ სლოვაკეთის ტურნირის ბომბარდირი საქართველოს კადეტთა ნაკრების უკანახაზელი მანუჩარ მარკოიშვილი გახდა. მას სამახსოვრო პრიზთან ერთად ტურნირის სიმბოლურ ხუთეულში მოჯედრის პატივიც ერგო.

**გიორგი ბიძაშვილი**

| ევროპის კადეტთა ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. 13-22 ივლისი. რიგა (ლატვია) |
|---|
| A ჯგუფი: იუგოსლავია, ესპანეთი, ლიტვა, თურქეთი, იტალია, საქართველო |
| B ჯგუფი: რუსეთი, ისრაელი, ხორვატია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ლატვია |
| ჯგუფიდან ოთხი საუკეთესო გადის მეოთხედფინალში |



მანუჩარ მარკოიშვილი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა

## საქართველოს ჩემპიონატი



ბასკოელი ჯეფ როჯერსი (ბურთით) არჩილ ქლენტის (№7) და კახა შენგელიას წინააღმდეგ

# აზოტმა ბასკოს წაგების გემო გაახსენა

| 12 აპრილი. ვერის ბაღი |
|---|
| **აზოტი 87:78 ბასკო** |
| 23:17, 16:14, 31:18, 17:29 |
| **აზოტი:** ა. ქლენტი (14), გოგობერიშვილი (12), კოკოლიშვილი (8), ბაბიაშვილი (19), შენგელია (7); გაბისონია, ტურაშვილი (12), ჯაფარიძე (15) |
| **ბასკო:** როჯერსი (23), ბეჟანიშვილი (7), დროჟანოვი (13), ვ. ნაცვლიშვილი (8), კილაძე (3); ნიკოლაძე (8), აბრამიძე (2), გ. ნაცვლიშვილი (11), ორმოცაძე (3) |
| **მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი |
| **კომისარი:** როლანდ ხომერიკი |

**როლანდ ლაბუჩიძე**

მეორე ეტაპის მეორე წრის გადადებულ მატჩში რუსთავის „აზოტმა" ფიცხელი ბრძოლა გაუმართა მიმდინარე ჩემპიონატში გუშინდლამდე დაუმარცხებელ ბათუმის „ბასკოს". არც არავის გაჰკვირვებია და პირიქით, ელოდნენ კიდეც გ... შემატკივრები ვიცე-ჩემპიონის მიერ ყინჩად მონავარდე ჩემპიონის შეჩერებას. ამის საბაბს წლეულს „აზოტის" რამდენიმე კალათბურთელით გაძლიერება იძლეოდა.

თუ არ ჩავთვლით ტრავმირებულ ლევან ქარაბაკს, ზღვისპირელები საუკეთესო შემადგენლობით დაუპირისპირდნენ მეტოქეს. რუსთაველებმა კი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ ბერუაშვილი მოისაკლისეს.

„აზოტმა" ფეხმარდ არჩილ ქლენტის მიერ წამოწყებულ სწრაფ პირველ შეტევებზე ააგო თამაში და მალე სასურველი შედეგიც მიიღო. რუსთაველთა გამთამაშებელს პირველ წუთებში ხან შენგელია გაჰყავდა ხელსაყრელ პოზიციაზე და ხანაც თვითონ ამთავრებდა წამოწყებულ შეტევებს. სანამ „ბასკო" გონს მოეგებოდა, მესამე წუთის დასაწყისში, 10:1 გახდა რუსთაველთა სასარგებლოდ. ჩემპიონებმა შენგელია საიმედოდ ამოკეტეს, მაგრამ ახლა წინწაწეულმა ფორვარდმა ზვიად ბაბიაშვილმა იგრძნო თავისუფლება და ისე ამოძრავდა, როგორც თევზი წყალში. იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და ლომის წილი დაიდო თანაგუნდელთა გამარჯვებაში. ცნობილი ამბავია, რომ ზვიადი ფარის ქვეშ მარცხენა ხელს ხმარობს, საშუალო და შორი მანძილიდან კი მარჯვენათი თამაშში ეხერხება. გამორიცხულია, ბასკოელებს ეს არ სცოდნოდათ, მაგრამ ბაბიაშვილის შეჩერება მაინც ვერ შეძლეს.

თუ არ ჩავთვლით ამერიკელ ჯეფ როჯერსს, ბათუმელ კალათბურთელებს ვერ იცნობდით. ისინი ხანდახან თუ გაიბრწყინებდნენ, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველიდა. ტრავმირებული ქარაბაკის შემცვლელი — რუსი დროჟანოვი ჩვენებურის აჩრდილიც კი არ იყო.

მდევრის როლში მყოფმა „ბასკომ" ლიდერის ფუნქციები როჯერსს დააკისრა, მაგრამ იგი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა მეურვის — ქლენტის მხრიდან. ჩემპიონთა ხელმძღვანელობამ ამერიკელ ლეგიონერს მალე ნიკოლაძე შეუწყვილა, მაგრამ პირველი მეოთხედის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო — 17:23.

მეორე მეოთხედი რიხით დაიწყეს ზღვისპირელებმა და სულ რაღაც ორ წუთში მეტოქისაგან ქულაღა აშორებდათ. აქ ისევ ქლენტმა იყოჩაღა, რომელმაც „ბასკოს" წინ გასვლის იმედები გაუქარწყლა. ტურაშვილმა და ჯაფარიძემ კი 11 ქულით — 33:24 დააწინაურეს თანაგუნდელები. აქ „ბასკომ" პირველი წუთშესვენებით ისარგებლა და მხოლოდ ის შეძლო, რომ ათქულიან სხვაობას ტაიმის ბოლოსთვის ორი ჩამოაკლო — 31:39.

მესამე მეოთხედში ჩემპიონებს ისევ ბაბიაშვილი მოევლინათ რისხვად. თამაშის განახლებიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ „აზოტის" უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია — 48:33. მეოთხედის დამთავრებას წამებიღა აკლდა, როცა ჯაფარიძის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოებით „აზოტი" 21 ქულით დაწინაურდა — 70:49. მაშინ კი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა „ბასკო" და აშკარა გახდა, რომ მას მატჩის გადარჩენა გაუჭირდებოდა. ანგარიშზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამის თქმის საბაბს რუსთაველთა კარგი თამაშიც იძლეოდა.

დასკვნით მეოთხედში „აზოტმა" ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და ესოდენ საგრძნობი უპირატესობა კინაღამ ქარს გაატანა. ერთ მონაკვეთში განსაკუთრებით ლეგიონერებმა იაქტიურეს: დროჟანოვმა 10, ხოლო როჯერსმა 8 ქულა მოაგროვა. როცა თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ანგარიში 80:70 გახდა, „აზოტის" დამრიგებელმა ოთარ ხმელიძემ წუთშესვენებით ისარგებლა და შეგირდებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ თამაში მხოლოდ საფინალო სირენის შემდეგ მთავრდება. ამის შემდეგ სალათას ძილს მიცემული „აზოტი" აშკარად გამოცოცხლდა და კოკოლიშვილისა და ტურაშვილის სამქულიანებით შესანიშნავად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მილერმა ჩემპიონატი დახურა



REUTERS ფოტო

დეტროიტი — ტორონტო. დეტროიტელი მაკი მური კიონ კლარკს გაექცა

11 აპრილი

**ინდიანა 100:93 ნიუ იორკი**
ინდიანა: როუზი (25), მილერი (24), ბესტი (16 ქულა, 12 პასი)
ნიუ იორკი: ტომასი (22 ქულა, 10 მოხსნა), სპრიუელი (15), ჯექსონი (15)

**ბოსტონი 97:102 მაიამი**
ბოსტონი: პირსი (41), უოლკერი (29)
მაიამი: მეისონი (23), მურნინგი (21), გრანტი (18)

**ფინიქსი 111:106 დალასი**
ფინიქსი: მარიონი (38 ქულა, 11 მოხსნა), დელკი (23), როჯერსი (16 ქულა, 10 მოხსნა)
დალასი: ფინლი (34), ჰოვარდი (23), ნოვიცკი (19 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (18)

**სიეტლი 107:101 გოლდენ სტეიტი**
სიეტლი: პეიტონი (32), ლუისი (17)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (38), მაკფერსონი (26)

**დეტროიტი 99:87 ტორონტო**
დეტროიტი: სტეკჰაუზი (35), ვილიამსონი (23)
ტორონტო: კარტერი (22), ვილიამსი (15 ქულა, 11 პასი)

**ატლანტა 107:102 კლივლენდი**
ატლანტა: ტერი (38), მუჰამედი (24)
კლივლენდი: ვეზერსპუნი (22), მიური (19)

**ვაშინგტონი 109:113 ჩიკაგო**
ვაშინგტონი: ალექსანდერი (28), ჰამილტონი (25), ვაიტი (19)
ჩიკაგო: ბრენდი (26 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ფიზერი (21), არტესტი (17 ქულა, 9 პასი, 7 ჩაჭრა)

მორჩა, „ბოსტონ სელტიქსმა" შინ „მაიამი ჰითთან" წააგო, „ინდიანა პეისერზმა" კი საკუთარ კედლებში ლონიერი „ნიუ იორკ ნიქსი" დასცა და წლევანდელი პლეი ოფის ბოლო, მე-16 მონაწილის ვინაობაც გაირკვა. „ბოსტონმა" ვაჟკაცურად იბრძოლა, მაგრამ მაინც მშრალზე დარჩა. პლეი ოფის ბოლო საგზურს შარშანდელს აქეთ გვარიანად დასუსტებული, მაგრამ მაინც მასზე ძლიერი „ინდიანა" დაეპატრონა. და ეს რეგულარული სეზონის დამთავრებამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე.

„ნიუ იორკთან" შეხვედრაში „ინდიანას" ბევრი რამ აძლევდა ხელს — მეტოქის წამყვან მოთამაშეთა ტრავმები, საკუთარი მოედანი, დაბოლოს, მას უფრო სჭირდებოდა ამ შეხვედრის მოგება. თუმცა, მიუხედავად ამისა, პროგნოზები „პეისერზის" მარცხს წინასწარმეტყველებდა. დიახ, ვიცე-ჩემპიონმა „ინდიანამ" წლეულს დაკარგა ავტორიტეტი, ამ სეზონშიც ყველა შეხვედრა დათმო მოსისხლე „ნიუ იორკთან", ინდიანელთა სნაიპერი, ერთ დროს ნიუიორკელ ფანთათვის საძულველი რეჯი მილერი კი ამ სეზონში ისეთი უსუსურია, რომ მათი დასაცინი შეიქნა.

მაგ ყიამყრალს ბურთის სროლა დაავიწყდა და დღესაც ისე გადავუვლით, როგორც წინა თამაშებშიო, გამარჯვებას წინასწარ ხარობდნენ ნიუიორკელები, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. მილერს ამ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში „ნიქსისთვის" ბოლო წამებზე არაერთხელ ჩაუგდია სამქულიანი და გამარჯვება გამოუგლეჯია ხელიდან. 11 აპრილსაც რეჯიმ ძველი დრო გაიხსენა და ლამის მტრად ქცეულ გუნდს სამქულიანებით კალათი ამოუვსო.

„ნიუ იორკი" — „ინდიანა", ამის თქმაც საკმარისია, ეს გახლავთ ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი დაპირისპირება, რომელიც ყველაფრის მიუხედავად დღესაც გრძელდება. ამ ორი გუნდის ყოველ შეხვედრაში რეჯი ან ამტკიცებდა თავის სიდიადეს, ან ვერა, შესაბამისად, უმეტესწილად სწორედ იგი წყვეტდა თამაშის ბედს. „გვიხარია, რომ დღეს რეჯიმ ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა თამაშის ბედი" — თქვა მატჩის შემდეგ „ინდიანას" მწვრთნელმა აიზია ტომასმა. მილერმა იმ დღეს შვიდი სამქულიანი ჩააგდო და ამას მხოლოდ ათი სროლა დაახარჯა, ამასთან, იგი აგდებდა მაშინ, როდესაც მასპინძლებს ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ. ამასთან მარტო მილერი როდი გახლდათ ნიუიორკელთა თავსატკივარი, მის შვიდ სამქულიანს თანაგუნდელებმა ერთი ამდენიც წაუმატეს და რაღა გასაკვირია, რომ ამ მძიმე არტილერიამ მასპინძლებს ბრძოლა მოაგებინა.

ისე კი, „პეისერზს" სტუმართა ტრავმებმაც წააშველა ხელი. „ნიქსს" თავიდანვე აკლდა ორი ძირითადი — ლარი ჯონსონი და ოლსტარელი და გუნდის პირველი მექულე ალან ჰიუსტონი. გარდა ამისა, პირველივე წუთზე დაკარგა ძირითადი ცენტრი მარკუს კემბი, რომელმაც შეხვედრის 47-ე წამზე მასპინძლებს ლონივრად ჩაუტენა და ანგარიშიც გახსნა, მაგრამ ცუდად დახტა, თეძო იტკინა და თამაში ველარ გააგრძელა.

როგორც ზემოთ ითქვა, „ინდიანას" პლეი ოფისკენ გზა კონკურენტი „ბოსტონის" მარცხმაც გაუკვალა. „კელტები" პლეი ოფში 1995 წლის შემდეგ არ ყოფილან და იმედოვნებდნენ, რომ ახლა მაინც გატეხდნენ ნავსს, ამისთვის მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს, პირველი მეოთხედის 13:28 წაგების შემდეგ ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს, მაგრამ სტუმართა გამთამაშებელმა ტიმ ჰადევეიმ (14 ქულა) ბოლო წუთებზე ორი უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და ვინ იცის, ალბათ, ბოსტონელთა სიძულვილიც დაიმსახურა. „ბოსტონი" ჰარდევეიზე არანაკლებ დააქცია მისმა ძმაკაცმა, ახლახან გამოჯანმრთელებულმა ალონზო მურნინგმა, რომელიც თანდათან ჩვეულ ფორმას იბრუნებს და „სელტიქსს" 21 ქულასთან ერთად ცხრა ბურთი მოუხსნა, თანაც ოთხი დაფარებაც მიითვალა. მურნინგს დიდხანს არც ამჯერად უთამაშია, მოედანზე 28 წუთი დაჰყო და თამაში ძირითად ხუთეულშიც არ დაუწყია. მაიამელები ერთობ შეაშფოთა იმან, რომ მატჩის შემდეგ მურნინგს მარცხენა ტერფზე ცივი საფენი შემოახვიეს და ორივე მუხლზე ყინული დაადეს, ხოლო ჟურნალისტს მან გაუმხილა, დავიღალეო. ისე კი, მურნინგის დაბრუნების შემდეგ „მაიამიმ" ცხრა მატჩიდან ექვსი მოიგო, აქედან ბოლო ხუთი ზედიზედ და მყარად დაფუძნდა აღმოსავლეთის მესამე ადგილზე, არც მეორეობაა არარეალური.

პლეი ოფში შესასვლელი ჭიშკარი დასავლეთ კონფერენციაში აღმოსავლეთზე ერთი დღით ადრე დაიხურა. 10 აპრილს მერვეადგილოსანმა „მინესოტამ" იმარჯვა, პლეი ოფში თამაში დაიბევა და „ჰიუსტონი" და „სიეტლი" მშრალზე დატოვა. ამდენად, ორივესთვის სეზონის დასკვნითმა ნაწილმა აზრი დაკარგა. განსაკუთრებით „სიეტლის" წარუმატებლობაა მოულოდნელი. სეზონის დაწყებამდე ამბიციამომძალებულმა „სონიქსმა" „ნიუ იორკიდან" გამოცდილი სუპერცენტრი პატრიკ იუინგიც კი გადაიყვანა, რათა დასავლელ ბობოლებს გატოლებოდა — აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ „ზებგერითები" საერთოდ უგანებდნენ პლეი ოფს. განსაკუთრებით მხცოვანი იუინგია გაწბილებული, რომელიც ბოლო თოთხმეტ წელში პირველად ამთავრებს სეზონს რეგულარულ ჩემპიონატთან ერთად. მას 1987 წლის შემდეგ პლეი ოფი არ გაეცდინა და ცხადია, წლევანდელ სეზონს საკუთარი კარიერის აქტივში ვერ ჩაითვლის. „რა თქმა უნდა, ძალიან მწყინს, რომ ასე მოხდა, მაგრამ რას ვიზამ. იმ ბავშვივით ხომ ვერ ვიტირებ, მშობლებმა ნაყინი რომ არ უყიდეს. ისე, ადრე ვფიქრობდი, რომ მძლავრი გუნდი გვეყოლებოდა და ახლაც ასე ვფიქრობ, ოღონდ საკუთარ თავს მხოლოდ შესაძლებლობების ნახევარი გამოვწურეთ" — თქვა „გოლდენ სტეიტთან" მატჩის შემდეგ იუინგმა. ამ შეხვედრაში მოტივაციადაკარგულმა „სიეტლმა" ძლივს მოუგო „გოლდენ სტეიტს", რომელმაც ბოლო 29 თამაშიდან 27 წააგო. აქ იუინგის მონაგარმა 13 ქულა შეადგინა, მისმა თანაგუნდელმა გერი პეტონმა 32 ქულას მოუყარა თავი.

ფინიქსში დასავლეთის მეშვიდეადგილოსანმა „სანზმა" მეხუთეზე მყოფ „დალასს" სძლია და ეს პოზიცია გვარიანად მოურყია. ტეხასელებს მთავარ მარბიელად არა ჯეისონ კიდი, არამედ 22 წლის შონ მარიონი მოევლინა, რომელმაც 38 ქულა მოაგროვა და კარიერის რეკორდი გაიმეორა. თავად კიდმა კი, რომელიც „ფინიქსამდე" „დალასს" ლიდერობდა, ყოფილ გუნდს ოდენ ცხრა ქულა ჩაუგდო, სამაგიეროდ, ამას 13 პასი და 12 მოხსნა მიაყოლა.

უწინ უძლიერესმა, აწ კი უსუსტესმა „ჩიკაგომ", როგორც იქნა, სტუმრად იმარჯვა და დაასრულა კლუბის ისტორიაში სარეკორდო, სამარცხვინო, ზედიზედ 25-თამაშიანი საგარეო წაგებების სერია. „ხარები" ალბათ, კიდევ კარგა ხანს დაისხამდნენ თავლაფს, ყოფილი თანაგუნდელის, დიადი მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონს" რომ არ გადაყროდნენ.

**ირაკლი ფირცხალავა**

## კორაჩის თასი

ფინალი. პირველი მატჩი. 11 აპრილი

**უნიკახა (ესპანეთი) 77:47 ჰემოფარმი (იუგოსლავია)**
უნიკახა: აბრამსი (17), ხურადო (5), ტომინი (8), მრშიჩი (6), პეტრუშკა (2), ფილიპი (10), როდრიგესი (8), სონკო (5), ვასკესი (3), ვეისი (13)
ჰემოფარმი: ჯოგო (7), ივანოვიჩი (2), პეკოვიჩი (11), პოპოვიჩი, სავიჩი (3), სტეფანოვიჩი, ვიდაჩიჩი (11), ვუჩინიჩი (3), ზეჩევიჩი (10)

საპასუხო მატჩი გაიმართება 18 აპრილს



# პრივალოსანი



ლენოქს ლუისმა აფრიკელები გააბრაზა

**მძიმე** წონის უპირობო ჩემპიონი, ლენოქს ლუისი გვარიანად აკრიტიკეს. კრიტიკის მიზეზი ის გახლდათ, რომ 21 აპრილს, სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ კი იოჰანესბურგთან, კარნავალ სიტიში, ამერიკელ ჰასიმ რაჰმანთან დანიშნული ბრძოლისთვის მზადებისას თითქოსდა მეტი სერიოზულობა მართებდა. განვმარტოთ: რაჰმანი კარნავალ სიტიში კარგა ხნის ჩასულია, ლუისი კი ორი დღის წინ ჩაბრძანდა. მიზეზი: მოკრივეს ჰოლივუდში იღებენ, ფილმს „ოკეანე 11" ჰქვია.

და აი, ბრძოლის ადგილას როგორც იქნა ჩაღწეული ჩემპიონი ექიმებმა გასინჯეს და ფეხის ტრავმა აღმოუჩინეს. ყველას თვალში ეცა, რომ პრესკონფერენციაზე ორი საათის დაგვიანებით მისული ლუისი გვარიანად გადაღლილიც ჩანდა.

ყოველივე ამან რაჰმანი ეტყობა გამოაცოცხლა: „მიუხედავად უამრავი წარმატებისა ლუისი ჩვეულებრივი ადამიანია და ამოსავალი წერტილიც სწორედ ეს გახლავთ".

არადა, ჩემპიონის ვიზიტს სამხრეთ აფრიკელები საგანგებოდ ელოდნენ. დიდი ეროვნული დახვედრა ჰქონდათ დაგეგმილი. გარდა მოსახლეობისა, ვიდეო და ფოტო აპარატურით შეიარაღებული ასზე მეტი ჟურნალისტიც საგანგებოდ გახლდათ ჩასაფრებული. მზად იყო ზულუ მოცეკვავეთა ფოლკლორული ანსამბლი და ასე განსაჯეთ, ნაღდი აფრიკული სულის გადმოსაცემად ლომთა კლუბიც მიეყვანათ.

მაგრამ ჩავიდა ლუისი და ყველას ცივი წყალი გადაასხა. როგორც გაირკვა, უპირველესი პრობლემა სწორედ ლომთა კლუბი გამოდგა.

„გაათრიეთ ეს ლომი აქედან, ჩემპიონისთვის სახიფათოა" — იღრიალა ლუისის მცველმა. არადა, ეს ლომი საგანგებო პარკის ბინადარია, ბავშვები კვებავენ და ამას ფოტოგრაფები იღებენ.

თავად ლუისი კი წამით გამოჩნდა, რა კარგია აქ ყოფნაო, დაიძახა და მანქანაში შეძვრა. მოცეკვავე ზულუებს ძალიან დაწყდათ გული.

⁂

**ქვემძიმე** წონაში მსოფლიოს უამრავგზის ჩემპიონი როი ჯონსი აცხადებს, რომ 28 ივლისს IBF-ის ქამრისთვის ხულიო გონსალესთან აპირებს ჩხუბს. არადა, IBF-ის რეიტინგის თანახმად უპირველესი პრეტენდენტი ავსტრალიელი გლენ კელია. 24 თებერვალს, როდესაც ჯონსმა დარეკ ჰერმონი გვემა, ანდერქარდში კელიმ ბილი ლუისს აჯობა და ლოგიკურად ისე დალაგდა, რომ ჯონსი კელის უნდა შეხვედროდა.

რაც შეეხება გონსალესს, IBF-ის ვერსიით, იგი მეცამეტე მოკრივეა, WBC მერვედ მიიჩნევს, WBA — მეექვსედ, ხოლო WBO — მეოთხედ. მიუხედავად ამისა, ჩემპიონმა ფედერაციას წერილით მიმართა, თუ შეიძლება გლენ კელიმდე გონსალესთან მაჩხუბეთო.

ახლა საქმე ასეა: თუ IBF ჯონსს უარს ეტყვის, არაა გამორიცხული, ტიტულიც ჩამოართვას და მაშინ ამ ორგანიზაციის უმთავრესი ბრძოლა კელისა და ერიკ ჰარდინგს შორის გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ დღეისთვის როი ჯონსი WBO-ს გარდა ყველა ორგანიზაციის ქამარს ფლობს.

⁂

**დარიუშ** მიხალჩევსკი ქვემძიმე წონაში WBO-ს ქამრის მფლობელი გახლავთ, რომელმაც ერთობ უჩვეულო ნაბიჯის გადადგმა განიზრახა — 5 მაისს, საკუთარ დაბადების დღეს ტიტულს იცავს, ესპანელ ალეხანდრო ლაკატუსს ხვდება. ბრძოლა პოლონეთშია დანიშნული. მიხალჩევსკის დღემდე ბრძოლა არ წაუგია. 43 გამართა და ყველა მოიგო, მათგან 36 ნოკაუტით. მისი მეტოქე კი დაუმარცხებელი არ არის 15-1 (12)

„პირველ რაუნდებში დიდი სიფრთხილე მმართებს, რადგან ლაკატუსი ბრძოლის დასაწყისში ყოველთვის აგრესიულია. ასეთ სტილს, მართალი გითხრათ, ნაჩვევი არ ვარ. სამაგიეროდ, მეც მაქვს უპირატესობა. მეტოქეს, მრავალრაუნდიან ბრძოლაში ვჯობივარ" — ამბობს ჩემპიონი.

მიხალჩევსკის მწვრთნელმა, ფრიც ზდუნეკმა კი განაცხადა: „ლაკატუსი ჯორივით არის. ერთი ძალიან ძლიერი დარტყმა ეხერხება. ამ ასპექტში მართლაც ძალიან საშიშია".

⁂

**მოგეხსენებათ** „უდაბნოს ქარიშხლად" წოდებულმა ნასიმ ჰამედმა კარიერაში პირველი ბრძოლა წააგო. იგი მარკო ანტონიო ბარერამ დაამარცხა და მას მერე მის ცხოვრებაში ზოგი რამ შეიცვალა. კერძოდ, ცნობილ მოკრივეთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტელეკონტრაქტია. ჰამედს ეს კონტრაქტი HBO-სთან აქვს დადებული, HBO კი, როგორც ჩანს, ამიერიდან მის არც ერთ ჩხუბს აღარ სცნობს ბარერასთან რემატჩის გარდა.

ტელეკომპანიის აღმასრულებელმა შეფმა კერი დევიდსმა განაცხადა: „ჰამედს უახლოესი ბრძოლა ბარერასთან ექნება. სხვა, ნებისმიერ მეტოქესთან რინგზე გასვლას HBO არ ცნობს. მას კონტრაქტში ცხადად უწერია, პირველივე მარცხის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოაწყოს რემატჩი.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

**გერმანია. ბუნდესლიგა. 29-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.30 | 002 | კაიზერსლაუტ.-აინტრახტი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-შალკე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 004 | ბოხუმი-ვერდერი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 18.30 | 005 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 23.15 | 006 | ჰერტა-დორტმუნდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 20.30 | 007 | უნტერჰახინგი-ჰანზა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 20.30 | 008 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. 29-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 009 | ობერჰაუზენი-ალემანია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 010 | ჰანოვერი-მაინცი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 18.00 | 011 | მიონხენგლადბახი-კიკერსი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 18.00 | 012 | ფიურტი-როიტლინგენი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 013 | ზაარბრიუკენი-ალენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 014 | ულმი-ზანქტ პაული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 23.15 | 015 | ოსნაბრიუკე-ნიურნბერგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. 33-ე ტური**

**13 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 016 | ლივერპული-ლიდსი | 1,95 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 017 | ბრედფორდი-ჩარლტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 16.00 | 018 | მანჩესტერი-ქოვენთრი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 019 | არსენალი-მიდლსბრო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 020 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 021 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 022 | იფსვიჩი-ნიუკასლი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 023 | ლესტერი-სიტი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 024 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 025 | ვესტ ჰემი-დერბი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**ინგლისი. I დივიზიონი. 42-ე ტური**

**13 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 026 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 19.00 | 027 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 028 | ჯილინგემი-შეფილდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 029 | გრიმსბი-უოტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 030 | ჰადერსფილდი-ფულემი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 19.00 | 031 | პორტსმუთი-ქუინზ პარკი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 032 | პრესტონი-ნოტინგემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 033 | უენსდი-კრისტალ პალასი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 034 | სტოკპორტი-ბლექბერნი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 035 | ტრანმერი-ნორვიჩი | 2,2 | 3 1 | 3,0 |
| 19.00 | 036 | უიმბლდონი-ბარნსლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 037 | ვულვერჰემპტონი-ქრიუ | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**ინგლისი. II დივიზიონი. 42-ე ტური**

**13 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 038 | ნორთჰემპტონი-კემბრიჯი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 19.00 | 039 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 040 | როვერსი-კოლჩესტერი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 041 | ლუტონი-ოლდემი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 042 | მილუოლი-სუინდონი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 043 | ნოთსი-ბორნმუთი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 044 | პიტერბრო-ბრისტოლი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 045 | რედინგი-ბერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 046 | სტოკი-უოლსოლი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 047 | სუონსი-როტერჰემი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 19.00 | 048 | უიგანი-ოქსფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 049 | უიკომბი-რექსემი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**ინგლისი. III დივიზიონი. 42-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 050 | ბარნეტი-ლეიტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 051 | კარლაილი-ბლეკპული | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 052 | ჩელტენემი-ლინკოლნი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 053 | ჩესტერფილდი-კიდერმინსტ. | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 054 | დარლინგტონი-კარდიფი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 055 | ექსეტერი-საუთენდი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 056 | ჰარტლპული-ჰალი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 057 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 058 | მენსფილდი-ტორკი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 059 | პლიმუთი-ბრაიტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 060 | შრიუსბერი-სკანთორპი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 061 | იორკი-ჰალიფაქსი | 1,9 | 3,2 | 3,8 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. 31-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 062 | ნანტი-ბასტია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 063 | ნანტი-ბასტია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 064 | ლანსი-ტრუა | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 065 | ბორდო-სტრასბური | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 066 | ბორდო-სტრასბური 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 067 | მონაკო-სენტ ეტიენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 068 | მარსელი-სედანი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 069 | ტულუზი-რენი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 070 | გენგამი-მეცი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.00 | 071 | ოსერი-ლილი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 23.45 | 072 | ლიონი-პსჟ | 1,6 | 3,1 | 6,0 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 073 | ბოვე-მარტიგი | 2,1 | 2,7 | 3,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფრანგეთი. II დივიზიონი. 354-ე ტური**

**13 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 074 | ნანსი-ლორიანი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 23.00 | 075 | კრეტეი-სოშო | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 23.00 | 076 | ლავალი-მონპელიე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 077 | ნიმი-ლე მანი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 23.00 | 078 | გენიონი-ლე ავრი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 23.00 | 079 | ვასკეალი-შატორუ | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 23.00 | 080 | ნიცა-კანი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 081 | ნიორი-აიაჩო | 1,55 | 3,1 | 7,0 |

**იტალია. სერია A. 26-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 082 | ატალანტა-პარმა | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 083 | ბარი-ნაპოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 18.00 | 084 | ბრეშა-ვერონა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 085 | ფიორენტინა-ლეჩე | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 086 | მილანი-უდინეზე | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 087 | რეჯინა-ლაციო | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 18.00 | 088 | რომა-პერუჯა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 089 | რომა-პერუჯა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 18.00 | 090 | ვიჩენცა-ბოლონია | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.30 | 091 | იუვენტუსი-ინტერი | 1,75 | 2,9 | 4,7 |

**იტალია. სერია B. 31-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 092 | კალიარი-ვენეცია | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 093 | კიევო-სამპდორია | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 094 | კროტონე-ტორინო | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 18.00 | 095 | ჯენოა-ანკონა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 096 | პესკარა-პისტოიეზე | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 18.00 | 097 | პიაჩენცა-მონცა | 1,35 | 3,5 | 8,0 |
| 18.00 | 098 | სალერნიტანა-კოზენცა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 099 | სიენა-ემპოლი | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 100 | ტერნანა-რავენა | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 18.00 | 101 | ტრევიზო-ჩიტადელა | 1,95 | 2,6 | 4,4 |

**იტალია. სერია C1/a. 30-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 102 | არეცო-ალძანო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 19.00 | 103 | კარარეზე-სპეცია | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 19.00 | 104 | ლეკო-ბრეშელო | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 19.00 | 105 | ლუმეცანე-ჩეზენა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 19.00 | 106 | მოდენა-ალბინოლეფე | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 19.00 | 107 | პიზა-ალესანდრია | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| 19.00 | 108 | რეჯანა-კომო | 2,8 | 2,7 | 2,5 |
| 19.00 | 109 | სპალ-ლივორნო | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 19.00 | 110 | ვარეზე-ლუკეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |

**იტალია. სერია C1/b. 30-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 111 | ტორესი-ნოჩერინა | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 18.30 | 112 | ატლეტიკო-ასკოლი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 18.30 | 113 | ჯულიანოვა-მესინა | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 19.00 | 114 | აველინო-პეზარო | 1,55 | 3,0 | 7,5 |
| 19.00 | 115 | ბენევენტო-კატანია | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 19.00 | 116 | დი სანგრო-სავოია | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 19.00 | 117 | ფერმანა-პალერმო | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 19.00 | 118 | აკილა-ვიტერბეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 19.00 | 119 | ლოდიჯანი-ფ.ანდრია | 1,6 | 2,9 | 7,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. 30-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 120 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 121 | დეპორტივო-ოსასუნა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 24.00 | 122 | ვალენსია-ალავესი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 24.00 | 123 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 124 | ბარსელონა-სარაგოსა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 00.15 | 125 | რეალი-ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 126 | რეალი-ვილიარეალი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 21.00 | 127 | ვალიადოლიდი-ოვიედო | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 128 | მალაგა-რაიო ვალეკანო | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 21.00 | 129 | ბილბაო-ესპანიოლი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 130 | რასინგი-სელტა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 131 | ნუმანსია-სოსიედადი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 132 | მალიორკა-ლას პალმასი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 133 | მალიორკა-ლას პალმასი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. 33-ე ტური**

**14 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 134 | კორდობა-ტენერიფე | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 21.00 | 135 | კომპოსტელა-სევილია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 14.30 | 136 | ხეტაფე-სპორტინგი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 15.00 | 137 | ლევანტე-ალბასეტე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 138 | ელჩე-უნივერსიდადი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.00 | 139 | ფეროლი-მურსია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 140 | ხაენი-ლეიდა | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 141 | უელვა-ლეგანესი | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 22.00 | 142 | ატლეტიკო-ესტრემადურა | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 22.00 | 143 | ბადახოსი-ეიბარი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 22.00 | 144 | ბეტისი-სალამანკა | 1,65 | 3,1 | 5,3 |

**პორტუგალია. I ლიგა. 28-ე ტური**

**13 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 145 | ფარენსე-ბენფიკა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 20.00 | 146 | კამპომაიორენსე-ფერეირა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 147 | მარიტიმუ-ბელენენსეში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 148 | ალვერკა-ლეირია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 149 | ჟილ ვისენტე-ბეირა მარი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 150 | ავეში-ბრაგა | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 23.00 | 151 | სალგეირუში-პორტუ | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 01.30 | 152 | სპორტინგი-ამადორა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 153 | სპორტინგი-ამადორა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 00.30 | 154 | გიმარაეში-ბოავიშტა | 3,8 | 2,9 | 1,95 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. II ლიგა. 28-ე ტური** | | | |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 20.00 | 155 | ფელგეირაში-ნასიონალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 156 | ოვარენსე-სანპა კლარა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 157 | ლეცა-რიუ ავე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 158 | იმორტალი-შავეში | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 159 | ფრეამუნდე-ნავალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 160 | აკადემიკა-ესპინიუ | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.00 | 161 | ლამაში-პენაფიელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 162 | მარკუ-სეტუბალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 01.00 | 163 | ვარზიმი-მაია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. 28-ე ტური** | | | |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 23.00 | 164 | სიტარდი-ნაიმეგენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 22.30 | 165 | როზენდალი-სპარტა | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 23.00 | 166 | ვალვაიკი-ჰერენვენი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 167 | ალკმაარი-გრონინგენი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 17.30 | 168 | ფეიენოორდი-გრააფსხაპი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 169 | ფეიენოორდი-გრააფსხაპი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.15 | 170 | ვიტესი-პსვ | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 16.00 | 171 | ტილბურგი-ბრედა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 17.30 | 172 | ტვენტე-უტრეხტი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.30 | 173 | როდა-აიაქსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. 28-ე ტური** | | | |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 22.00 | 174 | ვეენდამი-ვენლო | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 175 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 176 | დორდრეხტი-ექსელსიორი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 22.00 | 177 | ჰელმონდი-დენ ბოსხი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 22.00 | 178 | ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 179 | ეინდჰოვენი-მაასტრიხტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 180 | ოსი-ემენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 181 | ზვოლე-ტელსტარი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 182 | კამბური-იგლსი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. 29-ე ტური** | | | |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 23.30 | 183 | ანდერლეხტი-სტანდარდი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 23.00 | 184 | ანტვერპენი-ლუვიე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 23.00 | 185 | შარლერუა-ბეერსხოტი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 186 | ვესტერლო-მეხელენი | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 23.00 | 187 | ჰარელბეკე-გენტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 188 | გენკი-მუსკრონი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 189 | ლიერსი-ლოკერენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 190 | ბევერენი-ბრიუგე | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 23.00 | 191 | სენტ ტრუიდენი-აალსტი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. 31-ე ტური** | | | |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 22.30 | 192 | მონსი-მოლენბეკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 193 | გეელი-დენდერლეუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 194 | სერკლი-დესელი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 195 | ინგელმუნსტერი-ჰეკელგემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 196 | ლიეჟი-მაასლანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 23.00 | 197 | ლომელი-დაინცე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 198 | ჰეუსდენი-ოსტენდე | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 18.00 | 199 | სტრომბეკი-ტინენი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 200 | რუზელარე-ტურნჰაუტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **ჩეხეთი. 24-ე ტური** | | | |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 19.30 | 201 | სლავია-პრჟიბრამი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 19.30 | 202 | ბლშანი-ლიბერეცი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 203 | ბოჰემიანსი-ბანიკი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.30 | 204 | სინოტი-ტეპლიცე | 2,1 | 3,0 | 3,30 |
| 19.30 | 205 | დრნოვიცე-სიგმა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.30 | 206 | ბუდეიოვიცე-ბრნო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.30 | 207 | იაბლონეცი-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 22.00 | 208 | პლზენი-სპარტა | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| | | **პოლონეთი. მე-20 ტური** | | | |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 16.00 | 209 | პოლონია-რუხი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 210 | კატოვიცე-ამიცა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 211 | სტომილი-შლიონსკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 212 | ოდრა-პლოცკი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 213 | ვიძავი-ზაგლებე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 214 | გროცლინი-რაძიონკოვი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 215 | პოგონი-ვისლა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.15 | 216 | გურნიკი-ლეგია | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **თურქეთი. 29-ე ტური** | | | |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 22.00 | 217 | ბურსა-ბეშიქთაში | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 17.00 | 218 | ისთანბული-დენიზლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.00 | 219 | სამსუნი-იეთფა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 17.00 | 220 | ქოჯაელი-გენჩლერბირლიგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 221 | გალათასარაი-ანთალია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 222 | გალათასარაი-ანთალია 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 17.00 | 223 | გაზიანთეფი-ადანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 224 | გაზიანთეფი-ადანა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 17.00 | 225 | ტრაბზონი-რიზე | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 226 | ერზურუმი-იოზგათი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 227 | ანკარა-ფენერბაჩე | 3,5 | 3,1 | 1,95 |
| | | **ავსტრია. 29-ე ტური** | | | |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 22.30 | 228 | ადმირა-ტიროლი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 18.30 | 229 | რაპიდი-გრაცერი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 230 | რიდი-ბრეგენცი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.30 | 231 | ზალცბურგი-ლინცერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.30 | 232 | შტურმი-აუსტრია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-7 ტური** | | | |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 23.30 | 233 | ბაზელი-სენტ გალენი | 2,1 | [illegible] | 3,2 |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 20.30 | 234 | ლოზანა-ლუგანო | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 20.30 | 235 | სერვეტი-გრასჰოპერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 236 | ციურიხი-სიონი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-7 ტური** | | | |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 20.30 | 237 | ვილი-ვინტერთური | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 22.30 | 238 | ქსამაქსი-არაუ | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 20.30 | 239 | ლუცერნი-იანგ ბოისი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-7 ტური** | | | |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 20.30 | 240 | ბადენი-კარუჟი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.30 | 241 | ვანგენი-სოლოთურნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.30 | 242 | დელემონი-კრინსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 19.15 | 243 | თუნი-ლოკარნო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **დანია. 24-ე ტური** | | | |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 18.00 | 244 | ოლბორგი-ოდენსე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 245 | ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 246 | აკადემისკი-ლიუნგბიუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 247 | ჰადერსლევი-კოპენჰაგენი | 5,6 | 3,6 | 1,45 |
| 18.00 | 248 | სილკებორგი-ორჰუსი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 20.05 | 249 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| | | **რუსეთი. მე-5 ტური** | | | |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 16.00 | 250 | ზილ-ჩერნომორეცი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 16.00 | 251 | როტორი-ცსკა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 16.00 | 252 | როსტსელმაში-სპარტაკი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 16.00 | 253 | სატურნი-სოკოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 16.00 | 254 | ფაკელი-ზენიტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 255 | დინამო-ლოკომოტივი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 16.00 | 256 | კრილია-ანჟი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 257 | ტორპედო-ალანია | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| | | **შვედეთი. მე-2 ტური** | | | |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 18.00 | 258 | ტრელებორგი-ნორჩიოპინგი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 18.00 | 259 | აიკ-იორებრო | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 260 | სუნდსვალი-ჰეკენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 261 | ელფსბიორგი-მალმიო | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| | | **ნორვეგია. 1-ლი ტური** | | | |
| | | **16 აპრილი** | | | |
| 21.00 | 262 | ბრანი-მოსი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 263 | ლილესტრიომი-ბრინი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 21.00 | 264 | ლინი-სტრიომგოდსეტი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 21.00 | 265 | მოლდე-ბოდიო გლიმტი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 21.00 | 266 | ოდ გრენლანდი-სიოგნდალი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 267 | სტაბეკი-ტრომსიო | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 23.15 | 268 | ვიკინგი-რუსენბორგი | 2,8 | 3,3 | 2,2 |
| | | **შოტლანდია. თასის 1/2 ფინალი (ნეიტრალურზე)** | | | |
| | | **14 აპრილი** | | | |
| 19.00 | 269 | ჰიბერნიანი-ლივინგსტონი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| | | **15 აპრილი** | | | |
| 18.00 | 270 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**ქვირას, 15 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე კროკო არ იმუშავებს**
**მუშაობა სამშაბათიდან ჩვეული გრაფიკით განახლდება**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამელია აილენდი (აშშ)
BAUSCH LOMB-ის პირველობა
მწვანე თიხნარი
საპრიზო 565 ათასი $

ექვსთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ დამირ დოკიჩი ტრიბუნებს პირველად ამელია აილენდის ტურნირზე დაუბრუნდა. ქალთა ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავის, ელენას მამა და მწვრთნელი, როგორც ყოველთვის, მოღუშულად და უგუნებოდ გამოიყურებოდა, თუმცა ამჯერად არც ჟურნალისტების მობილურებისა თუ მიკროფონების დამტვრევის სურვილი გამოუმჟღავნებია და არც სტადიონზე შესასვლელში წამოგორებისა და ღრიალის.

დამირი უკანასკნელად აშშ-ის ღია პირველობაზე დაესწრო ქალიშვილის მატჩს. „ფლაშინგ მედოუზის“ ერთ-ერთ რესტორანში აგვისტოში მას თევზის კერძის ულუფა მეტისმეტად მცირე, ფასი კი მეტისმეტად მაღალი მოეჩვენა და ოფიციანტი გვარიანად გამოთათხა, მერე კი კომპლექსის გარეთ მის მისაბრძანებლად გამოცხადებულ დაცვას ხელჩართული ბრძოლა გაუმართა.

ჩოგბურთის მამებს ამ ინციდენტმა მოთმინების ფიალა აუვსო და რაკიღა დამირს არაერთი ძველი ცოდვაც უმძიმებდა სულს, მისი მთვრალი ან აჭარხლებული სახის ხილვის სიამოვნება მათაც კარგა ხნით მოიკლეს — უფროსი დოკიჩი ნახევარწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, რომლის დროსაც მას ტურნირებზე ელენას თანხლება აეკრძალა. დისკვალიფიკაციას ყაველი მარტის ბოლოს გაუვიდა.

„მამაჩემი დაბრუნდა და ეს ძალიან მიხარია, რადგან ის კარგ ზეგავლენას ახდენს ჩემზე — განაცხადა ელენამ, რომელიც მშობელს ნებისმიერ სიტუაციაში თავგამოდებით იცავს — ცოტათი მივეჩვიე კიდეც უმისოდ თამაშს. ამან, ალბათ, გამომაწრთო კიდეც და საკუთარი ძალების რწმენა შემმატა, მაგრამ მაინც მირჩევნია, ის ჩემს გვერდით იყოს და მატჩის დროს ჩემი გამხნევება შეძლოს“.

# მამა-ბატონის დაბრუნება

ამ ექვსი თვის მანძილზე კორტსგარეთ დოკიჩისთვის ბევრი რამ შეიცვალა. შარშანდელი წლის ბოლოს მან იუგოსლავიის მოქალაქეობა მიიღო, იანვარში კი, მას შემდეგ, რაც დამირმა ავსტრალიელებს რასისტები უწოდა, დოკიჩებმა მწვანე კონტინენტზე მთელი თავიანთი ავლადიდება, სახლი და მანქანები გაყიდეს და საცხოვრებლად ფლორიდაში გადასახლდნენ.

სამაგიეროდ, კორტზე არაფერი შეცვლილა: ელენა ისევ ან ძალიან კარგად თამაშობს, ან ძალიან ცუდად. ზოგჯერ, როდესაც იუგოსლაველს თამაში მისდის, მისი შემჩერებელი მსოფლიოში ერთი-ორი თუ მოიძებნება, ზოგჯერ კი პირიქით, ის კლასით თავისზე გაცილებით დაბლა მდგომ ჩოგბურთელებთან აგებს.

ამელია აილენდის პრესტიჟული ტურნირის მეორე წრეში (პირველიდან ყველა განთესილი გათავისუფლებული იყო) დოკიჩის მეტოქე ერთ დროს საუკეთესოთა ათეულელი პატი შნიდერი იყო. შვეიცარიელს მატჩში საქმე ცოტა ჰქონდა — ელენა ან აუღებლად აგდებდა ბურთს ბადის მეორე მხარეს, ან აუტსა და ბადეში გზავნიდა. ასე გაანიავა მან უპირატესობა პირველ ხელში და 5:2-დან მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მისცა, სანამ ისევ არ გაისწორა სამიზნე და ზედიზედ ოთხი გეიმი არ მოიგ.

მატჩის ბოლო გეიმში შნიდერმა ცოტა გაიბრძოლა, მაგრამ ექვსი ბრეიკპოინტიდან ერთიც ვერ გამოიყენა და 5:7, 3:6 დამარცხდა.

„სტაბილურობაზე ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მმართებს. კიდევ კარგი, ორ ხელში ვიმარჯვე, ძალიან ცხელოდა და ჩახუთული ჰაერი იყო — აღნიშნა დოკიჩმა, რომელიც დღეს 18 წლის ხდება, თუმცა დამირის ტირანიისგან თავსი დაღწევას არ აპირებს — მშობლებს შვილებისთვის კარგის მეტი არაფერი უნდათ, მე და მამაჩემი ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. ასაკის მატების კვალობაზე პასუხისმგებლობის გრძნობაც უნდა გაორმაგდეს, რამდენი წლისაც არ უნდა ვიყო, ყველაფერს ჩემით მაინც ვერ გავაკეთებ. მშობლების რჩევებს ჩემთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ექნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ჩოგბურთს ეხება“.



ელენა დოკიჩს ტრიბუნებიდან მამა ისევ უგულშემატკივრებს

გაიმარჯვა სიდნეის ოლიმპიადის ნახევარფინალში დოკიჩის გამამწარებელმა ელენა დემენტიევამაც. სეზონის დასაწყისში წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ, რაც ძირითადად ჩოგნის შეცვლით იყო გამოწვეული, 19 წლის რუსი ნელ-ნელა ახალ აღკაზმულობასაც გაუშინაურდა და მოგებებსაც. ამჯერად დემენტიევამ იანვარში კანბერაში მარცხისთვის ფრანგ ნატალი დეშიზე იძია შური — 6:4, 6:3

შედეგად მომავალი ორშაბათიდან ელენა კლასიფიკაციაში ანა კურნიკოვას გაუსწრებს და რუსეთის პირველი ჩოგანი გახდება. დემენტიევას არასოდეს დაუმალავს, რომ აშშ-ში მცხოვრები თანამემამულე გულზე დიდად არ ეხატება, თუმცა მათ შორის აშკარა ქიშპობის არსებობაც უარყო: „მე ანას კონკურენტად სულაც არ ვთვლი და არც იმიტომ მინდა, კარიერის პირველი ტიტული მოვიპოვო, რომ მას დავასწრო ამაში. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ხეირიანად ვითამაშო და უახლოეს თვეებში კიდევ უფრო წავიწიო წინ, რადგან შარშან თიხნარზე კარგად არ მიასპარეზია და ბევრი ქულაც არ უნდა დავიცვა. ამ საფარზე თამაშში მთავარია მოთმინება და ბევრი სირბილი“.

**მეორე წრე: ნადია პეტროვა (რუსეთი) — ჩანდა რუბინი (8, აშშ) 4:6, 6:4, 6:0; ჯილ კრეიბასი (აშშ) — ემი ფრეზერი (11, აშშ) 6:2, 6:2; მეგან შონესი (10, აშშ) — სანდრა კასიკი (აშშ) 2:6, 6:0, 7:5; ლაიზა რეიმონდი (12, აშშ) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:4, 6:1; ჰენრიეტა ნაგიოვა (15, სლოვაკეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 3:6, 6:2, 7:6 (7:4); მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:1; სილვია ფარინა (იტალია) — კონჩიტა მარტინესი (2, ესპანეთი) 6:4, 6:1; ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:2, 6:1**

ეშტორილის (პორტუგალია)
ღია პირველობა
თიხნარი. საპრიზო 800 ათასი $

**ვაჟები**

შეიძლება დიდი ხნის მწვრთნელ დევიდ ფელგეიტთან დაშორება ტიმ ჰენმანისთვის მართლაც კარგი გამოსავალი იყო. ყოველ შემთხვევაში, ინგლისის პირველმა ჩოგანმა თავისთვის საძულველი თიხნარის სეზონი არცთუ ურიგოდ დაიწყო.

1993 წლიდან მოყოლებული თავის უცვლელ მოძღვარს, მეგობარსა და ხელისმომკიდე ფელგეიტს ჰენმანი ოფიციალურად ორშაბათს განუდგა და ეშტორილში მხოლოდ ფიზიკურ მზადყოფნაზე ზედამხედველის, კირონ ფორსტერის თანხლებით გამოცხადდა: „ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა, ბევრსაც მივაღწიეთ ერთად, მაგრამ უცვლელი არაფერია. ჩემთვის ეს ახალი სცენარია. უახლოეს ხანებში, შეიძლება უიმბლდონის ჩათვლითაც კი, ტურნირებზე მარტომ [illegible] რკვიო, რა შემიძლია და რა [illegible] სინამდვილეში“.

თუ პორტუგალიაში ჩატარებული პირველი მატჩით ვიმსჯელებთ, მარტოხელობა ჰენმანისთვის ზედგამოჭრილი უნდა იყოს. ინგლისელს კარიერაში თიხნარზე ღირებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ამჯერად ამ საფარზე თამაშის ოსტატი შტეფან კუბეკი ყველა ასპექტში დაჩაგრა, თავისთვის უჩვეოლოდ, უკანა ხაზიდანაც კი ხეირიანად გაისარჯა და 6:4, 6:1 მოიგო.

ერთადერთი იალღიში ინგლისელს მეორე სეტში 5:0-ზე მოუვიდა, როდესაც მატჩ-პოინტზე საკუთარი მოწოდება ეისად მიიჩნია და ბადისკენ გაეშურა, რათა მეტოქისთვის ხელი ჩამოერთმია. კუბეკმა მსაჯს ნიშნულის შემოწმება მოსთხოვა, გადაწყვეტილება შეაცვლევინა და მალე ჰენმანს მოწოდება აართვა. თუმცა ავსტრიელმა ამით მარცხი და ბადისკენ გარდაუვალი მარშრუტი მხოლოდ რამდენიმე წუთით გადადო.

**პირველი წრე: ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:3, 7:6(7:2); დომინიკ ჰრბატი (3, სლოვაკეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:1, 7:5; ანდრეი პაველი (5, რუმინეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:1, 6:1; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — მაიკლ ჩანგი (6, აშშ) 6:1, 6:3; გილერმო კორია (არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) 7:6(11:9), 6:0; მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) — ალბერტ კოსტა (8, ესპანეთი) 6:4, 6:2; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 7:6(7:3)**

**ქალები**

**დინიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) — ანკე ჰუბერი (1, გერმანია) 7:5, 3:6, 6:2; მაგდალენა მალეევა (2, ბულგარეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 7:5, 6:4; ჟიუსტინ ენენი (3, ბელგია) — ანა იზაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 7:6(7:3), 4:6, 6:4; მაჩი სერნა (5, ესპანეთი) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:3, 6:4; სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) — სილვია ტალაია (7, ხორვატია)**

**ავთანდილ სვანიძე**



NHL. სტენლის თასი. პირველი წრე (ოთხ მოგებამდე).

# ხმალამოღებული დომინატორი

11 აპრილი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| ფილადელფია | 0 |
| ბუფალო | 1 |

**ფილადელფია 1:2 ბუფალო (1:2 0:0 0:0)**
0:1 გრეტონი 5 (1), 1:1 დეჟარდენი 14 (1), 1:2 გილმორი 19 (1).

ადრეც გვითქვამს, რეგულარული ჩემპიონატი და პლეი ოფი სულ სხვადასხვა რამ არისო. ფილადელფია მთელი სეზონის განმავლობაში უგებდა ბუფალოს, მეკარე რომან ჩეხმანეკიც სჯობდა სახლოვან კოლეგა დომინიკ ჰაშეკს. მაგრამ მოვიდა პლეი ოფი და ყველაფერი თავდაყირა დადგა. ბუფალომ პირველივე პერიოდში იმდენი გოლი გაიტანა, რამდენიც მთლიანად პირველობის ოთხ ურთიერთშეხვედრაში და ეს გამარჯვებისთვის საკმარისი გამოდგა. არადა, იმ მესამედში ფილადელფია უკეთ თამაშობდა და რა მისი ბრალია, რომ „დომინატორმა“ 14 შაიბა მოიგერია, მე-12 წუთზე კი თვით მარკ რეკისაც აუღო ბულიტი. მართალია, მალე ერიკ დეჟარდენის უძლიერესმა დარტყმამ შანსები გაათანაბრა, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც სტუმრებმა თქვეს. ვეტერან დუგ გილმორის გოლი ერთობ კურიოზული გამოდგა. ჩეხმანეკმა შორეული დარტყმა მოიგერია, თუმც შაიბა გილმორს ციგურაზე მოხვდა და კარში აღმოჩნდა. „ხმლების“ პირველი გოლი კი გარკვეულწილად ფილადელფიელთა მეკარის სინდისზეა. კრის გრეტონი დარტყმისას კართან არცთუ ახლოს იყო, მაგრამ ჩეხმანეკს შაიბა იღლიაში გაუძვრა. ჰაშეკმაკ კი უშეცდომოდ ითამაშა, თუმც მისმა პარტნიორებმაც იყოჩაღეს და მეტოქეს თავიანთი კარის სიახლოვეს გასაქანი არ მისცეს. მასპინძლებს მატჩის გადარჩენის შანსიც ჰქონდათ. ეს მეორე მესამედში იყო, როცა მიროსლავ შატანი ოთხი წუთით გააძევეს. ფილადელფიელებს ისევ და ისევ ჰაშეკმა შეუშალა ხელი.

| დასავლეთი | |
|---|---|
| დეტროიტი | 1 |
| ლოს ანჯელესი | 0 |

**დეტროიტი 5:3 ლოს ანჯელესი (3:0 2:3 0:0)**
1:0 ჰოლმსტრიომი (7 (1), 2:0 ფიოდოროვი 9 (1), 3:0 შენაჰანი 14 (1), 3:1 ბუკბერგერი 23 (1), 4:1 შენაჰანი 23 (2), 4:2 პალფი 28 (1), 5:2 ლარიონოვი 33 (1), 5:3 რობიტაილი 38 (1)



REUTERS

დეტროიტი — ლოს ანჯელესი. დეტროიტელმა მარტინ ლაპოინტმა მატიას ნორსტრიომი ბორტზე მიასრისა

პირველი პერიოდი დეტროიტმა დიდებულად ჩაატარა. ცხადია, სტუმრებმა იცოდნენ, რა ზეწოლა ელოდათ მათ საწყის წუთებში, მაგრამ ამგვარ შტურმს ნამდვილად არ მოელოდნენ. მცირე დაზვერვის შემდეგ, რასაც სულ 2-3 წუთი დაეთმო, დეტროიტმა ტემპს უმატა და ფელიქს პოტვინის კართან სიტუაცია სულ უფრო დაიძაბა. გონივრული პრესინგის პირობებში ლოს ანჯელესი დაიბნა და რამდენიმე შეცდომას წესების დარღვევაც მიაყოლა. მასპინძლები რიცხვმრავლობაში მოყვნენ და მთელი ეს მონაკვეთი მეტოქეთა ზონაში გაატარეს. მათ ისე გააბრუეს „მეფეთა“ დაცვა, რომ საბოლოოდ, როცა ტომას ჰოლმსტრიომს კარს უკნიდან შაიბა მიაწოდეს, მას გოლის გატანა აღარ გასჭირვებია. გავიდა კიდევ სამი წუთი და ანალოგიური კომბინაციის შემდეგ სერგეი ფიოდოროვი გამოირჩა. რუსს ჩემპიონატის ბოლო 10 მატჩში გოლი არ გაეტანა, მაგრამ პლეი ოფში ყოველთვის გად ასპარეზობს და ამჯერადაც ბრენდან შენაჰანთან ერთად საუკეთესო იყო მასპინძელთა შორის.

დეტროიტელთა უპირატესობა ისეთი აშკარა იყო, კაცს ეგონებოდა, სტუმართა გუნდი სულ უმცირესობაში თამაშობსო. ჰოლმსტრიომის გაძევებამ მათ თითქმის სული მოათქმევინა, მაგრამ როგორც კი საჯარიმო დრო ამოიწურა, კიდევ ერთი უხეში შეცდომის შემდეგ შენაჰანი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და უმალვე დაჯაბნა.

არავინ იცის, რა მოხდა პირველი პერიოდის შემდგომ შესვენებაზე (ეგებ კაპიტან სტივ აიზერმანის ტრავმამ ითამაშა როლი), მაგრამ მეორე მესამედში დეტროიტი ძალიან შეიცვალა. იმის მაგივრად, რომ დაცვაზე გაეკეთებინა აქცენტი და ანგარიშის შენარჩუნებაზე ეზრუნათ, მასპინძლებმა გააგრძელეს გახსნილ ჰოკეიში შეჯიბრება, თუმც ანგარიშით მოდუნებულებმა ოდნავ დაასუსტეს პრესინგი, ნაკლები თავგანწირვით თამაშობდნენ და მეტოეს მწვავე კონტრშეტევების განხორციელების საშუალება მისცეს, რამაც მასპინძელთა დაცვის პრობლემები უმალვე თვალში საცემი გახადა.

მართალია, პირველ საპასუხო გოლს შენაჰანმა მაშინვე უპასუხა, მაგრამ ამან მატჩის მსვლელობა არ შეცვალა და ახლა კრის ოსგუდის კართან იქმნებოდა ყოველ წუთს ხიფათი. ჯერ იყო და დეტროიტელთა დაცვამ თავი არ შეიწუხა, მეტოქის სამსვლიანი გარღვევა არ გააუვნებლა და ზიგმუნდ პალფის გოლი გაატანინა, შემდეგ „მეფეებმა“ კიდევ რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენეს, ხოლო 33-ე წუთზე კულმინაცია შედგა — უმცირესობაში ყოფნისას პალფი და იოზეფ შტუმპელი ოსგუდის პირისპირ აღმოჩნდნენ, მაგრამ მეკარემ სასწაულებრივ იხსნა კარი, რამდენიმე წამში კი დეტროიტმა დასაჯა მეტოქე და იგორ ლარიონოვმა კვლავ სამშაიბიანი სხვაობა აღადგინა. მართალია შესვენებამდე სტუმრებმა ერთი შაიბა გაქვითეს, მაგრამ ბოლო მესამედში დეტროიტი გონს მოვიდა, გაცილებით ყურადღებით ითამაშა და მართალია, ოდნავ გაუჭირდა, მაგრამ სასურველი ანგარიში მაინც შეინარჩუნა.

| | |
|---|---|
| დალასი | 1 |
| ედმონტონი | 0 |

**დალასი 2:1 ედმონტონი (0:0 1:1 0:0 1:0)**
0:1 რ. სმიტი 27 (1), 1:1 მოდანო 39 (1), 2:1 ლანგენბრუნერი 63 (1).

ზედიზედ სამი პლეი ოფია, დალასი ედმონტონს ამარცხებს და პერსპექტიულ გუნდს თასისკენ გზას ულობავს. ამჯერადაც მოიგეს „ვარსკვლავებმა“ და სერიაშიც დაწინაურდნენ, თუმც, სიმართლე უნდა ითქვას — მათ თანდათან უფრო გაუჭირდებათ. ახლაც მხოლოდ ოვერტაიმში, ჯიმი ლანგენბრუნერის გოლის წყალობით ძლივს მოიპოვეს გამარჯვება. მის პირველ დარტყმას მცველი გადაეღობა, მაგრამ შაიბა ისევ ჯიმის მოუვიდა და მეორე ცდაზე მან იყოჩაღა. ისე, შეიძლებოდა ამ ეპიზოდში მსაჯებს დაეჯარიმებინათ, რადგან კარის სიახლოვეს შონ ვან ალენი ძალიან უშლიდა ხელს მეკარე ტომი სალოს. თუმცა მანამდე არბიტრებმა ერთი გოლი გააუქმეს და ამის ხელმეორედ გაკეთება ველარ გაბედეს. „საქმე ოვერტაიმამდე კი მივიყვანეთ, მაგრამ რად გინდა, მაინც წავაგეთ. მსაჯები არიან დამნაშავე თუ არა, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს“ — ედმონტონელთა თავკაცი გრეგ მაკტავიში ერთობ დანაღვლიანებულიყო.

არადა, მთელი ძირითადი დროის განმავლობაში თანაბარი და დაძაბული ბრძოლა მიმდინარებდა. მართალია, ინიციატივას მეტწილად მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ მჭიდრო პრესინგში მომწყვდეული სტუმრებიც ახერხებდნენ შეტევების განხორციელებას და ამიტომ რაიან სმიტის გოლი ალოგიკურს ვერ ვუწოდებთ. დალასმა კი 39-ე წუთამდე ვერ გამოძებნა გზა ბრწყინვალე ტომი სალოს კარისკენ, თუმც მაიკ მოდანოს ელვისებურად დარტყმული შაიბა მაინც გაძვრა მეკარესა და ძელს შორის. ბოლო მესამედში უფრო აშკარა საგოლე მომენტები ედმონტონელებმა შექმნეს, მაგრამ თამაში ხომ ყველას ავიწყდება, საბოლოოდ შედეგი რჩება.

**სამველ ღარიბიანი**

ჭაბუკთა მსოფლიოს თასი

# საქართველო აღზევდა!

**ჩილეში** მიმდინარე ჭაბუკთა 33-ე მსოფლიოს პირველობაზე B ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში 31:8 მოუგო ესპანეთს და მომავალ წელს A ჯგუფში იასპარეზებს. გაისად ეს ტურნირი იტალიაში გაიმართება.

ქართველმა ჭაბუკებმა საკმაოდ ძლიერ ესპანელ თანატოლებს კუდით ქვა ასროლინეს. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ოთხი ლელო გაუტანეს მეტოქეს და ზედ ოთხი გარდასახვა და ერთი საჯარიმოც მიაყოლეს. პირველი ლელო მატჩის დებიუტშივე „ლოკომოტივის“ გარემარბმა ლექსო გუგავამ გაიტანა, პირველი ტაიმის მიწურულს კი „აიას“ უკანახაზელმა ირაკლი გიორგაძემ მეორედ დაამწუხრა ესპანელები. შეხვედრის მეორე ორმოცწუთეულში ჩვენმა მორკინალებმა ავთო კოპალიანმა და შოთა საყვარელიძემ ისახელეს თავი. საჯარიმო-გარდასახვები ზუსტად ურტყა ივანე სოხაძემ.

როგორც მოგახსენეთ, ამ გამარჯვებით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა მომავალი ტურნირისთვის A ჯგუფის საგზური უკვე მოიპოვა. B ჯგუფის ფინალში კი ჩვენი მორაგბეები რუს თანატოლებს დაუპირისპირდებიან, რომლებმაც თავიანთ ნახევარფინალურ მატჩში კანადელებს ბოლო წუთზე გატანილი საჯარიმოთი 16:13 ძლივს მოუგეს.

რაც შეეხება ელიტარულ A ჯგუფს, იქ ნახევარფინალები გუშინ გვიან ღამით გაიმართებოდა. პირველ წყვილში ერთმანეთს საფრანგეთი — უელსი ეთამაშა, მეორე ფინალისტის ვინაობა კი ახალი ზელანდია — ავსტრალიას მატჩის შემდეგ გაირკვეოდა. ფინალში გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდება, ხოლო კორეა — ჩილესა და რუმინეთ — სამოას მატჩებში დამარცხებული გაისად B ჯგუფში ჩამოქვეითდება და ადგილს საქართველოსა და რუსეთს დაუთმობს.

**ბაჩო სვანიძე**



# შევარდენის ფრენა გრძელდება

საქართველოს ჩემპიონატი

**დამოუკიდებელ** საქართველოს სპორტის გუნდურ სახეობებში წლების მანძილზე სამი უცვლელი ჩემპიონი ჰყავდა — კალათბურთში „ვითა“, ფეხბურთში „დინამო“, ხელბურთში „სტუ-შევარდენი“. „ვითას“ ფინანსური პრობლემები მოერია, დინამოელებს — ქუთაისის „ტორპედო“, „შევარდენი“ კი დღესაც მყარად დგას ფეხზე და ზედიზედ მე-11 სეზონია, პირველობას არავის უთმობს. ტექნიკოსებს ნუკი ეწყინებათ, მაგრამ გულშემატკივრებისთვის ეს მაინცდამაინც სასიამოვნო არ გახლავთ, რადგან მათ ხუთი ტურით ადრე ჩემპიონობის განაღდებას, როგორც წლეულს მოხდა, ბოლომდე უშელავათო ბრძოლის ხილვა ურჩევნიათ.

მეტოქეებმა სტუ-ს ვერც ამჯერად გაუწიეს თუნდაც უმცირესი წინააღმდეგობა. ლიდერთან სათამაშოდ ისინი წაგებას წინასწარ შეგუებულები, ხელჩაქნეულები გადიოდნენ. ისე, მგონი, გამარჯვებულისთვისაც ვერაფერი სიამოვნებაა ყოველი მატჩის 15-20 ბურთიანი სხვაობით მოგება. მართალია, ოთხწრიანი ჩემპიონატი, ანუ სეზონში მხოლოდ ორი ათეული შეხვედრის ჩატარება ძალიან ცოტაა და ასე ხელბურთის არც დონე ამაღლდება და არც პოპულარობა, მაგრამ ათწრიანი პირველობაც რომ ჩატარებულიყო, ამით არაფერი შეიცვლებოდა — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი დანარჩენებზე მაინც გაცილებით მაღლა იდგებოდა და უპრობლემოდ, „ცალი ხელით“ დაისაკუთრებდა მორიგ ტიტულს. მიუხედავად იმისა, რომ „შევარდენის“ ის შემადგენლობა, რომელმაც წლევანდელი ჩემპიონატი დაიწყო, თითქმის განახევრდა, მეტოქეებმა ერთი ქულის წართმევაც კი ვერ შეძლეს. ამ ხნის მანძილზე შეიცვალა ხელმძღვანელობაც — უფროსი მწვრთნელი ზაზა დოლიძე თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს, ხოლო ჯემალ ბარამიძე ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებულ სკოლას ჩაუდგა სათავეში. ახლა „შევარდენს“ ახალგაზრდა მწვრთნელები უძღვებიან — ვახტანგ მეიფარიანი და ირაკლი კეკელიძე, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან სტუ-სა და ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდნენ. გუნდის უფროსი კვლავ ზურაბ კეკელიძეა, ჩემპიონები კი გახდნენ შოთა თევზაძე, გიორგი ქობელაშვილი, გიორგი გვაზავა, ალეკო ბოყოჩაძე, ბექა ორჯონიკიძე, ტიტე კალანდაძე, ზვიად შათირიშვილი, ალექსანდრე ლობჟანიძე, კახაბერ ჩაჩანიძე, ზაზა ფერაძე, მამუკა კობახიძე, დავით ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე სიამაშვილი, ლაშა სიხარულიძე, რევაზ ჭანტურია. ყველაზე ასაკოვანია 30 წლის შათირიშვილი — 1995 წლის ჩემპიონატის უპირველესი მეგოლე, ხოლო ოთხნი დებიუტანტები არიან, რომელთაგან კობახიძემ ჩემპიონობასთან ერთად უკვე დაოჯახებაც მოასწრო. სასიამოვნოა, რომ სახელოვან მამათა კვალს მისდევენ რევაზ ჭანტურიას ვაჟიშვილი რევაზი, ქალთა ნაკრების მწვრთნელის ზაალ სიხარულიძის ვაჟი ლაშა, აგრეთვე არმიელთა გუნდის მწვრთნელის ამბერკი ტაბიძის ვაჟი ვასილი.

დასკვნით ტურში არ უთამაშიათ კალანდაძესა და ორჯონიკიძეს, ორივე ალბათ გერმანიაში გააგრძელებს კარიერას. ბოლო მატჩებს კი მხოლოდ სამეორეადგილო ინტრიგაღა შემორჩათ. „თბილისი“ ორი ქულით უსწრებდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულს“ და ვერცხლის პრიზიორობის უკეთესი პერსპექტივაც ჰქონდა — უშუალო კონკურენტთან შეხვედრაში ფრეც აძლევდა ხელს. თამაში დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. პირველ ნახევარში უპირატესობა „თბილისის“ მხარეს იყო — ტაიმი სამი ბურთით მოიგო, მაგრამ შესვენების შემდეგ „მამულმა“ შეძლო გარდატეხის შეტანა და თავად გაიმარჯვა სამგოლიანი სხვაობით. მეორე ადგილის ბედი კი ჩემპიონატის ბოლო დღეს „მამულისა“ და ბათუმის „მენავთობის“ შეხვედრაში გადაწყდა. მართალია, ბათუმელებს საპრიზო ადგილის შანსი დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ მაინც უშელავათო ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს და თითქმის მთელი მატჩის მანძილზე წინ იყვნენ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ხუთი წამით ადრე აგრარელებმა მათთვის მშველელი გოლი გაიტანეს და მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს.

ამრიგად, მეორე ადგილი ერგო „საუ-მამულს“ (მწვრთნელი რევაზ ჭანტურია), ხოლო მესამე პრიზიორ „თბილისს“ სათავეში უდგანან მამუკა მჟავანაძე და მოთამაშე-მწვრთნელი ელიზბარ არსენაშვილი.

მორიგი მწირგუნდიანი და ცოტამატჩიანი პირველობა დასრულდა. საჩემპიონო თასი ღირსეულმა პატრონმა ჩაიბარა, სხვა პრიზებიც დარიგდა. ჭაბუკთა ნაკრების თავდამსხმელი, 17 წლის ვახტანგ ჯიშკარიანი ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ დაასახელეს, ბომბარდირის პრიზი კი ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა ბათუმელმა ელნარ ქარცივაძემ, რომელმაც 218 გოლი მიითვალა. მეორე ადგილზე გასული არმიელი გიორგი ბედოშვილი ქარცივაძეს 31 ბურთით ჩამორჩა. ხუთეულში არიან ჭაბუკთა ნაკრების წევრი აკაკი ტალახაძე (178), მამულელი გიორგი წივწივაძე (154) და შოთა აბჟანდაძე (138) „თბილისიდან“. ქარცივაძე შედარებით გვიან, 15 წლის ასაკში გაეცნო ხელბურთს. იგი „აღმოაჩინა“ ზურაბ ურუშაძემ, რომელიც დღესაც თამაშობს „მენავთობეში“. ჭაბუკთა ეროვნულ პირველობაზე ნახვის შემდეგ ნაკრების მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ პერსპექტიული სპორტსმენი ხელბურთის სკოლის გუნდ „მართვეში“ გადმოიყვანა, ბოლო ორ სეზონში კი ელნარი ბათუმელთა წამყვანი მოთამაშე გახდა. მაისში მას ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოუწევს საქართველოს ღირსების დაცვა.

აპრილის ბოლოს თბილისში საუნივერსიადო ტურნირი გაიმართება, ხოლო ჩატარდება თუ არა საქართველოს თასის გათამაშება, ჩვენი ხელბურთის ასოციაციას ჯერაც ვერ გადაუწყვეტია.

**გია ახალაძე**

7 აპრილი

სტუ-შევარდენი 38:23 საუ-მამული

ჭაბუკთა ნაკრ. 40:27 ასკ

თბილისი 23:22 მენავთობე

8 აპრილი

საუ-მამული 44:25 ასკ

სტუ-შევარდენი 38:19 თბილისი

მენავთობე 29:26 ჭაბუკთა ნაკრ.

9 აპრილი

სტუ-შევარდენი 46:30 ჭაბუკთა ნაკრ.

მენავთობე 29:18 ასკ

საუ-მამული 28:25 თბილისი

10 აპრილი

თბილისი 31:30 ასკ

სტუ-შევარდენი 35:18 მენავთობე

საუ-მამული 40:32 ჭაბუკთა ნაკრ.

11 აპრილი

თბილისი 37:26 ჭაბუკთა ნაკრ.

საუ-მამული 28:27 მენავთობე

სტუ-შევარდენი 27:17 ასკ

საბოლოო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 20 | 20 | 0 | 0 | 808:504 | 60 |
| საუ-მამული | 20 | 12 | 2 | 6 | 610:586 | 38 |
| თბილისი | 20 | 12 | 1 | 7 | 564:582 | 37 |
| მენავთობე | 20 | 8 | 2 | 10 | 621:646 | 26 |
| ჭაბუკთა ნაკრ. | 20 | 3 | 1 | 16 | 579:702 | 10 |
| ასკ | 20 | 2 | 0 | 18 | 517:679 | 6 |



საქართველოს ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“: მარცხნიდან დგანან მწვრთნელი ირაკლი კეკელიძე, მამუკა კობახიძე, გიორგი გვაზავა, შოთა თევზაძე, ზვიად შათირიშვილი, ალექსანდრე სიამაშვილი, მწვრთნელი ვახტანგ მეიფარიანი, სხედან დავით ნიკოლაიშვილი, ლაშა სიხარულიძე, გიორგი ქობელაშვილი, ზაზა ფერაძე, კახაბერ ჩაჩანიძე, რევაზ ჭანტურია



# სმიტი ოქროს ყიდის

**33 წლის** შემდეგ მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ტომი სმიტმა ძვირფას ოქროს მედალთან გაყრა გადაწყვიტა. მედლის გაყიდვა ნაირ-ნაირი საბაბით შეიძლება: უფულობის გამო, როგორც ამას რიგი ქვეყნების მოქალაქეები აკეთებენ, ანაც კალიფორნიის შტატის ახალგაზრდობისთვის ხელშესაწყობად... „ფულის კეთება კი არ განვიძრახე — ამბობს სმიტი — უბრალოდ, შტატის ახალგაზრდების დასახმარებლად ფონდის დაარსება მინდა და ხანდახან ამგვარი ფიქრიც მაწუხებს, იქნებ ვინმეს ეს მედალი ჩემზე მეტად სურს-მეთქი. ჩემი აზრით, მშვენიერი იქნება, მედალი ატაროს ისეთმა, ვისაც იგი არ მოუგია“. აქ სმიტისთვის რაღაც კითხვების დასმა შეიძლებოდა, რადგან მისი ნათქვამის აზრი ცოტა ბუნდოვანი გვეჩვენება, მაგრამ ახლა მეორე საქმის კეთება სჯობია — მკითხველს ტომი სმიტი და მისი ისტორია უნდა ალვუწეროთ.

შავკანიანმა ამერიკელმა ათლეტმა მეხიკოს ოლიმპიადაზე 200-მეტრიანი გარბენი 19,83 წამით მოიგო, რაც მსოფლიოს რეკორდი იყო და 11 წელს გაძლო. დაჯილდოვებისას, როცა ორკესტრმა ამერიკის ჰიმნი დააგრიალა, სმიტი პატრიოტული სახით კი არ მდგარა პოდიუმის თავში, შავხელთათმანიანი მომუშტული მარჯვენა შემართა. იგივე მოძრაობა გააკეთა ბრინჯაოს საფეხურზე მდგარმა ჯონ კარლოსმაც, რითაც შავებმა პროტესტი გამოთქვეს ომისა და რასიზმის წინააღმდეგ.

დიდი სკანდალი ატყდა. ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ზანგებს მუშტები ამერიკის დროშისკენ მიმართულად ჩათვალეს და მძლეოსნები ოლიმპიური სოფლიდან გააგდეს. მერე სმიტი თავისებურად ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს, სანტა მონიკას კოლეჯში (კალიფორნიის შტატი) კროსის მწვრთნელის ადგილი იშოვა და აგერ 23 წელია, უზრუნველყოფილი ცხოვრებისთვის საკმარის ჯამაგირს იღებს. ხუთი შვილი გაზარდა და სწორედ მათ სთხოვეს მამას, მედალი და შენი სხვა რელიქვიები გავყიდოთო. „ყველაფერი ერთად განვსაჯეთ და ამგვარ აზრამდე მივედით“ — ამბობს სმიტი თავის ახლად გახსნილ ვებგვერდზე, სადაც გასაყიდი ნივთების ნუსხაა მოცემული.

პირველ რიგში, ცხადია, ოქროს მედალია. სმიტის ცოლი და აგენტი, დელუა ჟურდენ-სმიტი მას ნახევარ მილიონ დოლარად აფასებს. შემდეგ, 50 ათასი ღირს ფორმა, რომელიც იმ წელს მეხიკოში ამერიკელ ოლიმპიელებს ეცვათ, 30 ათასი — ტრუს-მაისურა, რომლებითაც სმიტმა გადამწყვეტი დისტანცია ირბინა და 25 ათასი — კარგად შეფუთული ზეთისხილის რტო. იგი მეხიკოში ოლიმპიურ ჩემპიონებს დაურიგეს. დავამატოთ ამას რამდენიმე წვრილმანი ნივთი, როგორც მაგალითად სმიტის სასკოლო პირველობაზე მოპოვებული პირველი სამძლეოსნო ჯილდო (1500 დოლარი ღირს) და ირკვევა, რომ მთლიანი საწყისი ფასი 660 ათას დოლარს შეადგენს. და ხელთათმანი? ის ცნობილი შავი ხელთათმანი, რომელიც რელიკვიათა კოლექციონერებს კბილებს აუკაწკაწებდა. სამწუხაროდ, თათმანის ადგილსამყოფელი სმიტმა ზუსტად არ იცის, ამბობს, გარაჟში უნდა ეგდოს სადღაც და თუ ვიპოვე, იმასაც გამოვფენო. ოღონდ ჯერჯერობით გაყიდვების საქმე ძლიერ ზანტად მიდის, ნახევარი მილიონი ყველას ებევრება. სმიტების ოჯახს ორიოდე წინადადება შესვლია, მაგრამ ბევრად ნაკლები ფასებით, ამიტომ უარი უთქვამთ. არ ჩქარობენ, რადგან ნივთების გამოფენას ორი წლით აპირებენ.

**დავით გულუა**



# სიტყვა არის, საქმე გამოჩნდება

**გუშინწინ** ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, პროფესიონალ მოჭადრაკეებს საშუალება ეძლევათ ჭადრაკი ჭეშმარიტად თავიანთ პროფესიად გახადონ — ეს დოკუმენტი „ფიდეს გრან პრის“ ფორმატი გახლავთ. ცალკე საკითხია, სად იშოვიან ფულს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ან კიდევ ლონდონის პიკადილზე, 175 ნომერში განთავსებული ფირმა „ფიდე კომერსის“ პრეზიდენტი არტიომ ტარასოვი, რომელმაც „გრან პრის“ ფინანსური მხარე იტვირთა, მაგრამ პროექტი გამოქვეყნდა და მისი დეტალების გადმოცემა საყურადღებოა. მართლაც, ჭადრაკი, როგორც სპორტის სახეობა, ვერაფრით ავიდა მძლეოსნობისა და ჩოგბურთის დონეზე, გუნდურ სახეობებზე რომ არაფერი ვთქვათ. რჩეულ მძლეოსანს თავისი „გრან პრი“ და კიდევ უკეთესი „ოქროს ლიგა“ აქვს, ჩოგბურთელს ATP ტურნირები, მასტერსის სერიები და დიდი სლემი, ამიტომ ორივე დისციპლინის მიმდევრები მთელი წლის მანძილზე ჯამაგირს გამოიმუშავებენ, მოჭადრაკე კი მაქსიმუმ წელიწადში ერთხელ მსოფლიო პირველობის იმედზეა, დიდი-დიდი, თასის გათამაშებაზე წავიდეს და სუპერტურნირებში კი, მოგეხსენებათ, მაქსიმუმ ოცი რჩეული თუ მოხვდება.

ფიდემ ნაბიჯი გადადგა. მისი პროექტის თანახმად, 2002 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით 8 „გრან პრი“ და ბოლოს ფინალი უნდა გაიმართოს. აი, მასპინძელ ქალაქთა ნუსხა: ამსტერდამი, მადრიდი, ბომბეი, დუბაი, ბერლინი, მოსკოვი, ნიუ იორკი, სიეტლი და რიო დე ჟანეირო. რიგით „გრან პრიზე“ 32 მოჭადრაკე ითამაშებს, რომლებიც წინა წლის მსოფლიოს პირველობის შედეგებით შეირჩევიან და ჭადრაკის ჩემპიონთა ლიგას შექმნიან. ქულათა დარიცხვის საკმაოდ რთული სისტემით იმ 32-დან ფინალში 14 საუკეთესო გავა, ორი „უაილდქარდით“ ან ფიდე-ს პრეზიდენტის ნომინაციით დაემატება და 16 კაცი ნოკაუტ-სისტემით ფინალში ითამაშებს. ანაზღაურება გვარიანი იქნება. რიგითი „გრან პრის“ საპრიზო ფონდად მინიმუმ 100 ათასი დოლარი უნდა მოგროვდეს. ისიც კი, ვინც ტურნირზე უბრალოდ მოხვდება, 1000 დოლარს მიიღებს, პირველ 16-ში შესული 2000-ს და ასე შემდეგ გამარჯვებულის 15 ათას დოლარამდე. ფინალის საპრიზო ფონდი მინიმუმ 150 ათასი დოლარი იქნება. ეს ყველაფერი სპორტის ზოგ სახეობათა საპრიზოებს ვერ მიუახლოვდება, მაგრამ მოჭადრაკეთა დასაინტერესებლად პირველ ხანებში მაინც იკმარებს.

**დავით გულუა**


☎ (231) 7 17 58

იყიდება



ბინა ინდივიდუალური

პროექტით აშენებული

რვაბინიანი სახლის

მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ²

პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "ჩემპიონთან"

REUTERS იოჰანესბურგიდან



# დიდი მოვლენა

**სამხრეთ აფრიკას ორი დიდი კაცი ეწვია და დიდი კრივი ჩაუტანა — 21 აპრილს, კარნავალ სიტიში მსოფლიოს უპირობო ჩემპიონი, ლენოქს ლუისი ჰასიმ რაჰმანს ხვდება.**
**ამ ამბავთან დაკავშირებით გაიმართა პრესკონფერენცია, ფოტოზე სამხრეთ აფრიკის სპორტის მინისტრის, ნგკონდე ბალფურის მარცხნივ და მარჯვნივ მდგომი ლუისისა და რაჰმანის მონაწილეობით.**

# შაკმან თქვა, თავშიშველამა



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ადრე მემუარებს მოხუცები წერდნენ, ახლა კი ამ საქმით ახალგაზრდები იქცევენ თავს. ეს კარგია. ესე იგი, ახლა 28 წლის ბიჭის ცხოვრებაში უკვე იმდენი ამბავია მომხდარი, რამდენიც ადრე 88 წლის კაცის ცხოვრებაში ხდებოდა. ან სხვა რაღაცაა.

ერთი სიტყვით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ კალათბურთელი, შაკილ ონილი მემუარდაწერილთა არმიას შეემატა და „ბუქ სუფში“პრეზენტაციაც მოაწყო. წიგნს ჰქვია „შაკი ამბობს“. რას ამბობს შაკი ვერ გეტყვით, ნაკითხული არ გვაქვს, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ავტოგრაფებს და სამახსოვრო წარწერებს არ იშურებს, რასაც ფოტოზეც ხედავთ.



REUTERS დალასიდან



# აი, ასეთი ამბავი

**ნჰლ-ის დასავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალური პლეი ოფის პირველ თამაშში აი, ასეთი ამბავი მოხდა: „დალასმა“ „ედმონტონს“ 2:1 მოუგო ოვერტაიმში. გადამწყვეტი შაიბა დალასელ ლაგენბრუნერს შეუგდია და გახარებული თანაგუნდელები შემოხვევიან, რის დანახვაზეც ედმონტონელი ითან მორო ორმაგად დაბოღმილა.**

# უიღბლონი

**„ნიუ იორკ ნიქსს“ ინდიანაში ძალიან არ გაუმართლა. წაგებით ხომ წააგო 93:100, ზედაც, პირველ მეოთხედში მარკუს კემბი დაუშავდა და მოედნიდან ფელტონ სპენსერის გასაყვანი გახდა.**

REUTERS ინდიანაპოლისიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აზნაიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ჟუჟუნია, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge